წელიწადი მერვე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 65, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—48
) ღამის მორიგის 13—29.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 36, ტელეფონი № 8—31.
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— ბრიუსელში გაიხსნა მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესია.
— ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში.
— რუმინეთის მუშათა და გლეხთა ბლოკის მოწოდება.
მონღოლეთის სავაჭრო წარმომადგენლად საბჭ. კავშირში დაინიშნა დამბა დორჯი.
— საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას აპირებს ინგლისის საქმიან წრეების დელეგაცია.
— შეღავათები წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაკებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 21 დეკემბერი, 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 295 (2338)

დამოუკიდებელი ავღანისტანი საფრთხეშია

ავღანისტანის დედა-ქალაქ ქაბულის წინააღმდეგ აღმართულია რეაქციონური აჯანყების მახვილი. ბრძოლა სწარმოებს ქალაქის მახლობელ ადგილებში. საკითხი ეხება არა მარტო იმას—ივლიან თუ არა ჩადრით ავღანისტანის ქალები, იქნება თუ არა ქაბულში სკოლები და საავადმყოფოები. საკითხი სდგას გაცილებით უფრო სერიოზულად—იარსებებს თუ არა ბრიტანეთის, ინდოეთის და საბჭოთა შუა აზიის მეზობლად დამოუკიდებელი პროგრესიული მუსლიმანური სახელმწიფო?

რეაქციონური აჯანყება ნაწილობრივ საშინაო დაბრკოლებებითაც არის გამოწვეული. 10 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ავღანისტანი განთავისუფლდა ინგლისის ბატონობისაგან, ის ცდილობს აინაზღაუროს ყველაფერი, რაც დაჰკარგა ნახევარი საუკუნის ძილის და ბრიტანეთის ინტერესებისადმი ვასალური მორჩილების დროს. ინგლისის პოლიტიკა ავღანისტანს უყურებდა, როგორც ბუფერს ინდოეთისათვის. გზების უქონლობა ავღანისტანში, ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობა და სიღარიბე სამხედრო დაბრკოლებას წარმოადგენდა მეფის რუსეთის ან სხვა რომელიმე იმპერიალისტურ სახელმწიფოსთვის, რომელიც დაემუქრებოდა ქაბულს და კანდაგარს—ინდოეთის ამ ჭიშკარს ხმელეთიდან. რამდენადაც ინგლისის არმიამ, მიუხედავად სისხლისმღვრელ ომებისა 1840-1880 წლებში, 1919 წლამდე ვერ შესძლო ბრიტანეთის ინდოეთის საზღვრების გაფართოება გინდუკუშის ქედამდე,—იმდენად ინგლისი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ავღანისტანის იზოლიაციით და რვა მილიონ მოსახლეობაში აზიური ჩამორჩენილობის და უკულტურობის ხელოვნურად შენარჩუნებით. ასე გრძელდებოდა 1919 წლამდე, როცა ავღანისტანმა, რომელიც ეყრდნობოდა საბჭოთა რუსეთს, დაამსხვრია ინგლისისაგან დამოკიდებულობის ბორკილი. წარსულის მძიმე მემკვიდრეობა გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ ავღანისტანის არისტოკრატიის ცალკე გვარეულობანი ძლიერ შეეჩვიენ ინგლისის ნასუფრალს და სუბსიდიებს, არამედ აგრეთვე იმაშიაც, რომ სახელმწიფოს მოუხდა ყველაფრის ახლად შენება, რომ მთელს ავღანისტანში რეფორმებამდე იყო მხოლოდ ერთი გაზეთი, ხოლო მონობა დაკანონებულ ინსტიტუტს წარმოადგენდა. ინგლისის პოლიტიკამ სამი ომის შედეგად ავღანისტანს ჩამოაშორა აღმოსავლეთის ოლქები, რომელნიც მდებარეობენ ინდოეთის საზღვრებზე და დასახლებული არიან ავღანელების მონათესავე (ენით, რასით და რელიგიით) მთიელ ტომებით. სამ მილიონზე მეტი ავღანელი რჩება ავღანისტანის გარეშე და ამგვარად, ავღანისტანის ხალხის ნაციონალური განვითარება ხელოვნურად იქნა შეფერხებული.

ამჟამად ფადიშაჰ ამანულა ხანის და იმ რეფორმების წინააღმდეგ, რომლებსაც ის ატარებს, აჯანყდნენ აღმოსავლეთ ავღანისტანის ავღანური ტომები. ისინი წარმოადგენენ პირველყოფილ ტომებს, სადაც გამეფებულია ნატურალური მეურნეობა და საგვარეულო წყობილება. ისინი ბრმად ემორჩილებიან ფანატიკოს მოლებს და ტომების ბელადთა ბრძანებებს. წინად ისინი წარმოადგენდნენ ავღანისტანის არმიის საუკეთესო ნაწილს. ამანულა ხანის რეფორმებამდე ავღანისტანში არსებითად არ იყო რეგულიარული არმია. ინგლისის საფრთხისგან თავდაცვის მიზნით, რაც შეიძლება მეტ იარაღს ურიგებდნენ ავღანურ ტომებს, აძლევდნენ მათ განსაზღვრულ საგადასახადო და სამოსამართლო შეღავათებს და სხვ.. წარმოებდა აგრეთვე მათი სამხედრო გაწვრთნა შეძლებისდაგვარად. აღმოსავლეთ ავღანისტანის ტომები—დამოუკიდებელი პარტიზანული მებრძოლნი არიან. ცნობილია, რომ პარტიზანულმა ომმა კინაღამ არ გაანადგურა ლორდ რებერტსის არმია 1879 წელს და კიდევ ერთხელ აიძულა ინგლისელები უკან დაეხიათ.

ქაბულსა და ტომებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი მდგომარეობს იმაში, რომ ავღანისტანის პროგრესიული მთავრობა მკაცრად ატარებს ნაციონალურ თანასწორუფლებიანობის პოლიტიკას, აუქმებს ტომებისათვის მიცემულ საგადასახადო შეღავათებს, სპობს ძველ ადათებს და ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც დაკავშირებული არიან საგვარეულო წყობილებასთან და მეურნეობის ჩამორჩენილ ფორმებთან. ავღანისტანის ფადიშაჰს ესმის, რომ მხოლოდ მთლიანი ნაციონალური არმია, რომელსაც საფუძვლად უდევს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, შესძლებს ავღანისტანის დამოუკიდებლობის დაცვას მომავალ ომების დროს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბოლო ეღება ტომების ძველ პრივილეგიებს, ბოლო ეღება განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც მათ ეჭირათ სახელმწიფოში. ეს კონფლიქტი დააჩქარა იმან, რომ ევროპაში, საბჭოთა კავშირში, თურქეთში და სპარსეთში მოგზაურობის შემდეგ ფადიშაჰი მეტად სწრაფი ტემპით შეუდგა რეფორმების გატარებას. საკმარისი იყო რამოდენიმე ღონისძიება დახავსებულ სამღვდელოების პრივილეგიების და ძველი ყოფა-ცხოვრების და ადათების წინააღმდეგ, რომ აჯანყებულებს სათავეში ჩასდგომოდნენ რეაქციონერი მოლები და მათ იდეოლოგიურ მედროშეთ გამოსულიყო „ძველი ისლამი“, რომელიც მუდამ იყო ჩადრის, მასების უმეცრების და სამღვდელოების პრივილეგიის დამცველი. კონფლიქტს აძლიერებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ავღანისტანს ჯერ არ დაუმთავრებია შინაგანი მართვა-გამგეობის რეფორმა, არამც თუ პერიფერიებში, არამედ ცენტრშიაც კი არ შეუქმნია ჯერ ხელისუფლების ისეთი აპარატი, რომელიც შეეფერება ქვეყნის განახლებას. ამგვარად, მთავრობის ბრძოლას აჯანყების წინააღმდეგ აბრკოლებს ის, რომ ხელისუფლების აპარატში არიან ძველი საკმაოდ უმეცარი მოხელეები, რომელთაც ხშირად თავის პირდაპირ დანიშნულებათ მიაჩნდათ ქრთამის აღება. ამში არავითარ შემთხვევაში არ არის დამნაშავე პროგრესიული ავღანისტანი.

გავიხსენოთ, რომ 1924-25 წელს ავღანისტანში რეფორმები შეაჩერა და ჩაშალა რეაქციონურმა აჯანყებამ. აჯანყების ბელადის აბდულ ქერიმ-ხანის ჩვენებიდან, რომელიც მან ავღანისტანის სახელმწიფო ტრიბუნალს მისცა სჩანს, რომ აჯანყება მოაწყვეს ინგლისის აგენტებმა, აჯანყებულები ინგლისელებისაგან ღებულობდნენ იარაღს, სამხედრო მასალას და ფულს. ყოველგვარ ეჭვს გარეშე, რომ პროგრესიული ელემენტები, რომელნიც წარმოადგენენ დამდგარ პროგრესიულ სავაჭრო და ახლად აღმოცენებულ სამრეწველო კაპიტალის ინტერესებს, ადვილად ჩააქრობდნენ აჯანყებას, ვინაიდან მათ მხარეზეა არა მარტო არმია და მოხელეთა აპარატი, არამედ მოსახლეობის ფართო მასების სიმპატიებიც. არც ჩრდილოეთ ავღანისტანის მოსახლეობა, არც თვით ქაბულის და კანდაგარის ძირითად პროვინციების გლეხობა არ უყურებდა აქამდის თანაგრძნობით ტომების აჯანყებას, როგორც ეს სჩანს ხოსტის აჯანყების (1924-25 წელს) გამოცდილებიდან, და მზადაა გამოვიდეს პროგრესიული მთავრობის დასაცავად. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ მიზეზს, რომ შეცვლილიყოს ფართო მასების დამოკიდებულება ამანულა ხანისა და მისი რეფორმებისადმი.

მაგრამ დარჩა კიდევ ერთი მონაწილე, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ავღანისტანის სამოქალაქო ომში. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ინგლის-ინდოეთის მთავრობის ოფიციალურ მონაწილეობის შესახებ, ამ საქმის მოგვარება უფრო მარტივად შეიძლება. საკმარისი იყო ავღანისტანის საზღვრებზე საბაჟოებისათვის მიეცათ განკარგულება მძიმე ყუთების შეუმოწმებლად გატარების შესახებ ავღანისტანში (სწორედ ასევე იქნა შემოტანილი იარაღი ხოსტის აჯანყების დროს), საკმარისი იყო აჯანყების რაიონში გაეგზავნათ ავღანისტანის მრავალრიცხოვანი უკმაყოფილო არისტოკრატები, რომელნიც ამჟამად პენსიას იღებენ ინდოეთის მთავრობისაგან, საკმარისი იყო შინვარის ტომში გამოჩენილიყო ვინმე პოლკოვნიკი ლოურენსი, რომელიც, რასაკვირველია, კერძო პირის სახით მოქმედებს, და ბოლოს საკმარისი იყო მეფის მოადგილეს უყურადღებოდ დაეტოვებია ინგლისის პოლიტიკური აგენტების მოქმედება ხაიბარსა და ვაზირისტანში, რომ აჯანყების მთელმა მსვლელობამ უეცრად მიიღო ორგანიზაციული და მთლიანი სახე, რაც სრულიად არ შეეფერება ტომობრივ აჯანყებას. სხვანაირად შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რატომ უარყვეს მოულოდნელად აჯანყებულებმა მოლაპარაკება მთავრობასთან, საიდან გაჩნდენ აჯანყებულთა შორის სპეციალისტი-მესანგრეები, რომელნიც ხელმძღვანელობენ ასაფეთქებელ სამუშაოებს ჯელალაბადის მახლობლად, და ბოლოს, რატომ ცდილობენ ასე დაჟინებით აჯანყებულ ტომების ჯარები ქაბულის ხელში ჩაგდებას და მთავრობის ამოჟლეტას.

პროგრესიულ მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტია. რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ავღანისტანში ძველი მდგომარეობის აღდგენის ცდა, აშკარაა, რომ მისი მიზანია პროგრესიულ მუსლიმანურ სახელმწიფოს ადგილზე ინდოეთ-ბრიტანეთის იმპერიის ბუფეროს შექმნა. საბჭოთა კავშირის ხალხები უდიდესი თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს პროგრესიულ ავღანისტანის ბრძოლას რეაქციონერთა და იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ ზურგს უკან სდგას, და ყოველგვარ გალაშქრებას ავღანისტანის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აფასებენ, როგორც გალაშქრებას ხალხთა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ.

სოციალისტური შეტევის ერთი წელი

(საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის ერთი წლის თავისათვის)

პარტიის მე-15 ყრილობა იმდენად მნიშვნელოვანი თარიღია სოციალიზმისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში, რომ საჭიროა გადავხედოთ განვლილ გზას, შევამოწმოთ ჩვენი მუშაობა და მოვიგონოთ ერთი წლის წინად მიღებული გადაწყვეტილებანი, რათა უფრო მეტის რწმენით აღჭურვილნი წავიდეთ წინ სწორად დასახული გზით. ამ გზით სვლა—შემდეგში, წინანდელზე უფრო მტკიცე და მასიური სოციალისტური შეტევა შესაძლო გახდა მხოლოდ სოციალიზმის ტეხნიკური ბაზისის განმტკიცებით (მძიმე მრეწველობის განმტკიცება და ზრდა, მანქანათმშენება და ელექტროფიკაცია), კოოპერაციის გაძლიერებით ჩვენი პარტიის გამაგრებით და ზრდით.

მეტად მძიმე პირობებში შეიკრიბა პარტიის მე-15 ყრილობა. პარტიამ ამ ყრილობაზე შეკრებამდე ორი წლის განმავლობაში გადაიტანა მძაფრი შინაპარტიული ბრძოლა ოპოზიციასთან, რომელიც თავის საკუთარ გადაგვარებას ასაღებდა პარტიის გადაგვარებად, თავის საკუთარ დაქანებას მენშევიზმის გზით ასაღებდა ტერმიდორიანობად (ჩვენს ქვეყანაში და პარტიაში), თავის საკუთარ რწმენის უქონლობას სოციალიზმის გამარჯვებისადმი ასაღებდა პარტიის მიერ სოციალისტური რევოლიუციაზე ხელის აღებად.

იმ დროს, როცა იმპერიალისტები თავს ესხმოდნენ და არბევდნენ საზღვარ-გარეთ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობებს, ეს ჯგუფები აშკარა ცილის წამებით და პროვოკაციული ბრალდებებით გამოდიოდნენ პარტიის წინააღმდეგ.

მთელი მათი ბრძოლა პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ყველა გალაშქრება პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, მათი ცდა გაექარწყლებინათ ისეთი ზომების მნიშვნელობა, როგორიცაა შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება, მათი ცდა ცილი დაეწამებინათ წითელი არმიისათვის, საშინელი ფერადებით დაეხატათ ჩვენი შინაური მდგომარეობა, შეერყიათ მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების ნდობა პარტიისადმი—ყოველივე ეს თავისდიდად ამატებდა იმპერიალისტებს, იმედებს უღვიძებდა მესამე ძალას, არყევდა პროლეტარიატის დიქტატურას, აღრმავებდა ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის შინაგან სიძნელეებს, პარტიის ძალებს ხელს უშლიდა მუშათა კლასის წინაშე მდგომი ამოცანების უფრო წარმატებით გადაწყვეტაში. ყრილობის მოწვევის წინ ოპოზიციამ, რომელმაც შექმნა თავისი არალეგალური ორგანიზაცია, 7 ნოემბერს მოახდინა მეტად უბადრუკი, მაგრამ პროლეტარული დიქტატურისათვის საშიშათო გამოსვლა, რომელსაც ოპოზიციის ბელადები შემდეგში აფასებდნენ, როგორც „ოქტომბრის ტალღის უკანასკნელ რევოლიუციონურ აზვირთებას“.

პარტიის მე-15 ყრილობამ გამოიჩინა ბოლშევიკური სიმტკიცე და პარტიიდან განდევნა მოლალატე ჯგუფები, რომლებიც იდგნენ ტროცკისტების და საპრონოველების ანტი-პარტიულ პოზიციაზე. ყრილობა ვერ შეაკრთო ოპოზიციის „პორაჟენცულმა“ და „კლემანსოსებურმა“ თეზისებმა. ყრილობამ გააქარწყლა ტროცკისტების ცილისწამება იმის შესახებ, ვითომ პარტია ატარებდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის უარყოფის მემარჯვენე გეგმას, საერთაშორისო რევოლიუციისათვის მხარის დაჭერის უარყოფის და იმპერიალისტების შეტევის წინაშე კაპიტულიანტობის გეგმას და სხვ.

ყრილობამ აღნიშნა, რომ „ეკონომიური განვითარების განვლილი პერიოდი არის ნაბიჯის გადადგმა წინ სოციალიზმის მიმართულებით“. აქ ლაპარაკი იყო არა მხოლოდ მე-14 და მე-15 ყრილობებს შუა განვლილ პერიოდზე, რომელიც იყო სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა პერიოდი. წავედით თუ არა წინ სოციალიზმის გზით ლენინის შემდეგ? ამაზე ტროცკი, როცა ის ჯერ კიდევ პარტიის წევრი იყო, 1925 წლის შემოდგომაზე, აღფრთოვანებული უპასუხებდა, რომ „ჩვენ მტკიცედ შეგვიძლია ვსთქვათ: სახელმწიფო საგეგმო კომისიის მშრალი ციფრები მსოფლიოში პირველი უდიდესი მოწმეა მისა, რომ იზრდება სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე“ (ზაპოროჟიეში წარმოთქმული სიტყვა 1925 წლის 1 სექტემბერს). მაგრამ თუ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მაშინდელი ციფრები იყო „მსოფლიოში პირველი უდიდესი დამოწმება იმისა, რომ იზრდება სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე“, ყველამ უნდა აღიაროს, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები მე-15 ყრილობის შემდეგ მოწმობენ იმას, რომ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა სოციალისტური ელემენტების გამარჯვება ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ეს კიდევ ცოტაა: მე-15 ყრილობის შემდეგ ცაკას ნოემბრის პლენუმზე შესაძლო გახდა აღგვენიშნა სხვაგვარი სტრუქტურა და სხვაგვარი შეფარდება სახალხო მეურნეობის ორ სექტორს შორის: თუ 1925—26 სამეურნეო წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია პირველ რიგში იდგა და შეადგენდა 17.370,000.000 მან. და მრეწველობის საერთო პროდუქცია 12.448,000.000 მან., სამაგიეროდ 1928—29 წელს ჩვენ ვხედავთ მთელი ეკონომიკის შედარებით უდიდეს წინსვლას მრეწველობის ხელმძღვანელი როლის გაძლიერების მიმართულებით. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია უკვე მეორე რიგში სდგას და შეადგენს 18.624,000.000 მან., ხოლო მრეწველობის პროდუქცია—19.040,000.000 მანეთს. რასაკვირველია, მხოლოდ ფრაქციული გაბოროტება, მხოლოდ მენშევიკური მძულვარება ჩვენი პარტიისადმი უშლის ხელს ჩვენს მოწინააღმდეგეებს აღიარონ ჩვენი წარმატებანი, აღიარონ ჩვენი სიმართლე.

მე-15 ყრილობამ აღნიშნა, რომ საკმაო არაა ჩვენი წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საკმაო არაა ნათესი სივრცის გადიდება, საქონლიანობის ზრდა, უფრო მაღალი ტეხნიკის ელემენტების დანერგვა, აგრიკულტურის, მრავალმინდვრიანი სისტემის, ტეხნიკური კულტურების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის განვითარება, ყრილობა სცნობს, რომ „პირველხარისხოვან ამოცანად უნდა დაისვას დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობითი გადასვლა მსხვილი წარმოების ნიადაგზე (მიწის კოლექტიურად დამუშავება მიწადმოქმედების ინტენსიფიკაციის და მანქანიზაციის საფუძველზე, განსაზოგადოებული სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის ყოველგვარი საშუალებით ხელის შეწყობა და წახალისება“.

შესრულებულია თუ არა ეს დირექტივა? უნდა ვაღიაროთ, რომ პარტია არასდროს ისე უშუალოდ არ შესდგომია ამ ამოცანების გადაწყვეტას, როგორც ეხლა, მე-15 ყრილობის შემდეგ. ამ ყრილობის შემდეგ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი ყოველთვის სდგას პარტიული ორგანოების დღის წესრიგში როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ. ეს არის არა მარტო მოსავლიანობის გადიდების ზომების და ნათესი სივრცის გაფართოების საკითხი, თუმცა ამ საკითხს თავის-თავად უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს უახლოესი პერიოდისათვის. ამ საკითხების დასმა სახკომსაბჭოში, მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, ამ საკითხების დასმა და საკანონმდებლო გზით გადაწყვეტა მთავრობის ორგანოებში—სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, სახკომსაბჭოში, ცაკის სესიაზე—პარტიის მე-15 ყრილობის დირექტივების შესრულების შედეგს წარმოადგენს.

მაგრამ პარტიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა ეს საკითხი სწყდება კლასობრივი ბრძოლის, სოციალისტური შეტევის და მეურნეობიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნის თვალსაზრისით. ამ შეტევის ხაზი მკაფიოდ არის დასახული მე-15 ყრილობის მიერ. რეზოლიუციაში სოფლად მუშაობის შესახებ მე-15 ყრილობამ სცნო, რომ „პარტიის პოლიტიკის მიღწეული შედეგები სოფლად და ამის გამო შექმნილი ახალი მდგომარეობა საშუალებას აძლევს პროლეტარიატის პარტიას, სამეურნეო ორგანოების მთელი სიძლიერის გამოყენებით და გლეხობის ღარიბ-საშუალო მასებზე კვლავ დაყრდნობით უფრო განავითაროს შეტევა კულაკების წინააღმდეგ და მიიღოს ახალი ზომები, რომლებიც შეზღუდავენ კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად და გლეხურ მეურნეობას წაიყვანენ სოციალიზმის გზით“.

ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ პარტიის გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხებიან მსხვილი მარცვლეული საბჭოთა მეურნეობების შექმნას, ძველი საბჭოთა მეურნეობების გაუმჯობესებას და სოფლის კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობას. ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ღონისძიებანი ტრაქტორშენების გასაძლიერებლად და მთელი რიგი ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც პარტიის მე-15 ყრილობის დირექტივების ნიადაგზე ტარდებიან.

თავისთავად ცხადია, რომ მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებმა კაპიტალისტურ ელემენტებზე, კერძოდ კულაკებზე შეტევის გაძლიერების შესახებ, განსაზღვრეს გადამჭრელი ბრძოლა ყველა ოპორტუნისტულ და მემარჯვენე მერყეობასთან პარტიაში. ამ მხრივ ჩვენი პარტია სავსებით სისწორით მოუდგა მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას და ბრძოლა უმთავრესად მიმართა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს პარტიისათვის ეხლანდელ პერიოდში.

რასაკვირველია, მე-15 ყრილობის შემდეგ ჩვენ განვიცადეთ მრავალი მეტად მძიმე მომენტები. მაგრამ სწორი არ იქნება იმის მტკიცება, რომ თითქოს მე-15 ყრილობას არ ჰქონდა გათვალისწინებული ეს მძიმე მომენტები.

სწორედ ეს ყრილობა აფრთხილებდა პარტიას და ჩვენს ქვეყანას რომ „ქალაქისა და სოფლის კერძო-კაპიტალისტური ელემენტები, რომლებიც უკავშირდებიან საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ზოგიერთ ელემენტებს, ცდილობენ გაძლიერებული წინააღმდეგობა გაუწიონ მუშათა კლასის შეტევას, ცდილობენ პროლეტარული დიქტატურისათვის მტრული გავლენა მოახდინონ მოსამსახურეთა და ინტელიგენციის განსაზღვრულ ფენებზე, შინამრეწველების, ხელოსნების, გლეხებისა და მუშების ჩამორჩენილ ფენებზე“.

ჩვენ გარანტია არა გვაქვს, რომ პარტიის ზოგიერთი წევრი ასეთ მომენტებში მერყეობას, ქანაობას არ გამოიჩენს. მაგრამ ჩვენ გარანტია გვაქვს—ეს დაამტკიცა იმ ბრძოლამ, რომელიც ერთი წლის განმავლობაში სწარმოებს იდეოლოგიურ ფრონტზე ბოლშევიკური ხაზის მთლიანობისა და სიწმინდისათვის,—რომ პარტია ულმობელად უკუაგდებს ყოველგვარ იდეოლოგიურ მერყეობას თავის რიგებში, ბიუროკრატიზმის ყოველგვარ ელემენტებს, უშიშრად აღმოფხვრის გახრწნისა და გადაგვარების ელემენტებს, თუ ისინი თავს იჩენენ ამა თუ იმ ორგანიზაციაში. ამას პარტია მით უფრო წარმატებით განახორციელებს, რაც უფრო თანამიმდევრობით გაატარებს შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, თვითკრიტიკის განვითარების მტკიცედ აღებულ კურსს. არასოდეს ისე მკაცრად არ გაშლილა პარტიაში ჩვენი მუშაობის, ჩვენი ორგანიზაციის ნაკლოვანებათა კრიტიკა, როგორც მე-15 ყრილობის შემდეგ. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ამ დარგში უკვე ყველაფერი გავაკეთეთ. მხოლოდ პარტიის რიგების ღრმად და ყურადღებით გაწმენდა, პარტიიდან უცხო გახრწნილი და გაბიუროკრატებული ელემენტების განდევნის მიზნით, და ამავე დროს პარტიის პროლეტარული კადრის ყოველმხრივ განმტკიცება ქალაქში და სოფლად, მხოლოდ ეს მისცემს პარტიას საშუალებას გადასჭრას მუშათა კლასის წინაშე მდგომი ამოცანები და გადალახოს მე-15 ყრილობის მიერ აღნიშნული ჯერ კიდევ დაუძლეველი სიძნელენი და პრობლემები: „ექსპორტისა და იმპორტის პრობლემა, რომელიც მეტად გართულებულია საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებით, ძირითადი კაპიტალების პრობლემა, თვითღირებულებისა და სამრეწველო ფასების შემცირების პრობლემა, უმუშევრობისა და აგრარული მოსახლეობის სიჭარბის პრობლემა, საქონლის ნაკლებობის პრობლემა—ერთის მხრივ, და ქალაქებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების გაუმჯობესება—მეორეს მხრივ, და, დასასრულ, რეზერვების (საქონლის და სავალიუტო რეზერვების) დაგროვების პრობლემა“. ვიმეორებთ, ეს უძნელესი პრობლემები ჯერ კიდევ არ არიან გადაჭრილნი. ამ პრობლემების გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი შემდგომი წარმატებითი წინსვლა. ეს პრობლემები შეუსუსტებლად უნდა იდგნენ მთელი პარტიის ყურადღების ცენტრში. ისინი არ უნდა გვაშინებდნენ, ვინაიდან ჩვენ გვეყოფა ძალღონე მათ დასაძლევად, თუ სერიოზულ შეცდომებს არ დავუშვებთ პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხში, თუ არ შევუშინდებით ამ სიძნელეებს, თუ მთლიანობას დავიცავთ, თუ გადაჭრით უკუვაგდებთ ყოველგვარ იდეურ მერყეობას მარჯვნიდან და „მარცხნიდან“.

შეასრულა თუ არა პარტიამ მე-15 ყრილობის დირექტივები იდეოლოგიური ბრძოლის დარგში? საკმაოა გავიხსენოთ პარტიის ცხოვრების ძირითადი მომენტები რომ აღვნიშნოთ, რომ პარტია მედგრად უმკლავდებოდა მის რიგებში წარმოშობილ იდეოლოგიურ მერყეობას, მან ყველა ძირითად საკითხში ლენინური ხაზი ენერგიულად გატარებია შედეგად არა თუ შეინარჩუნა შინაგანი მთლიანობა, არამედ საკმაოდ მწვავე განხეთქილებაც შეიტანა ოპოზიციის რიგებში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს განხეთქილება მე-15 ყრილობის წინაც დაიწყო, როდესაც ოპოზიცია გამოვიდა ორი პლატფორმით და ბუფერული ჯგუფის განცხადებით. მე-15 ყრილობაზე ტროცკისტებისა და ზინოვიევის მიმდევრების ბლოკი ჩაიშალა. „ლენინგრადის ჯგუფი“ თითქმის მთლიანად, მისი მთავარ და მეორეხარისხოვანი ბელადებით და მუშათა აქტივით, დაბრუნდა პარტიის რიგებში და ხელი აიღო ტროცკისტების პლატფორმასთან სოლიდარობაზე. მაგრამ ერთი წლის ბრძოლამ დარჩენილ ტროცკისტებშიაც მოახდინა შემდგომი დანაწილება. ერთ-ერთი ტროცკისტის სიტყვით „ეს ხალხი იქამდე მივიდა, რომ ახერხებენ 11 კაცში ჰყავდეთ „მემარჯვენენი“, „მემარჯვენენი მემარცხენე განხრით“ „ცენტრი“ „მემარცხენე და მმარჯვენე გადახრით“, „მემარცხენენი“ და სხვ., ერთი სიტყვით, ისეთი აბდაუბდაა, რომ თავბრუ დაგეხვევათ“. ყოველ შემთხვევაში, ტროცკისტები სრულიად გარკვევით იშლებიან სამ ჯგუფად: ერთი ჯგუფი, რომელიც თანდათან რწმუნდება, რომ პარტიასთან დაახლოვებას უნდა ცდილობდეს, ხედავს თავის შეცდომებს და ასწორებს მათ. ამ ამხანაგების ნაწილი დაბრუნდა პარტიაში, ხოლო ნაწილი დაბრუნების გზაზეა შემდგარი, მეორე ჯგუფი იხრება „მარცხნივ“, კონტრ-რევოლიუციისაკენ, „დეცისტებისაკენ“ („დემოკრატიული ცენტრი“—საპრონოვის ჯგუფი), რომლებიც ამტკიცებენ, რომ საკავშირო კომპარტია (ბ) ლეშია, რომ საბჭოთა მთავრობასთან შესაძლებელია მხოლოდ ბრძოლა. ხოლო ცენტრს—მესამე ჯგუფს შეადგენს ის ხალხი, რომელიც მერყეობს მეორე, მესამე და მეოთხე ინტერნაციონალს შორის, რომელიც სიტყვიერად აკრიტიკებს დეცისტებს იმისათვის, რომ სინამდვილეში მათი კონტრ-რევოლიუციონური ლოზუნგები გამოიყენოს, რომელიც სიტყვიერად აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატებს იმისათვის, რომ სინამდვილეში მათთან ბლოკი შეჰკრან. ეს ჯგუფი, თვით ტროცკისტების სიტყვებით, ეხლა სცდილობს დაამტკიცოს, რომ არავითარი „ისტორიული ტროცკიზმი“ არ ყოფილა და რომ ტროცკი მართალი იყო, როდესაც ლენინის წინააღმდეგ გამოდიოდა ბრესტის პერიოდში, პროფკავშირების საკითხზე გამართულ დისკუსიაში და პერმანენტული რევოლიუციის საკითხში. ეს ჯგუფი ქადაგებს კრონშტადტის ლოზუნგებს, ცდილობს ჩაშალოს კოლექტიური ხელშეკრულებები და იდეურად მოამზადოს თავისი „კადრები“ სამოქალაქო ომისათვის. პარტია მე-15 ყრილობაზე აბსოლუტურად მართალი იყო, როდესაც თავისი რიგებიდან გააძევა ისინი. ერთი წლის ბრძოლამ ნიღაბი ახადა ამ ხალხს, რომელიც მზად არის დალუპოს პარტია, რომელიც მზად არის ყველასთან შეჰკრას ბლოკი ლენინურ პარტიასთან საბრძოლველად.

ჩვენი პარტიის მჭიდრო შეკავშირება და მტკიცე კლასობრივი პროლეტარული ხაზის განუხრელად გატარება ფაქტიურად ამარტოვებს ამ ხალხს, თანდათან უფრო სასაცილოდ და უბადრუკად ხდის მათ მათი გუშინდელი მომხრეების თვალში, შესაძლებელს ხდის დაძლეულ იქნას პარტიის ცალკე წევრების მერყეობა, რაც გამოიხატება ერთგვარ თანაგრძნობაში „მემარცხენე“ გეზისადმი, რომელიც კვლავ მემარცხენე ფრაზებით ფარავს მემარჯვენე შინაარსს. ამ ბრძოლაში ჩვენ ამჟამად აქტიურად უნდა ჩავაბათ პარტიის წევრები. ჩვენი პასივობა მხოლოდ ფრთებს ასხამს მათ.

პარტიის მე-15 ყრილობამ მოგვცა სწორი, მკაფიო, გარკვეული, მომქმედი ხაზი, რომელიც უდიდეს აქტივობას აღვიძებს. სოციალიზმისათვის ბრძოლის გზებზე იზრდება ეს აქტივობა, მაგრდებიან პარტია, კომკავშირი და პროფკავშირთა მრავალმილიონიანი პროლეტარული კადრები, თანდათან უფრო ძლიერდება კოოპერაციის ქსელი, თანდათან უფრო და უფრო მაღლა იწევს კულტურული რევოლიუციის ტალღა, საბჭოთა სისტემა უფრო და უფრო მდიდრდება ღრმა შინაარსით და იმოსება მეურნეობის მკაფიო სოციალისტური ფორმებით. ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ, რათა მივაღწიოთ წარმატებას მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის!

ერთი ნაბიჯითაც არ უნდა დავიხიოთ უკან ამ გადაწყვეტილებებიდან!

„პრავდა“, 20 დეკემბერი.

ბრძოლა მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის ქაბულთან

მთავრობას თანდათან ემატება დამხმარე ძალები

ინგლისელების პროკლამაციები.—ინგლისი ავღანისტანის საქმეებში ჩარევით იმუქრება

ინგლისის საქმიან წრეებში იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი

აჯანყება ავღანისტანში

ბრძოლა ქაბულის ირგვლივ

ქაბული, 19 დეკემბერი. 14 დეკემბერს, დაახლოვებით დღის 4 საათზე, აჯანყებულთა ბანდებმა, რომლებიც მიუახლოვდნენ ქაბულს, დაიწყეს ქაბულზე მოულოდნელი შეტევა. ბანდები ქალაქთან მივიდნენ მობილიზაციით გაწვეულთა სახით. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ქაბულის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილი, სამხედრო ჰოსპიტალი ბაგი-ბალა, რომელიც მდებარეობს ქაბულის ახლო მდებარე სიმაღლეზე, ერთ-ერთი სამხედრო სკოლა, რამოდენიმე სიმაგრე და სამხედრო მოწყობილობათა რამოდენიმე საწყობი. საღამოს აჯანყებულები გამაგრდნენ მათ მიერ აღებულ პოზიციებზე.

დილით, 15 დეკემბერს აჯანყებულები შეეცადნენ იერიშის გაგრძელებას და შესძლეს წინ წაწევა ქალაქის ცენტრისაკენ, მიუახლოვდნენ იტალიის მისიას, სროლით იერიში მიიტანეს აეროდრომის, სასახლის და იმ რაიონისაკენ, სადაც იმყოფებიან სპარსეთის და ოსმალეთის მისიები. საღამოსათვის მთავრობის ჯარებმა შესძლეს მათი შეჩერება და აჯანყებულებმა დაიხიეს თავიანთ პირვანდელ პოზიციებისაკენ. ღამის განმავლობაში აჯანყებულთ დამხმარე ძალა მიემატა. 16 დეკემბერს მათი რიცხვი დაახლოვებით 6.000 კაცს აღწევდა.

16 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლა ქალაქის განაპირა უბნების, აეროდრომის და მთიან მაღლობების ხელში ჩასაგდებათ.

ქაბულში საკმაო ჯარის უქონლობისა და დამხმარე ჯარების გვიან მოსვლის გამო, ქალაქის დამცველი ჯარის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ჯარების, ავიაციის და შეიარაღებული მოსახლეობის შეერთებული ძალღონით შესაძლებელი გახდა აჯანყებულთა შეჩერება. ღამის განმავლობაში მოვიდა დახმარება ქაბულის მახლობელ რაიონებიდან—ლოგარა და გიარდეზიდან. მოვიდნენ აგრეთვე სამხრეთის პროვინციის ტომების რაზმები.

17 დეკემბერს, ავიაციის დახმარებით, მთავრობის ჯარები გადავიდნენ იერიშზე და საღამოსათვის შესძლეს მეამბოხეთა გაბრუნება ქაბულის მიდამოებიდან პაგმანჩარიკარის გზის მიმართულებით.

აჯანყებულები გამაგრდნენ იმ მაღლობებზე, რომლებიც ჰყოფენ ქაბულს ჩარიკარისაგან, ქაბულის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეში. 18 და 19 დეკემბრის განმავლობაში გრძელდებოდა დიდი ბრძოლები ამ პოზიციების ხელში ჩასაგდებად. აჯანყებულები განსაკუთრებული თავგამოდებით აწარმოებდნენ თავდაცვითი ბრძოლას ბაგი-ბალას გორაკზე. მთავრობის ჯარების და ავიაციის შეტევამ ამ პუნქტებზე 19 დეკემბრის საღამოსთვისაც გადამწყვეტი შედეგი არ გამოიღო. ქაბულში გრძელდება მთავრობის დამხმარე ჯარების მისვლა. სხვათა შორის, დამხმარე ჯარი მივიდა კანდაგარადან.

აჯანყებულებმა დააზიანეს ელექტრო-სადგური, რომელიც ელექტრო-ენერგიას აწვდიდა ქაბულს, ამის გამო ქაბულს სინათლე არა აქვს და შეჩერებულია აგრეთვე რადიო-სადგურის მუშაობა. თვითმფრინავები განაგრძობენ ყუმბარების დაშენას ბაგი-ბალასათვის.

18 დეკემბერს ქაბულზე გამოჩნდა ინგლისის სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც ფოსტა ჩამოუგდო ინგლისის მისიას. ძალიან დაბლა დაშვების დროს თვითმფრინავი მოჰყვა თოფის სროლაში და დაზიანდა, რის გამო იძულებული გახდა დაშვებულიყო აეროდრომზე. ორი საათის შემდეგ გამოჩნდა მეორე თვითმფრინავი, რომელმაც რამდენჯერმე შემოუარა თავზე ქაბულს და გაფრინდა უკან პეშევარის მიმართულებით (ინდოეთი). როდესაც აეროპლანი დაფრინავდა ქაბულს, იგი აწარმოებდა რადიო-მოლაპარაკებას ინგლისის მისიასთან. 19 დეკემბერს კიდევ გამოჩნდა ინგლისის სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც აგრეთვე აწარმოებდა რადიო-მოლაპარაკებას ინგლისის მისიასთან და ქალაქში ჰყრიდა შემდეგი შინაარსის პროკლამაციებს: „მეგობარო, მამაცო და ღვთის მორწმუნე ავღანელო ხალხო. თქვენ კარგად იცით, რომ ინგლისი დიდი ხანია ავღანელების და ავღანისტანის მეგობარი და კეთილის მსურველი იყო და არის. იგი ყოველთვის სიხარულით ეგებებოდა ავღანისტანის პროგრესსა და აყვავებას. მანამდე, სანამ ინგლისის მისია ქაბულში და საკონსულოები ჯელალაბადში და კანდაგარში საფრთხის გარეშე იქნებიან, რადგან ყველა მისიებისადმი პატივისცემა ნაკარნახევია როგორც ისლამით, ისე საერთაშორისო წესებით, ინგლისი არ ჩაერევა თქვენს შინაურ საქმეებში და მღელვარებაში. და თუ თქვენი მხრიდან, ე. ი. ავღანელი ხალხის მხრიდან, ჩადენილი იქნება რაიმე ძალდატანებითი მოქმედებანი ბრიტანეთის მოსამსახურეთა, ან საკონსულოების და მისიების მიმართ, გაფრთხილებთ, რომ იმ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს, მისი მოსამსახურეების, მისიების და საკონსულოებისათვის, ან მათ ქონებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად“.

ინგლისის თვითმფრინავის მიერ ამ პროკლამაციის გადმოყრის ფაქტი და მუქარის კილო დიდ აღშფოთებას იწვევს ქაბულის ავღანურ წრეებში.

ლონდონი, 20 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო პეშავარიდან (ინდოეთი) იუწყება: „უკანასკნელი ცნობებით, ჯელალაბადსა და ქაბულს შუა მომქმედ აჯანყებულთა პოზიცია ძალიან ძლიერია. დროებითი ზავის დროს აჯანყებულებმა არ დაუშვეს, რომ მთავრობის დამხმარე ძალა მოსულიყო ჯელალაბადამდე. მაგრამ ისინი კმაყოფილდებიან იმით რომ ჯელალაბადი განცალკევებულ მდგომარეობაში რჩება. ყაჩაღების ბანდები თავმოყრილნი არიან ქაბულის ჩრდილოეთით. პარასკევს და შაბათს მოხდა შეტაკებები, მაგრამ ქალაქი დიდათ არ დაზიანებულა. ბანდები დღემდე ჯერ კიდევ არ არიან გაფანტული. სხვა პროვინციებში სიწყნარეა. ჯელალაბადის მახლობლად მოლაპარაკება სწარმოებს მთავრობის წარმომადგენლებსა და აჯანყებულებს შორის“ (ადს).

ინგლისური წყაროებიდან მიღებული ცნობები არ შეეფერება სინამდვილეს

ტაშკენტი, 20 დეკემბ. როგორც ქაბულიდან იტყობინებიან, ინგლისურ წყაროებიდან მიღებული ცნობები, თითქოს, ქაბული ხელში ჩაიგდეს აჯანყებულებმა, არ შეეფერება სინამდვილეს (ადს).

რადიო კავშირი ქაბულთან აღდგენილია

ტაშკენტი, 20 დეკემბ. 20 დეკემბერს დილის 8 საათზე მოხერხდა უშუალო რადიო-კავშირის აღდგენა ქაბულის ცენტრალურ სახელმწიფო რადიო-სადგურთან. ორი დღის დუმილის შემდეგ პირველად მოდის დეპეშები ქაბულიდან (ადს).

საპარლამენტო არჩევნების შედეგები რუმინეთში

მუშათა და გლეხთა ბლოკის აღმასკომის მოწოდება

ვენა, 19 დეკემბერი. რუმინეთის მუშათა და გლეხთა ბლოკის ორგანო „ინაინტე“ აქვეყნებს ბლოკის აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდებას, რომელშიაც ანალიზს უკეთებს უკვე დამთავრებული საპარლამენტო არჩევნებს.

ეხება რა ბლოკის მიერ მანდატების მიუღებლობის მიზეზებს, აღმასკომი აღნიშნავს, რომ გარდა იმისა, რომ ბლოკის წინააღმდეგ მთავრობა მიმართავდა ტერორს, ხელისუფლებამ შეგნებულად არ ჩაატარა საარჩევნო სიებში საჭირო დამატებანი, რის გამო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცა მხოლოდ მუშების 20 პროცენტს.

„არჩევნების შედეგები, ნათქვამია მოწოდებაში, წარმოადგენს რუმინეთის ბურჟუაზიის მთლიანობის მანიფესტაციას მუშათა და გლეხთა მასების რევოლიუციონური ბრძოლის წინააღმდეგ. მაგრამ მუშათა და გლეხთა ბლოკის საარჩევნო აგიტაციაზე მასიური გამოხმაურება მოწმობს მუშათა და გლეხთა აშკარა გამემარცხენებას. წარსულ არჩევნებთან შედარებით, ბლოკმა 8000 ხმით მეტი მიიღო“.

აღმასკომი მოუწოდებს რუმინეთის მუშებს და გლეხებს შექმნან ფაბრიკებში და სოფლებში მთლიანი ფრონტის კომიტეტები. (ადს).

ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი

ინგლისის საქმიან წრეებში

ლონდონი 19 დეკემბერი. „ინგლიშ რევიუ“-ს რედაქტორი რემნანტი პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შეეხო იმ მოლაპარაკებას, რომელიც მას ჰქონდა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველთან საფრანგეთში ბესედოვსკისთან ინგლისის საქმიან წრეების დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამგზავრების შესახებ. რემნანტმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია ინგლისმა მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღორძინებაში (ადს).

ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ

ვენა, 19 დეკემბ. უკრაინელ ემიგრანტთა ორგანიზაციამ ვენაში ავსტრიის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას და პრესის ორგანოებს დაუგზავნა მასალები, რომლებიც ეხება უკრაინელთა დარბევას ლვოვში, და უკრაინელთა მდგომარეობას პოლონეთში. ამავე დროს ორგანიზაციამ დაგზავნა რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა უკრაინელ ემიგრანტების კრებაზე ვენაში. რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს შვიდმილიონიან უკრაინელ მოსახლეობის ჩაგვრის წინააღმდეგ პოლონეთში. კერძოდ, რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს იმ ტერორის წინააღმდეგ, რომელსაც მუშები განიცდიან უკრაინელ ოლქებში (ადს).

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 19 დეკემბ. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატაში შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ლუგანოში შეხვედრამ გარეშე საქმეთა მინისტრებს საშუალება მისცა აღმოეფხვრათ ზოგიერთი გაუგებრობანი. ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ რეპარაციების საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, რადგანაც ამ საკითხზე მოლაპარაკება მიმდინარეობს ჩვეულებრივი გზით და მინისტრებს არ სურდათ ეწარმოებიათ პარალელური მოლაპარაკება, რამდენადაც საამისო ცენტრს წარმოადგენს პარიზი.

შემდეგ ჩემბერლენმა გამოსთქვა იმედი, რომ ექსპერტთა კომიტეტი შესძლებს მუშაობის დაწყებას ახალი წლის დასაწყისში. (ადს).

მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესია

პარიზი, 19 დეკემბ. სრულიად ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის თავმჯდომარის, ჰერბერტ სმიტის თავმჯდომარეობით ბრიუსელში შესდგა სამთამადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესია; აღმასკომი შეეკითხა შვეციის და ნორვეგიის სამთამადნო მუშათა კავშირებს მათ დამოკიდებულების შესახებ ს. ს. რ. კ. სამთამადნო მუშათა პროფკავშირთან და კერძოთ იმ სიტყვის შესახებ, რომელიც წარმოთქმული იყო საბჭოთა დელეგაციის მიერ ნორვეგიის კავშირის უკანასკნელ ყრილობაზე ქ. ოსლოში.

სოციალ-დემოკრატების „საცოდავი იმედები“

ვენა, 19 დეკემბერი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, პილიშვერიშვარში გრძელდება უნგრეთის სამთამადნო მუშათა გაფიცვა.

უნგრეთის პარლამენტის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა მიმართეს თხოვნით პარლამენტის უმრავლესობას, რათა მან მიმართოს თხოვნით მეწარმეებლებს დათმობაზე წასვლის შესახებ, რომ „შობის დაწყებისას 1700 მშიერ მემაღაროეს პური მაინც ექნეს“-ო.

პრემიერი ბეტლენი გამოვიდა სოც.-დემოკრატების წინადადების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ სწარმოებს ოფიციალური შემარიგებელი მოლაპარაკება და ამიტომ „ყოველივე აზრი კონფლიქტში პარლამენტის ჩარევის შესახებ წარმოადგენს ყოვლად უვარგის და საცოდავ იდეას“ (ადს).

დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა ბელდის მანდატი

პარიზი, 19 დეკემბერი. ბელგიის დეპუტატთა პალატამ იცნო ლიბერალ ბელდის მანდატი, რომელმაც ბორმსის შემდეგ ყველაზე მეტი ხმები მიიღო.

შენიშვნა: ანტვერპენში არჩევნების დროს არჩეული იქნა ფლამანდიის ნაციონალური მოძრაობის მოღვაწე ბორმსი, რომელიც 1919 წელში გერმანიის ოკუპაციის დროს ფლამანდიელთა შორის ნაციონალისტური პროპაგანდის წარმოებისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული და ბრალდებოდა „სახელმწიფოებრივი მოღალატეობა“. მას მიესაჯა სიკვდილით დასჯა რაც შეეცვალა სამუდამო კატორღით. ბელგიის დეპუტატთა პალატის კომისიამ უარყო ბორმსის არჩევა. ბელდი, რომლის კანდიდატურაც დამტკიცებულია, წარმოადგენს რეაქციონურ პარტიათა კანდიდატს (ადს).

„მუშაობის განაწილება“

ბერლინი, 19 დეკემბერი. „კენიგსბერგერ ალგემეინე ცეიტუნგ“-ის ცნობით, შეთანხმება მოხდა „მუშაობის განაწილების“ შესახებ გერმანიის სამეურნეო წრეების მიერ ამას წინეთ შექმნილ „რუსეთის საქმეთა კომიტეტსა“ და „რუსეთის და აღმოსავლეთის ქვეყნების კენიგსბერგის სამეურნეო ინსტიტუტს“ შორის. ეს შეთანხმება ძალაში შედის 1929 წლის პირველ იანვრიდან და ითვალისწინებს „მუშაობის შემდეგნაირად განაწილებას: „რუსეთის საქმეთა კომიტეტი“ შეიმუშავებს „სამეურნეო პოლიტიკის და სამეურნეო ურთიერთობის ყველა პრინციპიალურ და ცალკე საკითხს, ხოლო კენიგსბერგის ინსტიტუტი კისრულობს „სამეურნეო ურთიერთობის შესწავლას აღმოსავლეთში“; გარდა ამისა, ინსტიტუტი საბჭოთა სამეურნეო ორგანოებს აცნობებს ხოლმე ახალ მოვლენებს გერმანიის ტეხნიკურ დარგში და აგრეთვე გერმანიის სოფლის მეურნეობაში. შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ მის დამდებ ორივე ორგანიზაციის პრეზიდიუმებში შევა ორივეს ორ-ორი წარმომადგენელი (ადს).

ახალი კანონპროექტი

ვენა 20 დეკემბერი. უნგრეთის დეპუტატთა პალატამ პირველი წაკითხვით მიიღო მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას და შეკითხვებს პარლამენტში.

კანონპროექტი მიღებულია მთავრობის მომხრე ჯგუფების ხმებით. სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს მონაწილეობა არ მიიღონ კანონპროექტის ირგვლივ გამართულ კამათში (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის დელეგაცია აპირებს საბჭოთა კავშირში გამგზავრებას

ბერლინი, 20 დეკემბერი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით, ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა არ გაუწიოს წინააღმდეგობა ინგლისის ფინანსისტების, მრეწველების და პოლიტიკოსების დელეგაციის გამგზავრებას საბჭ. კავშირში. დელეგაციაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის დიდი ბანკების წარმომადგენელნი და აგრეთვე ყოფილი კონსერვატორი მინისტრი (ადს).

დარბაზობა კრესტინსკისთან

ბერლინი, 19 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბერლინში ამხ. კრესტინსკიმ და მისმა ცოლმა დარბაზობა გამართეს მოსკოვში გერმანიის ახლად დანიშნული ელჩის ფონ-დირკსენის პატივსაცემად. დარბაზობაში მონაწილეობა მიიღო რეიხსკანცლერმა მიულერმა (ადს).

მოსალოდნელია ახალი კონფლიქტი

ბერლინი, 20 დეკემბერი. 31 დეკემბერს გადის სატარიფო შეთანხმების ვადა ჰანოვერის, ჰამბურგის და შუა-გერმანიის რაიონებში. მრეწველები გადაჭრით უარყოფენ მუშათა ყოველგვარ მოთხოვნას ხელფასის გადიდების შესახებ. მუშათა საერთო რიცხვი, რომლებსაც კონფლიქტი შეეხება, 120.000-მდე აღწევს (ადს).

კომუნისტ დეპუტატების წინადადება უარყვეს

პრაღა, 20 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის დღევანდელ სხდომაზე კომუნისტ დეპუტატმა შტერნმა შეიტანა წინადადება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრ ბენეშს მოეთხოვოს ახსნა-განმარტება აგრარიების პარტიის (მთავრობის პარტიის) საღამოს გაზეთ „ვეჩერ“-ში მოთავსებული წერილის გამო. (ეს წერილი ადასტურებს ცნობას ფრანგი გენერალის გამგზავრების ანტი-საბჭოთა მიზნებისა და ანტი-საბჭოთა ბლოკში ჩეხო-სლოვაკიის მონაწილეობის შესახებ). შტერნის წინადადება უარყოფილ იქნა (ადს).

ახალი საპარლამენტო რეგლამენტი

ვენა, 20 დეკემბერი. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ უნგრეთის დეპუტატთა პალატამ გუშინ მიიღო კანონპროექტი საპარლამენტო რეგლამენტის შეცვლის შესახებ. სხვათა შორის, მიღებულია დადგენილება, რომელიც თავმჯდომარეს ანიჭებს უფლებას ამოშალოს სხდომის ოქმიდან ის ადგილები, რომლებიც „შეეხებიან საპარლამენტო და საერთაშორისო ჩვეულებებს, ნაციონალურ და რელიგიურ გრძნობას და სთესავენ კლასობრივ შუღლს“. გაზეთებში ასეთი ადგილების გამოქვეყნება აკრძალულია. ხვალ პარლამენტი იმუშავებს ახალი რეგლამენტის მიხედვით (ადს).

თანხმობა ვაშინგტონის არბიტრაჟზე

პარიზი, 19 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ბრიანმა ბოლივიის და პარაგვაის მთავრობებისაგან მიიღო დეპეშები, რომლებშიც ისინი ატყობინებენ მას, რომ თანახმანი არიან ვაშინგტონის არბიტრაჟზე (ადს).

აღშფოთება სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის

ბერლინი, 19 დეკემბერი, სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის დიდ აღშფოთებას იწვევს სოციალ-დემოკრატ მინისტრების პოლიტიკა რეინ-ვესტფალიის ლითონის მრეწველობის ლოკაუტის საკითხში. მუშები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სოციალ-დემოკრატი მინისტრები თავისი პოლიტიკით მხარს უჭერდენ კაპიტალისტებს და ხელს უწყობდნენ ლოკაუტ გამოცხადებულ მუშათა ბრძოლის ლიკვიდაციას (ადს).

დამბა დორჯის დანიშვნა

ულან-ბატორი, 19 დეკემბერი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლად საბჭოთა კავშირში დანიშნულია დამბა დორჯი (ადს).

პროფკავშირების სრულიად საკავშირო ყრილობა

კამათი ამხ. ტოლსტოპიატოვისა და ნემჩენკოს მოხსენებათა გარშემო

მოსკოვი, 20 დეკემბ. პროფკავშირთა ყრილობის 19 დეკემბრის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ტოლსტოპიატოვისა და ნემჩენკოს მოხსენებათა გარშემო. თითქმის ყველა ორატორი ეხებოდა შრომის დაცვის საკითხს. ორატორებმა აღნიშნეს შემთხვევები, როდესაც შრომის დაცვისათვის გადადებული თანხები არ იხარჯებოდა პირდაპირის დანიშნულებით.

კამათის დროს გამოვიდა ამხ. **სემაშკო,** რომელიც შეეხო ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. ამხ. სემაშკომ ყრილობის წევრებს მიმართა მოწოდებით, რომ მათ ადგილებზე ენერგიული კამპანია გააჩაღონ ალკოჰოლის წინააღმდეგ.

სხდომის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარმა ამხ. **უგლანოვმა,** რომელმაც დაახასიათა შრომის სახალხო კომისარიატის ძირითადი ამოცანები ამჟამად. ამხ. უგლანოვმა აღნიშნა, რომ შრომის სახალხო კომისარიატს მუშაობის გაძლიერება უხდება რთულ სამეურნეო ამოცანათა პირობებში. პირველ რიგში უნდა შეუდგეთ ჩვენი სოციალისტური მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო და ტეხნიკურ ძალთა კადრების ფართოდ მომზადებას. შემდეგ საყურადღებო ამოცანას შეადგენს უმუშევრობასთან ბრძოლა. რომ შევაჩეროთ მუშა-ძალის განუწყვეტელი დენა სოფლიდან ქალაქში, ამისათვის საჭიროა სოფელში შევუდგეთ მიწადმოწყობის საქმეს, კოოპერაციის გაფართოებას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელ საწარმოთა განვითარებას და სხვ.

შემდეგ ამხ. უგლანოვი შეეხო შრომის სახალხო კომისარიატის ამოცანებს პროლეტარიატის საბინაო და ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ამხ. უგლანოვი შეეხო სამუშაო ხელფასის საკითხს და აღნიშნა, რომ სამუშაო ხელფასის ზრდა უნდა შეეფარდოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ამხ. ტოლსტოპიატოვისა და ნემჩენკოს საბოლოო სიტყვები

19 დეკემბერს საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საბოლოო სიტყვები საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ტოლსტოპიატოვისა და სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველოს უფროსის ამხ. ნემჩენკოსი.

ყრილობამ მოიწონა შრომის სახალხო კომისარიატისა და სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველოს საქმიანობა და აირჩია კომისია 45 კაცისაგან ორივე მოხსენებათა გამო რეზოლიუციების შესამუშავებლად.

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

შემდეგ მოხსენებით მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუიბიშევი.

„მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა,—სთქვა ამხ. კუიბიშევმა,—ითვალისწინებს მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდას 18.129 მილ. მანეთიდან (1928-29 წ. ხუთწლეულის პირველ წელს), 28.981 მანეთამდე (1932-33 წ. ხუთწლეულის უკანასკნელ წელს). 1927-28 წელთან შედარებით, ხუთწლეულის უკანასკნელ წელს ზრდა 167 პროცენტს შეადგენს. საერთო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 21 პროცენტს უდრის.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი გადადის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ცალკე ელემენტების განხილვაზე და აღნიშნავს, რომ გეგმა ითვალისწინებს განვითარების ყველაზე უფრო სწრაფ ტემპს მძიმე ინდუსტრიის იმ დარგებში, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის გარდაქმნას მაღალი ტეხნიკისა და კოლექტივიზაციის ბაზაზე. განვითარების განსაკუთრებით სწრაფი ტემპი გეგმით გათვალისწინებულია სასუქთა წარმოების დარგში. ხუთწლიანი პროგრამა ითვალისწინებს ხუთწლეულის უკანასკნელი წლისათვის 7 მილ. ტონა სასუქის წარმოებას, რაც ხუთწლეულის პირველ წელთან შედარებით 20-ჯერაა გადიდებული.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი გადადის მრეწველობის მიერ ტრანსპორტის საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხზე და აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მთელი რიგი სპეციალური ახალი ქარხნების აგებას და ძველი ქარხნების რეკონსტრუქციას, ტრანსპორტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

„ჩვენი მრეწველობის ხუთწლიანი გეგმით,—სთქვა შემდეგ ამხ. კუიბიშევმა,—უმთავრესად გათვალისწინებულია მძიმე ინდუსტრიის, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის ძირითადი ბაზის განვითარება. ამავე დროს გეგმა ითვალისწინებს მსუბუქი ინდუსტრიის მაქსიმალურ განვითარებას. კერძოდ, ხუთწლეულის განმავლობაში საფეიქრო მრეწველობაში პროდუქცია გაიზრდება ორჯერ, ქაღალდის მრეწველობაში ოთხნახევარჯერ, შაქრის მრეწველობაში ორჯერ, კონსერვის მრეწველობაში რვაჯერ და სხვ.“.

შემდეგ ამხ. კუიბიშევმა დაწვრილებით დაახასიათა მრეწველობის ნედლეული ბაზის ზრდა. ხუთწლეულის დასასრულს ბამბის მოსავალი, ომის წინა დროსთან შედარებით, გადიდებული იქნება ორჯერ; სულ შეგროვილი იქნება 5 მილ. ცენტნერი ბამბა. გათვალისწინებულია აგრეთვე სელის და სხვ. ნედლეულ კულტურათა საერთო მოსავლის გადიდება. ხუთი წლის განმავლობაში მრეწველობაში დაბანდებული იქნება 15 მილიარდი მანეთი; აქედან 12.700 მილ. მანეთი გადაიდება მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის. ამასთან ერთად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამშენებლო ინდექსის შემცირებას 47 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 32 პროცენტით, ფასების დაკლებას 24 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდას 95 პროცენტით და რეალური სამუშაო ხელფასის ზრდას 56 პროცენტით.

ამხ. კუიბიშევი გამოსთქვამს რწმენას, რომ ხუთწლიანი გეგმა, მიუხედავად მეტის-მეტი დატვირთვისა, ჩვენი სამეცნიერო და ტეხნიკურ ძალთა დახმარებით, მუშათა ფართო გამომგონებლობისა და მუშათა კლასისა და პროფკავშირთა აქტიური მონაწილეობით შესრულებული იქნება (ადს).

სამოქალაქო ავიაცია საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 20 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი ინსპექტორის ამხ. ზარზარის ცნობით, საბჭოთა კავშირის საჰაერო გზების საერთო სიგრძე 1927-28 სამეურნეო წლის დამლევისათვის უდრიდა 11.971 კილომეტრს, 1927-28 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საჰაერო გზებზე არ დაღუპულა არც ერთი კაცი.

„საშობო დღესასწაულების“ წინააღმდეგ

ხარკოვი, 20 დეკემბერი. ხარკოვის თითქმის ყველა ქარხანა-ფაბრიკების მუშებს ერთხმად გამოაქვთ დადგენილება 25-26 დეკემბრის გამოცხადების შესახებ სამუშაო დღეთ.

სემიპალატინსკი, 20 დეკემბერი, სტამბის მუშებმა დაადგინეს იმუშაონ 25 დეკემბერს.

იჟევსკი, 20 დეკემბერი. იჟევსკის ქარხნის მუშების უმრავლესობამ გადასწყვიტა იმუშაონ 25 დეკემბერს. მათ მაგალითს ჰბაძავენ მრავალ დაწესებულებათა მოსამსახურეები.

არტემოვსკი, 20 დეკემბერი. ოლქის სხვადასხვა პუნქტში 10.000 მელითონემ გადასწყვიტა აღძრან მთავრობის წინაშე საკითხი, რომ საბჭოთა არჩევნების დღე გამოცხადებულ იქნას არასამუშაო დღეთ და ამის ნაცვლად სამუშაო დღეთ გამოცხადდეს 25-26 დეკემბერი.

ლუდორვაის საქმის გარჩევა

იჟევსკი, 20 დეკემბერი. სასამართლოს 18 დეკემბრის საღამოს სხდომა დასრულდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვით. ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავეთ.

19 დეკემბრის დილის სხდომა დაიწყო ბრალდებულ ფრანცუზოვის, სოფ. ლუდზია ნეპრემენნაიას საბჭოს ყოფ. წევრის დაკითხვით. ფრანცუზოვი აბნეულ ჩვენებას იძლევა და უარს ამბობს წინასწარ დაკითხვის დროს მიცემულ ზოგიერთ ჩვენებაზე. სასამართლოში ის აცხადებს, რომ კრება არ მოუწვევია და წინადადება გლეხთა ცემის შესახებ არ შეუტანია.

ბრალდებული ერმოლაევიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ გლეხების ცემისთვის არც კი უყურებია. მაგრამ ბრალდებულ ფრანცუზოვისა და ტოკარევის შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ერმოლოვი სწორ ჩვენებას არ იძლევა.

ბრალდებული ტოკარევი ამბობს, რომ გლეხების გალახვის განაჩენს ხელი მოაწერა ლოლაც ხმეტანინის მუქარის ზეგავლენით, ტოკარევის სიტყვით—ცემას ხელმძღვანელობდა ერმოლაევი.

საზოგადოებრივი ბრალდებულის კითხვაზე—დაესწრო თუ არა გლეხების ცემას, ფრანცუზოვი არეულ პასუხს იძლევა.

კონტრ-რევოლიუციონერ ანტისემიტების ბანდა

ვიტებსკი, 20 დეკემბერი. ვიტებსკის ტრამვაის მუშებმა გამოააშკარავეს კონტრ-რევოლიუციონერ-ანტისემიტების ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად ფუშავდა კომკავშირელებისა და პიონერების კრებებს, ხელს უშლიდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას, აგიტაციას ეწეოდა კოლექტიურ ხელშეკრულების ჩასაშლელად ტრამვაიში. პარკში სცემდა მუშა-ქალებს, დასცინოდა მგზავრ-ებრაელებს და ანტი-სემიტურ აგიტაციას ეწეოდა. ჯგუფის მეთაურები—ვატმანები გარცუკი და დოლსკი დაპატიმრებულია. როგორც გამოირკვა, ისინი სახლის პატრონები ყოფილან და ვაჭრობას ეწეოდნენ.

მუშები მოითხოვენ ყველა კონტრ-რევოლიუციონერ-ანტისემიტების გაძევებას კავშირიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები

ამხ. ლ. გოგობერიძის მოხსენება თბილისის პარტაქტივის 14 დეკემბრის სხდომაზე

ამხანაგებო, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა ოთხი საკითხი განიხილა: 1) მომავალი სამეურნეო წლის საკონტროლო ციფრები, 2) მუშების ახალი კადრების შეყვანა პარტიაში. 3) ჩრდილოეთ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოხსენება სოფლის მეურნეობის გამაძლიერებელი ზომების შესახებ და 4) 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შედეგები.

ამ საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ. თვითეული მათგანი ეხება ჩვენი პრაქტიკის ძირითად და არსებით მომენტებს. ცხადზე უცხადესია, რომ მთლიანად ვერ ამოვწურავთ მოხსენების თემას, ყველა ამ საკითხს ვერ გავუშუქებ კრებას. ამიტომ მე შევჩერდები პლენუმის მხოლოდ ძირითად მომენტებზე, რომლებიც არსებითად გამოხატავენ პლენუმზე განხილულ ყველა საკითხს. აი, ამხანაგებო, ეს საკითხები:

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხი, როგორც ჩვენი პარტიის შემდგომი მოქმედების ძირითადი საკითხი; სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და მისი გაძლიერებისათვის საჭირო ზომების საკითხი; ჩვენი სახელმწიფო აპარატის მდგომარეობის საკითხი, იმ აპარატისა, რომელმაც უნდა განახორციელოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემუშავებული ღონისძიებანი; ამასთან დაკავშირებულია ჩვენი პარტიის შემადგენლობისა და მისი ზრდის მოწესრიგების საკითხი, და, ბოლოს, ჩვენს პარტიაში არსებულ გადახრათა საკითხი და ამ გადახრათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი

ჩემი მოხსენების საილუსტრაციოდ უნდა გავიმეორო ზოგიერთი ციფრები, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია როგორც პარტიის ც. კ-ის რეზოლუციაში, ისე ამხ. რიკოვისა და მოლოტოვის მოხსენებებში. მაგრამ შეძლებისამებრ მხოლოდ იმ ციფრებს მოვიყვან, რომლებიც მე მჭირდება ჩემი მოხსენების საილუსტრაციოდ. აქტივის წევრებს, უეჭველია, უკვე წაკითხული ექნებათ ამხ. რიკოვისა და მოლოტოვის მოხსენებანი, პლენუმის რეზოლუციები და ამიტომ საჭირო არ არის უკვე გამოქვეყნებული ყველა ციფრის მოყვანა.

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებელი, ჩვენი განვითარების ტენდენციის მაჩვენებელი ციფრები, რომლებიც აქტივმა უნდა იცოდეს, შემდეგია: მრეწველობის საერთო პროდუქცია 1925—26 წელს უდრიდა 12 ნახ. მილიარდ მანეთს; საკონტროლო ციფრებით იმავე მრეწველობის საერთო პროდუქცია 1928-29 წელს უნდა უდრიდეს 19 მილიარდ მანეთს. ჩვენ ვხედავთ, რომ მრეწველობის ზრდა სამი წლის განმავლობაში 6½ მილიარდი მანეთით გამოიხატა.

1925-26 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია უდრიდა 17 მილიარდ 870 მილიონ მანეთს, ხოლო 1928-29 წელს უნდა უდრიდეს 18 მილიარდ 624 მილიონ მანეთს.

ამ ციფრებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ისინი გვიჩვენებენ, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი.

ამ გარემოების თვალსაჩინო მიზეზი ის არის, რომ მრეწველობა მაქსიმალურად თავმოყრილია და მთლიანად იმყოფება სახელმწიფოს ხელში, რომელსაც საშუალება აქვს უხელმძღვანელოს მას და მოაწესრიგოს იგი. სოფლის მეურნეობა კი 90 პროცენტით ინდივიდუალური და დაქუცმაცებულია და გაცილებით უფრო ნაკლებ ეგუება სახელმწიფოს მთლიანსა და გეგმაშეწონილ ხელმძღვანელობას, ასეთ პირობებში რომ მრეწველობის განვითარების ტემპი ჩამორჩენოდა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს, არანორმალური მდგომარეობა იქნებოდა. ამავე დროს ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ჩვენ არ ვახორციელებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგს.

თვით მრეწველობაში ეს ციფრები ასე ნაწილდება: მძიმე მრეწველობის ზრდა 1928-29 წელს ნავარაუდევია 20 პროცენტით, მსუბუქი ინდუსტრიის ზრდა კი—15,6 პროცენტით. ესეც, ამხანაგებო, უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომელიც გვიჩვენებს, რომ პარტიის ლოზუნგი ინდუსტრიალიზაციის შესახებ გეგმაშეწონილად ხორციელდება, რადგან სწორედ მძიმე მრეწველობა, საწარმოო საშუალებათა შემქნელი მრეწველობა არის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი, საფუძველი საბჭოთა პროლეტარული ქვეყნის განთავისუფლებისა მსოფლიო კაპიტალის გავლენისაგან, კაპიტალისტური ბაზრების გავლენისაგან, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ იძულებული ვართ ვეყიდოთ წარმოებისათვის საჭირო საშუალებანი.

მაგრამ მსუბუქი მრეწველობის განვითარების შეფერხება ხელოვნურად არ ხდება, არა იმიტომ, ვითომც ჩვენ არ გვინდოდეს გავიტანოთ ბაზარზე მოსახმარი საქონლის დიდი რაოდენობა. მსუბუქი მრეწველობის შეფერხება დამოკიდებულია იმ ნედლეულის უქონლობაზე, რომელსაც სოფლის მეურნეობა ქმნის (სელი, ბამბა, მატყლი და სხვ.). ჩვენ შინაურ ბაზარზე საჭირო ნედლეულის უქონლობა აფერხებს მსუბუქი მრეწველობის ზრდის ტემპს; მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპის გასაძლიერებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა საჭირო ნედლეულის შეძენა საზღვარგარეთ და ოქროს გადახდა, ეს კი ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობის პირობებში შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს, რომ საზღვარ-გარეთიდან შემოვიტანოთ მძიმე მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-იარაღები.

ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპის საკითხი ჩვენი პარტიის პოლიტიკის ძირითადი საკითხია ძალიან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ვ. ი. ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს ის გარემოება, რომ „ვიდრე ეკონომიკაში არ დავეწევით და არ გავუსწრებთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, ე. ი. ისე არ განვავითარებთ ჩვენს მრეწველობას, რომ იგი ტეხნიკურადაც და ეკონომიური ძლიერებითაც უკეთესი იყოს, ვიდრე უძველესი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის მრეწველობა, მანამდე ლაპარაკიც კი არ შეიძლება სოციალიზმის გამარჯვების შესახებ მსოფლიო მასშტაბით".

ჩვენს პარტიაში კი არიან ისეთი ამხანაგები, რომელნიც ფიქრობენ, რომ ჩვენ მეტისმეტად მაღალი ტემპი ავიღეთ, რომ ჩვენ ძალიან ვეჩქარით მძიმე მრეწველობის განვითარებას.

ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკა თავის მოხსენებაში ამხ. სტალინმა. მან უპასუხა ამ ამხანაგებს, თუ რატომ არის იძულებული ჩვენი პარტია, ჩვენი ხელისუფლება, შეინარჩუნოს განვითარების ეხლანდელი დიდი ტემპი.

განვითარების ტემპი კი არაჩვეულებრივად დიდია. თუ ავიღებთ თუნდაც მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ნაციონალური შემოსავალი სულ 10 პროცენტით გაიზარდა, იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტი ისეა შედგენილი, რომ იგი 20 პროცენტით ზრდას გვიჩვენებს, ყველასათვის ცხადი გახდება, რომ ეს არის ეკონომიურ შესაძლებლობათა მაქსიმალური ზრდა.

მაშასადამე, ზოგიერთ ამხანაგს ეშინია, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება. მათი აზრით, სანამ დაგვიანებული არ არის, საჭიროა შევამციროთ კაპიტალურ მშენებლობაში დასაბანდებელი თანხები და ეს თანხები შევზღუდოთ 500—650 მილიონი მანეთით.

მე დარწმუნებული ვარ რომ ბარათებით შემკითხველთა 90 პროცენტი იკითხავს ამ ამხანაგების გვარებს, იმას, თუ ვინ მეთაურობს ამ მემარჯვენე გადახრას?

თუ, ამხანაგებო, ამის გაგება გინდათ, ერთი გვარის დასახელება შემიძლია, ჯერ ისიც კმარა. ეს არის ამხ. ფრუმკინი (სიცილი).

რასაკვირველია, საქმე ის ციფრი კი არ არის, რომელიც ამ ამხანაგებმა შემოგვთავაზეს, არამედ ის, თუ რას გულისხმობს მათი წინადადება—შემცირდეს ასიგნობები მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ეს გულისხმობს: 1) კაპიტალურ მშენებლობაში დასაბანდებელი თანხების შემცირებას, 2) მძიმე მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-იარაღის იმპორტის შემცირებას და იმასაც კი, რომ შევაჩეროთ ზოგიერთი უდიდესი საწარმოს აგების დამთავრება და სხვ.

რას უნდა მოვახმაროთ ეს განთავისუფლებული თანხები? იმის ნაცვლად, რომ ეს უდიდესი თანხები დავაბანდოთ მძიმე მრეწველობაში, რომელიც ეფექტს მოგვცემს მხოლოდ 3—4 წლის შემდეგ, მათ უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ეს თანხები მოვახმაროთ ერთის მხრით, მსუბუქ ინდუსტრიას, მოსახმარ საშუალებათა წარმოების ყოველმხრივ განვითარებას ხოლო მეორეს მხრით—სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ყველაზე გასაჭირო დარგს—მარცვლეულ მეურნეობას.

მათი წინადადება იმაზეა დამყარებული, რომ ჩვენ ახლა განვიცდით საქონლის საკმაოდ ხანგრძლივსა და საკმაოდ საგრძნობ სიმცირეს.

ამგვარი სულისკვეთება ზოგჯერ მუშათა წრეშიაც იჩენს თავს. თბილისის ტრამვაის კოლექტივის უჯრედის სხდომაზე მომხსენებელს მისცეს შემდეგი შეკითხვა: „რით აიხსნება, ამხ. მომხსენებელო, ის, რომ ჩვენ ვამბობთ,—პირველ რიგში მშრომელები უნდა დავაკმაყოფილოთ პირველი საჭიროების საქონლით, როგორც, მაგალითად, მანუფაქტურით და სხ. თქვენ კი ამბობთ—ჯერ რამდენიმე წლის განმავლობაში იყავით მშიერნი, გამოიჭედეთ თანხები, ავაშენებთ და შემდეგ ყველაფერი გვექნებაო, ჩვენ გვგონია, ვეცადოთ, უნდა რომ პირველ რიგში დავაკმაყოფილოთ დღევანდელი დღის საჭიროებანი"-ო.

აი, ამხანაგებო, მეტად პრიმიტიულ ფორმაში, მაგრამ მეტად ნათლად გამოხატული მემარჯვენე გადახრა, რომლის მატარებელთ არ ესმით ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს არ შეუძლია წავიდეს საქონლის დამზადების ქაოტური, კერძო-კაპიტალისტური პრინციპის გზით, არ შეუძლია იხელმძღვანელოს მხოლოდ დღევანდელი დღის მოთხოვნილების თვალსაზრისით, რომ ეს ნიშნავს პერსპექტივის და გეგმიანი მუშაობის გეზის დაკარგვას.

ჩვენ რომ ეხლა დავადგეთ მსუბუქი ინდუსტრიის გაძლიერებული განვითარების გზას, უეჭველია, ერთი-ორი წლის შემდეგ უდიდეს ეფექტს მივიღებთ იმ მხრივ, რომ სავსებით მოვსპობთ საქონლის ნაკლებობას, რის უარყოფაც შეუძლებელია. მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ, მსუბუქი ინდუსტრიის ასეთი ტემპით განვითარება უდიდეს კრიზისს გამოიწვევს—რამდენიმე წლის შემდეგ იმავე მსუბუქ ინდუსტრიას არ ეყოფა წარმოების საშუალებანი, საჭირო მოწყობილობა, წარმოების იარაღი; მეორეს მხრით, სოფლის მეურნეობაშიაც დიდი ნაკლებობა იქნება სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, ქიმიური სასუქისა და სხვ. ეს გამოიწვევს მსუბუქი ინდუსტრიისათვის საჭირო ნედლეულის დიდ კრიზისს, უფრო გააძლიერებს უცხოეთის კაპიტალისაგან დამოკიდებულებას მრეწველობისათვის საწარმოო საშუალებათა მიწოდების საქმეში და, ბოლოს, გამოიწვევს კავშირის გაწყვეტას ქალაქსა და სოფელს შორის. ჩვენ რომ შეგვეძლოს მილიარდები დავახარჯოთ მძიმე მრეწველობას და ამავე დროს ახალი მილიარდები გადავდოთ მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის,—ეს საუცხოვო რამ იქნებოდა. მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას რომ ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს ჩვენგან ავირჩიოთ ორში ერთი: ან ინდუსტრიალიზაცია, პარტიის მე-15 ყრილობის მიერ დასახული გენერალური ხაზის გატარება, ან ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ინტერესების სრული, მაგრამ ხანმოკლე ვადით დაკმაყოფილება.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ბიუჯეტი შედგენილია უდიდესი დატვირთვით, რომ უნდა დაიფაროს ის განსხვავება ეროვნული შემოსავლის ზრდასა და ბიუჯეტს შორის, რომელიც 10 პროცენტს უდრის, რაზედაც მე უკვე ვილაპარაკე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ იმ კაპიტალისტურ გარემოცვაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, იმედი არ უნდა ვიქონიოთ საგარეო სესხებზე, რომელთაც შეეძლებათ რამდენადმე გააუმჯობესონ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა.

მაგრამ ჩვენ, უეჭველია, ყოველგვარი ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ შევამსუბუქოთ, ხოლო შემდეგ სრულებით მოვსპოთ საქონლის ნაკლებობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება კავშირის გაწყვეტა ქალაქსა და სოფელს შორის, გლეხობასა და მუშათა კლასს შორის და, ბოლოს, მან შეიძლება სერიოზულად გააუარესოს მუშათა კლასის სულისკვეთებაც.

საიდან წარმოსდგება საქონლის ნაკლებობის მიზეზები?

საქმე იმაშია, რომ ყოველ წელს ვამზადებთ მეტ საქონელს, ვიდრე წინა წელს ვამზადებდით, ხოლო 1928-29 წელს გაცილებით მეტ საქონელს დავამზადებთ, ვიდრე 1927-28 წელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსუბუქი ინდუსტრიის წარმოების ზრდა ვერ ასწრებს მოთხოვნილებას, განსაკუთრებით, გლეხთა მასების მოთხოვნილების ზრდას. თუ 1923-24 წელს გლეხობას არ ჰქონდა საშუალება ეყიდა საქონელი იმისა გამო, რომ არ გააჩნდა სათანადო სამეურნეო ბაზა, წელს ეს გლეხობა უდიდეს მოთხოვნილებას აყენებს მსუბუქი ინდუსტრიის საქონელზე (მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, ტანისამოსი), უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო იარაღზე, და როგორც კი ვაკმაყოფილებთ მის მოთხოვნილებას, იგი სულ ახალ და ახალ მოთხოვნილებებს გვიყენებს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობის სწორედ ამ დარგში მივაღწიეთ ჩვენ უდიდეს წარმატებებს, სადაც ზრდა, ომის წინადროის დონესთან შედარებით, უდრის 300-400 პროც. მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და ქიმიურ სასუქზე უფრო ნაკლები რაოდენობით ვაკმაყოფილებთ, ვიდრე მოთხოვნილებას სხვა საქონელზე. ეს ამტკიცებს იმას, რომ განვიცდით ჩვენი ზრდის „კრიზისს". საქონლის ნაკლებობა ნიშნავს ჩვენ ზრდას ქალაქად და სოფლად. საქონელს მეტი რაოდენობით ვამზადებთ, მაგრამ მოსახლეობა იმდენად მოღონიერდა, რომ ვერ ვასწრებთ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ეს გარემოება იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები საქონლის ნაკლებობის შემსუბუქებისა და ამ ნაკლებობის სრული ლიკვიდაციისათვის. მით უფრო, რომ ჩვენ გვაქვს ეს შესაძლებლობა.

ჩვენ დღემდე არ ვიყენებდით მსუბუქი ინდუსტრიის ყველა შესაძლებლობას. დეფექტების აღმოფხვრის გზით, წარმოების რაციონალიზაციის გზით ჩვენ შეგვიძლია ბაზარზე გამოვიტანოთ გაცილებით მეტი საქონელი, ვიდრე დღემდე გამოგვქონდა და ამით შევამსუბუქოთ საქონლის ნაკლებობა; ჩვენ მტკიცედ უნდა გავატაროთ დირექტივა სამრეწველო საქონლის თვითღირებულების შემცირების შესახებ, რითაც ეს საქონელი უფრო მისაწვდომი გახდება მოსახლეობის ფართო მასებისათვის (აქვე უნდა შევნიშნო, რომ მაშინ, როდესაც სამრეწველო საქონლის თვითღირებულება 1927-28 წლის განმავლობაში საკავშირო მასშტაბით შემცირებულ იქნა 5 პროც., ხოლო მომავალი დირექტივა მოითხოვს თვითღირებულების ახალ შემცირებას 7 პროც., საქართველოში თვითღირებულება გადიდდა 0,6 პროცენტით).

მაგრამ ძირითადი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია საქონლის ნაკლებობის საბოლოო ლიკვიდაცია ჩვენს ქვეყანაში, არის, პირველი—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გენერალური ხაზის გაგრძელება და მეორე—სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება, თუ არ განვახორციელებთ ინდუსტრიალიზაციას, თუ ჩვენი წვრილი, ტეხნიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა არ გადაიქცევა უაღრესად განვითარებული მრეწველობის ქვეყნად, ჩვენ ვერ წავალთ წინ, ვერ შევასრულებთ ვერავითარ ამოცანას და ყოველგვარი ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და პროლეტარიატის გამარჯვებაზე ცარიელი ლაყბობა იქნება.

ცეკას პლენუმის რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავს:

„პარტიის ძირითად ამოცანას, მის გენერალურ ხაზს შეადგენს ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით ზრდა".

და შემდეგ:

„საჭიროა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ინდუსტრიის განვითარების აღებული ტემპი ჯგუფი № „A"-ს მიმართ (მძიმე ინდუსტრია, მანქანათმშენებლობა, ქიმია და სხვ.); ამასთანავე, რამდენადაც შესაძლებელია, ისე უნდა მოვახდინოთ სახსრების კონცენტრაცია, რომ დასახარჯი თანხები განაწილებულ იქნას უფრო ვიწრო ფრონტზე მშენებლობის დასაჩქარებლად და იმ ვადის დასაჩქარებლად, როდესაც შესაძლებელი გახდება დაწყოს ექსპლოატაცია, როგორც ახალი ქარხნებისა, ისე იმ ქარხნებისა, რომლებშიც განახლებული იქნება მოწყობილობა.

კერძოდ, საჭიროა სასწრაფოდ დამთავრდეს აგება სტალინგრადის ქარხნისა, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნისა და სხვ."

ამგვარად, ცეკას პლენუმი ამბობს, რომ ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების აგების დროს დასაბანდებელი თანხების კონცენტრაცია უნდა მოხდეს უფრო ვიწრო ფრონტზე, ფული უნდა დავაბანდოთ მრეწველობის ისეთ დარგებში, რომლებმაც უდიდესი ეფექტი შეიძლება მოგვცენ ხანმოკლე დროის განმავლობაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ინდუსტრიალიზაციის ძირითად მოთხოვნილებათა შესრულებაში ჩვენ ბევრი დეფექტები გვაქვს. მთავარ უბედურებას შეადგენს ის, რომ არა გვყავს სპეციალისტების საკმაო ტეხნიკური ძალები, არა მარტო ჩვენი პარტიის შემადგენლობაში, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანაში. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ იმ არასაკმაო რაოდენობის სპეცებს შორისაც, რომლებიც ჩვენ გვყავან, არიან საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტრები.

ამგვარად, ერთის მხრით სრული ცოდნით შეიარაღებული სპეცების არასაკმაო რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრით, ის გარემოება, რომ ჩვენი ხელმძღვანელები—სამეურნეო მუშაკები—საკმაო ყურადღებით არ სწავლობენ იმ საქმეს, რომელიც მათ ეკისრება, საგრძნობლად აბრკოლებს მუშაობას და ქმნის მძიმე პირობებს პარტიის ხაზის განხორციელებისათვის სამრეწველო მშენებლობის დარგში. დღემდე ჯერ კიდევ ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ წარმოების სათავეში მდგომი კომუნისტი მექანიკურად მართავს წარმოებას, არ იჩენს ინიციატივას და, მიუხედავად პარტიის მტკიცე მოთხოვნისა, არ ცდილობს შეისწავლოს დაკისრებული საქმე და არ ხდება სპეციალისტი ამ საქმეში.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე ჩვენ გვაქვს მრავალი სერიოზული სიძნელე. ეს სიძნელენი უმთავრესად მდგომარეობენ შემდეგში:

პირველი სიძნელე: ჩვენი მძიმე ინდუსტრია ნედლეულის დიდს ნაკლებობას განიცდის. წარმოება შავი ლითონისა, მძიმე ინდუსტრიისათვის საჭირო ძირითად მასალისა, ძლიერ ჩამორჩა ჩვენი მეურნეობის დანარჩენ დარგებს. ამიტომ ცეკას პლენუმმა, კრიზისის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თავის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნა მეურნეობის ამ დარგის აწევის საჭიროება. ჯერ არ განვიცდით კრიზისს, მაგრამ თუ ვერ შევძელით ჩვენს ქვეყანაში თუჯის ამოღების საგრძნობლად გადიდება,—თუჯის მარაგი კი ჩვენში დიდია,—იმ შემთხვევაში სერიოზული კრიზისის წინაშე დავდგებით, ჩვენს წინაშე წამოიჭრება მძიმე ინდუსტრიისათვის ნედლეულის უქონლობის საკითხი.

სასოფლო მეურნეობის განვითარების გზები

მეორე სიძნელე, რომელიც ეჭვს გარეშე, გავლენას ახდენს, ხოლო მომავალშიც უფრო მეტ გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე, მძიმე ინდუსტრიის განვითარებაზე, წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა.

მოხსენების დასაწყისში მოვიყვანე ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ 1928-29 წელს მრეწველობა თვალსაჩინოდ გაუსწრებს წინ სოფლის მეურნეობის განვითარებას. განსაკუთრებულ სიმწვავეს განვიცდით მარცვლეული კულტურების დარგში. ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ძირითად ბაზას ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. თუ ჩვენ ვერ შევძელით სოფლის მეურნეობის ამაღლება სათანადო დონემდე, მოსალოდნელია ქალაქისა და სოფლის კავშირის გაწყვეტის საფრთხე, ე. ი. ინდუსტრიალიზაციის ჩვენი გენერალური გეგმის ჩაშლის საფრთხე.

„სოფლის მეურნეობა მრეწველობის ბაზაა, სოფლის მეურნეობის ზრდა არის ინდუსტრიალიზაციის ნედლეულის და სასურსათო ბაზის ზრდა. ინდუსტრიის ხანგრძლივი ზრდა ობიექტიურად შეუძლებელი ხდება სოფლის მეურნეობის სათანადო ზრდის გარეშე.

გეგმით გათვალისწინებული ვარაუდი მრეწველობაში ზედმეტად ხორციელდება, სოფლის მეურნეობაში კი საკმაოდ ვერა სრულდება; განსაკუთრებით ვერ სრულდება იგი მარცვლეულ მეურნეობის დარგში"—ნათქვამია ცეკას პლენუმის რეზოლუციაში.

შემდეგ ნათქვამია:

„მრეწველობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო ბაზის განვითარების ერთმანეთისაგან დაშორების გაძლიერების საფრთხე უაღრეს ყურადღებას საჭიროებს, რადგან კლასთა განწყობილების თვალსაზრისით იგი საფრთხეს ნიშნავს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირისათვის".

რა არის სოფლის ასეთი ჩამორჩენის მიზეზი? არის კონიუნქტურული ხასიათის მიზეზები (მოუსავლიანობა). ნათქვამის დასასაბუთებლად მოვიყვან ორიოდე ციფრს. შარშან უკრაინაში ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და კოოპერაციის მიერ დამზადებულ და გატანილ იქნა 178 მილ. ფუთი პური. წელს ორმაგი მოუსავლიანობის გამო—შემოდგომისა და გაზაფხულის ნათესის დაღუპვის გამო,—არა თუ არ დავამზადებთ უკრაინაში არც ერთი ფუთი პური, არამედ უნდა შევაწოდოთ კიდევ მას 18 მილიონი ფუთი.

ჩრდილოეთ კავკასიაში შემოდგომისა და გაზაფხულის ნათესის დაღუპვის გამო დაკარგეთ 150 მილ. ფუთი. ამრიგად, გამოდის უდიდესი ციფრი—350 მილიონი ფუთი, რომელიც დაგვეკლება მიმდინარე წლის კონიუნქტურული პირობების გამო, ე. ი. მოუსავლიანობის გამო.

პურის ნაკლებობის მეორე მიზეზს ჩვენს ქვეყანაში შეადგენს ის, რომ გაიზარდა პურის მოხმარება, თითო სულზე. გლეხობა ამჟამად უფრო მეტსა სჭამს, ვიდრე რევოლუციამდე სჭამდა. ეს უდაო ფაქტია. მისი მატერიალური ბაზა, მისი მეურნეობა იმდენად გაიზარდა, ამასთან ჩვენი საგადასახადო სისტემა გლეხობის მიმართ ისეთია, რომ გლეხს არ სჭირდება სუროგატი, ის წმინდა პურსა სჭამს.

შემდეგ უნდა აღინიშნოს მოსახლეობის ზრდა, განსაკუთრებით ქალაქში. ქალაქის მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება 4 პროცენტით (ბუნებრივი ზრდა და მომატება სოფლიდან).

ცეკას პლენუმზე ამხ. კრჟიჟანოვსკიმ მოიყვანა მოსახლეობის ზრდის ციფრების მთელი სვეტები 1880 წლიდან დაწყებული დღემდე. ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდა იძლევა სარეკორდო პროცენტს—2,3 პროც. ეს პროცენტი სარეკორდოა არა მარტო რევოლუციის წინადროის რუსეთთან შედარებით, არამედ ყველა სხვა სახელმწიფოსთან შედარებით. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ზრდა, მოსახლეობის ეკონომიური კეთილდღეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. უკანასკნელი წლების განმავლობაში მოსახლეობას 12 მილიონი სული მოემატა, აქედან წარმოიშვა მოხმარების ზრდა.

ბოლოს, ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა მეტისმეტად დაქუცმაცებული და დანაწილებულია, ჩვენში ჯერ კიდევ ბატონობს მრავალმილიონიანი წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა. აქედან წარმოსდგება ამ მეურნეობის საქონლიანობის სისუსტე.

აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ერთი შეკითხვა, რომლითაც მიმართეს დეპოს კოლექტივის უჯრედში მომხსენებელს მემარჯვენე საფრთხის შესახებ: „თქვენ ამბობთ, პურის კრიზისი გლეხობის სუსტი ტეხნიკის შედეგიაო. მაგრამ ძველ დროში, როცა ტეხნიკა უფრო სუსტი იყო, როგორ აწვდიდა რუსეთი პურს მთელს ევროპას?"

ცხადია, სოფელი ტეხნიკურად გაიზარდა, ის უკეთესად არის მოწყობილი, მაგრამ პური მაინც არა გვაქვს. მაგრამ იმის გარდა, რომ 300—350 მილ. ფუთი დავკარგეთ მოუსავლიანობის გამო, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება საბჭოთა სოფელსა და მეფის დროის სოფელს შორის, განსხვავება ეხლანდელ და ძველ სოფელს შორის. აღნიშნული შეკითხვის ავტორი ვერ ხედავს ამ განსხვავებას. რევოლუციის შემდეგ სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო დაქუცმაცდა. საბაზრო პურის ბალანსს გამოაკლდა ისეთი მუხლი, როგორიცაა მსხვილი მიწათმფლობელობა (მემამულეებისა, საეკლესიო, საუფლისწულო, ნაწილობრივ კულაკების მფლობელობანი), რომელიც, როგორც ვიცით, საბაზრო პურის მაქსიმალურ რაოდენობას იძლეოდა.

მეფის რუსეთი, ცხადია, მიდიოდა სოფლის კაპიტალიზაციისა და უმცირესობის ხელში უმსხვილესი მამულების კონცენტრაციის გზით; ამას თან ახლდა გლეხობის მნიშვნელოვანი ფენების პროლეტარიზაცია. ჩვენი სოფელი კი მიდის შრომისა და პროდუქტების განაწილების გზით, კოლექტივებისა და საბჭოთა მეურნეობების გზით, ღარიბი გლეხობისათვის ხელის შეწყობისა და სოფელში ღარიბობის ლიკვიდაციის გზით, ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა თანდათანი გაძლიერებისა და განმტკიცების გზით, პარალელურად კულაკურ მეურნეობათა დასუსტებით. ღარიბი გლეხის მეურნეობის საქონლიანობა კი, ცხადია, ძალიან მცირეა მემამულეთა და საეკლესიო-საუფლისწულო მეურნეობებთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის ზრდისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ამხ. ფრუმკინის წერილზე, თუმცა ეს სახელი რატომღაც, დაშვებულ ღიმილს იწვევს. ამ წერილზე მე შევჩერდები არა იმიტომ, რომ იარაღად გამოვიყენო ფრუმკინისა და სხვა ამხანაგების წერილები, არამედ იმიტომ, რომ ფრუმკინმა თავის წერილში პირველად მოგვცა მემარჯვენე საფრთხის ცოტათ თუ ბევრად გადაშლილი პლატფორმა.

ეს წერილი ამხ. ფრუმკინმა დაწერა პოლიტბიუროს წევრების სახელზე გაგზავნილი თავისი პირველი წერილის დასადასტურებლად და გასაძლიერებლად. ამ წერილში ის სავსებით ადასტურებს ყველა ამ დებულებას, რომელიც პირველ წერილშია გამოთქმული, და მათ უმატებს მრავალ ახალ შეცდომას.

ამხ. ფრუმკინი სწერს პირველ წერილში და ადასტურებს მეორე წერილში შემდეგს: „საბჭოთა კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების შეტევის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ჩვენი ძალების პოლიტიკური და ეკონომიური დასუსტება".

ამხანაგებო, თქვენ ყველანი მონაწილენი ხართ იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც ჩაატარა პარტიამ ტროცკიზმთან, და უნდა გახსოვდეთ, რომ ტროცკისტული ოპოზიცია ამასვე სწერდა. იგი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური მსოფლიო შეტევას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ არა იმიტომ, რომ ჩვენ გავმაგრდით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა შესუსტდა ეკონომიურად და პოლიტიკურადაც, რომ ჩვენი პარტია ტერმიდორისაკენ მიიმართება, რომ ევროპის მუშათა კლასი ინერტიულია, რომ კაპიტალისტები გამაგრდნენ და კაპიტალისტური მსოფლიო ხანგრძლივი სტაბილიზაციის ეპოქას განიცდის.

ასე სწერდა ტროცკისტული ოპოზიცია და იმავეს იმეორებს ამხ. ფრუმკინი.

რა თქმა უნდა, ამხ. ფრუმკინი ტროცკისტი არ არის, მაგრამ იგი შეაშინა იმ სიძნელეებმა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ჩვენ კი სერიოზულ სიძნელეებს განვიცდით და ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მოვიშორებთ ამ სიძნელეებს. ფრუმკინი შეაშინა ამან, დღეს იგი უკან იხევს, მიდის აბსურდულ დებულებამდე და ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური მსოფლიო იმიტომ აწარმოებს შეტევას ჩვენს წინააღმდეგ, რომ შესუსტდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება.

ამხ. ფრუმკინის ეს დებულება ეწინააღმდეგება პარტიის მე-15 ყრილობის დებულებებს, იმ ყრილობის, რომელმაც თავის რეზოლუციაში ნათლად აღნიშნა, რომ კაპიტალისტური მსოფლიო სწორედ იმიტომ გვიტევს ახლა გააფთრებით, რომ ჩვენ გავიზარდეთ, რომ კაპიტალისტებმა დაკარგეს იმის იმედი, რომ ეკონომიური ღონისძიებებით შესაძლებელია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრა, მისი დამარცხება.

განვითარება ჩვენი ინდუსტრიისა, სოფლის მეურნეობისა, განვითარება ჩვენი ცხოვრების ყოველი დარგისა, ამტკიცებს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ამხ. ფრუმკინი ამბობს.

დღეს ჩვენ ვხედავთ ჩვენი პარტიის გავლენის გაძლიერებას, ჩვენი მუშათა კლასის რიცხობრივ და თვისებრივ ზრდას, კომკავშირის გავლენის ზრდას სოფლად, საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერაციის გავლენის ზრდასა და გაფართოებას და სხვ.

თუ ასეა, როგორ შეიძლება ლაპარაკი ჩვენი ძალების შესუსტებაზე? რას ნიშნავს ეს, თუ არა პანიკას იმ სიძნელეთა წინაშე, რომლებსაც ჩვენ განვიცდით?

მე საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ გავიმეორო ციტატა, რომელიც ცეკას პლენუმზე გამოაქვეყნა ამხ. სტალინმა: „ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ვწეროთ პრესაში დეგრადაციის შესახებ. მაგრამ პარტიის შიგნით ჩვენ არ უნდა დავფაროთ, რომ ეს „ჩამორჩენა" უდრის დეგრადაციას".

იმისათვის რომ უფრო ღრმად დაგვარწმუნოს, ამხ. ფრუმკინი მიმართავს წმინდა „იმპორტულ" ხერხს და, გვიმტკიცებს რა სოფლის მეურნეობის დეგრადაციის ფაქტს, გვირჩევს—არ გავახმაუროთ ეს გარემოება. როგორ შეუძლია ჩვენს პარტიას დაფაროს ის ძირითადი დეფექტი, რომელიც პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის მთელ საფუძველს ემუქრება?

ჩვენი პარტიის ბრძოლისა და გამარჯვების მთელი ისტორია, მთელი მისი ძლიერება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას არ სჩვევია თავისი შეცდომების ჩაფუჩრება, რომ მას არ აშინებს თავისი მუშაობის ყველა დეფექტის აღიარება, რომ იგი პირველი აშკარავებს იმ საფრთხეს, რომელიც ჩვენ მოგველის.

მაგრამ მართალია თუ არა ფრუმკინი არსებითად?

მე ვამბობდი, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი არ არის საკმაოდ ძლიერი, რომ სოფლის მეურნეობა თავის განვითარებაში ჩამორჩა მრეწველობას, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ სოფლის მეურნეობა დეგრადაციას განიცდის?

ავიღოთ ციფრები: ნათესის სივრცე 25-26 წლიდან 27-28 წლამდე გაიზარდა 8,1 პროცენტით.

რას ნიშნავს ეს: ზრდას თუ დაქვეითებას?

ეს ციფრი ამტკიცებს, რომ ვითარდება გლეხური მეურნეობა, რომ იზრდება გლეხობის სამეურნეო ძალა. მართალია, ნათესის სივრცე წელს შემცირდა 0,2 პროცენტით, მაგრამ ამისი მიზეზი უმთავრესად უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში შემოდგომისა და გაზაფხულის ნათესის დაღუპვაა.

შემდეგ, სოფლის მეურნეობის საბაზრო პროდუქცია იმავე პერიოდში გაიზარდა 15 პროცენტით. ვფიქრობ, რომ ესეც ზრდის ნიშანია, და არა დეგრადაციის. მაშ, რა აქვს მხედველობაში ამხ. ფრუმკინს, როდესაც იგი სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ ლაპარაკობს, როდესაც იგი ამბობს, რომ საშუალო გლეხობას არა აქვს არავითარი პერსპექტივები, რომ საშუალო და ღარიბმა გლეხებმა პირი იბრუნეს ჩვენგან. ქვემოდ გაიგებთ, თუ რად დასჭირდა ფრუმკინს ასეთი აბსურდის თქმა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება მთელ ობიექტიურ მდგომარეობას.

განა შეიძლება ლაპარაკი პერსპექტივების უქონლობაზე იმ დროს, როდესაც სწორედ საშუალო და ღარიბი მეურნეობები აფართოებენ თავიანთი ნათესის სივრცეს, უფრო და უფრო მცირდება კულაკური მეურნეობები.

განა შეიძლება ლაპარაკი სოფლის მეურნეობის დეგრადაციაზე იმ დროს, როდესაც იზრდება საბაზრო პროდუქცია, როდესაც იზრდება მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე? ბევრი თქვენთაგანი ცოტა თუ ბევრად დაკავშირებულია სოფელთან და თქვენ უნდა იცოდეთ, რომ, მაგალითად, საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი სოფელი, რომელიც არ ცდილობდეს რაიმე საშუალებით შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები (ხმები: სწორეა). ეს მოწმობს იმას, რომ გლეხს აქვს მისი ყიდვის საშუალება, მას აქვს სამეურნეო შესაძლებლობა შეიძინოს თავისი მეურნეობებისათვის რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მე წაგიკითხავთ ბარათს, რომელიც შემოიტანეს მოხსენების დროს ერთ კრებაზე თბილისში: „პურის კრიზისი გამოწვეულია არა მოუსავლიანობით, არამედ ცუდი უვარგისი პოლიტიკით, რომელიც გლეხობის წინააღმდეგ არის მიმართული". (ხმები: ვინ არის?). ამხანაგებო, მე ვერ გეტყვით მის გვარს, რადგან ბარათი ხელმოუწერელია. ნუ თუ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა გლეხობის წინააღმდეგ არის მიმართული? ეს სისულელეა, ცილის წამებაა. სოფლის მეურნეობის ზრდა უდავოა, მაგრამ პარტია ამბობს, რომ ეს ზრდა არ არის საკმარისი, რომ სოფლის მეურნეობის ზრდა ჩამორჩა მრეწველობის ზრდას. ამას კი შეუძლია სოფლისა და ქალაქის კავშირის გაწყვეტა. ე. ი. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გათიშვა, ჩვენი გენერალური ხაზის ჩაშლა.

შემდეგ ამხ. ფრუმკინი პირდაპირ გამოხატავს თავის აზრს და გასაგები ხდება, რატომ ლაპარაკობდა იგი სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ: „თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ გლეხურ მეურნეობათა ძირითადი მასების საერთო და საბაზრო პროდუქცია, მაგრამ სანამ განვიცდით უდიდეს სიძნელეებს პურის ნაკლებობის გამო, სანამ ცუდი პირობებია ნედლეულის მხრივ, ჩვენ არ უნდა შევუშალოთ ხელი კულაკურ მეურნეობათა წარმოებასაც. მაგრამ ამავე დროს უნდა ვებრძოლოთ მათ ველურ ექსპლოატაციას"-ო. (ფრუმკინი).

ეს ციტატა მოიყვანა ამხ. სტალინმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და ბრწყინვალე პასუხიც გასცა მას. ვფიქრობ, რომ ამხ. სტალინმა ფრუმკინსაც დაუმტკიცა, რომ მისი ლოზუნგი არის ლიბერალური ბურჟუის და არა კომუნისტის ლოზუნგი. ლიბერალური ბურჟუაზიაც იბრძოდა ექსპლოატაციის ველური პირობების წინააღმდეგ, მუშათა კლასიდან ოფლისა და სისხლის გამოწურვის, ამ ჩინური საშუალების წინააღმდეგ. ამხ. ფრუმკინი კი წინადადებას გვაძლევს განვახორციელოთ იგი პროლეტარულ სახელმწიფოში, იგივე ამ ლოზუნგს ბოლშევიკურ პარტიას სთავაზობს.

ამხ. ფრუმკინი გვირჩევს ხელი არ შევუშალოთ კულაკურ მეურნეობებს, ე. ი. არ შევზღუდოთ მათ დაიქირაონ მოჯამაგირეთა განუსაზღვრელი რაოდენობა, მივსცეთ მათ საშუალება იმოქმედონ როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავენ, სხვა სიტყვით, შევაძლებინოთ კულაკს, გადაიქცეს სოფლად დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალად.

ამხ. ფრუმკინი ამბობს: „რაც უნდა მოვინდომოთ, მაინც უნდა გავიმეოროთ, რომ არსებულ პირობებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობის დროს, ყოველი მილიონი ფუთი, ვისგან არ უნდა გავწვდეთ მას, ამაგრებს პროლეტარიატის დიქტატურას, ინდუსტრიალიზაციას, პურის ყოველი დაკარგული ფუთი კი გვასუსტებს ჩვენ".

ამხ. ფრუმკინმა წამოაყენა სრულიად დაუშვებელი არაბოლშევიკური ლოზუნგები. განა ჩვენი პარტიისათვის სულერთია, ვისგან მიიღებს იგი პურს—კულაკისაგან, ღარიბ თუ საშუალო გლეხისაგან? ეს ნიშნავს ყველაფრის ერთმანეთში არევას და ელემენტარული ბოლშევიკური ალღოს დაკარგვას. ჩვენ არ შეგვიძლია წავიდეთ ფრუმკინის მიერ ნაჩვენები გზით, არ შეგვიძლია მივცეთ დირექტივა: სულ ერთია ვისგან იქნება, ოღონდ კი იყოს პური. ეს იქნება დაღუპვის დასაწყისი, ეს იქნება კულაკის საწარმოო და სამეურნეო შესაძლებლობათა განვითარებისათვის ასპარეზის შექმნა, კულაკისათვის სრული თავისუფლების მიცემა სოფლად, მისთვის პოლიტიკური ძალა-უფლების გადაცემა.

ამხ. ფრუმკინი ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ განსაზოგადოებულ სექტორში უნდა მივიზიდოთ სოფლის შეძლებული ნაწილი, თვით კულაკური მეურნეობებიც.

ამხანაგებო, პარტია იბრძვის კომუნების, არტელების და საბჭოთა მეურნეობების სასიკეთოდ მოწყობისათვის. სოფლის მუშაკს ვეუბნებით, რომ მან სისტემატიურად უნდა შეამოწმოს თავისი კომუნების და არტელების შემადგენლობა, რათა იქ არ მოხვდნენ კულაკები და უცხო ელემენტები, რომელნიც ცდილობენ შეიტანონ ჩვენს კოლექტიურ მეურნეობებში, კულაკებს უნდა დაუპირისპიროთ კარგათ მოწყობილი კოლექტიური მეურნეობანი, ამხ. ფრუმკინი კი წინადადებას იძლევა—მივიზიდოთ ეს კულაკური მეურნეობანი განსაზოგადოებულ სექტორში.

მე წაგიკითხავთ თბილისის ტრამვაის უჯრედში შემოტანილ ბარათს, რომელიც შეიძლება და უნდა დავუკავშიროთ ფრუმკინის წერილს.

„მე ვფიქრობ, რომ სანამ სოფლად გვეყოლება სოფლის პროლეტარიატი, კულაკის არსებობა საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თავისუფალი მუშა-ხელი გადმოვა ქალაქისაკენ და გაადიდებს უმუშევრობას".

აი, ამხანაგებო, სადამდის შეიძლება მივიდეს კაცი, რომელიც ამხ. ფრუმკინის გზას დაადგება. ჩვენ ვცდილობთ, მოჯამაგირეები ჩავაბათ ჩვენს კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჩვენ ვცდილობთ მათ შესაძლებლობა მივსცეთ კოლექტივების და არტელების საშუალებით დაამუშაონ თავიანთი მიწა, ზემოდასახელებული ამხანაგი კი წინადადებას იძლევა დატოვებულ იქნენ ისინი კულაკების ხელში უმუშევრობის გადიდების თავიდან ასაცილებლად.

ამხანაგებო, ვიმეორებ, რომ ფრუმკინის გვარი ყველას პირზე აკერია მთელს საბჭოთა კავშირში, რადგან ფრუმკინი გახდა მემარჯვენე გადახრის ყველაზე უფრო მკაფიო გამომხატველი. ჩვენი ამოცანა, განვუმარტოთ მთელ პარტიულ მასას, მთელ პარტიულ აქტივს, თვითეულ ცალკე მუშას, თუ რა არის მემარჯვენე გადახრა, სით მიგვიყვანს ის, რას ნიშნავს ის? აი, რატომ ვლაპარაკობთ ჩვენ ფრუმკინის შესახებ. ამხ. ფრუმკინის ამ წერილის საპასუხოდ პარტიის ცეკამ საჭიროდ სცნო რეზოლუციაში შეეტანა სპეციალური მუხლი:

„ამიტომ ცეკას პლენუმი სრულიად დაუსაბუთებლად სთვლის იმ შეხედულებას (ამხ. ფრუმკინის), რომ სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობა ჩვენში დეგრადაციის პროცესს განიცდის".

ცეკას პლენუმმა სპეციალურ თავში აღნიშნა ეს დებულება, რათა პარტიისათვის აშკარა ყოფილიყო, რომ ლოზუნგი, რომელსაც იძლევა ამხ. ფრუმკინი, არ არის პარტიის ლოზუნგი.

თქვენ იცით ვ. ი. ლენინის ცნობილი ლოზუნგი „...შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან, კულაკის წინააღმდეგ ბრძოლის არ დავიწყება ერთი წუთითაც და მტკიცედ დაყრდნობა ღარიბ გლეხობაზე". (ლენინი ტომი მე-15, გვ. 564).

ფრუმკინის მიხედვით გამოდის, რომ განვითარების ეხლანდელ პერიოდში ამ ლოზუნგს ძალა აღარა აქვს, რომ ჩვენ ეხლა უნდა დავეყრდნოთ კულაკს, მივსცეთ მის მეურნეობას სრული საწარმოო შესაძლებლობა, მივიზიდოთ ის კოლექტივებში, დავიცვათ მისი მეურნეობანი და სხვ.

მაშინ, როცა ვ. ი. ლენინის ლოზუნგს განსაკუთრებული პოლიტიკური აზრი ეძლევა ეხლანდელ პერიოდში, როცა ჩვენ საგრძნობლად გავიზარდეთ, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, როცა ჩვენ უდიდესი ნაბიჯი გადავდგით წინ სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, როცა სოფლად გვაქვს როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო კოოპერაციის ფართო ქსელი, რომელიც საბჭოთა კავშირში აერთიანებს გლეხობის 50 პროცენტს, ხოლო საქართველოში 40 პროცენტს.

ეხლა, როცა კლასობრივი მტერი სოფელში, ნეპმანი ქალაქში, აძლიერებს წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ამხ. ლენინის ამ ლოზუნგით ხელმძღვანელობის საჭიროება კიდევ უფრო გაიზარდა.

ამიტომ, ამხანაგებო, პარტიას არ შეუძლია წავიდეს ფრუმკინის და ფრუმკინების მიერ ნაკარნახევი გზით. პარტია უნდა წავიდეს იმ გზით, რომელიც დასახა ლენინმა, უნდა წავიდეს იმ გზით, რომელიც დასახეს ჩვენი პარტიის მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე ყრილობებმა, უნდა წავიდეს იმ გზით, რომელიც შეიმუშავა ჩვენი პარტიის ცეკამ.

და თუ ყველა ეს ფრუმკინები თავს არ გაანებებენ ასეთი წერილების წერას და მით უმეტეს, თუ ეს ამხანაგები წერილიდან გადავლენ საქმეზე, პარტია იძულებული იქნება ამ ამხანაგების მიმართ მიიღოს ისეთივე მკაცრი ზომები, როგორიც მან მიიღო ტროცკისტების წინააღმდეგ.

ფრუმკინი ამტკიცებს, რომ ჩვენი პოლიტიკა სპობს გლეხობის სამეურნეო განვითარების სტიმულს.

მართალია თუ არა ეს? რასაკვირველია, არა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ სოფლის მეურნეობის ზრდის ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენი პოლიტიკა სოფლად მიმართულია იქითკენ, რომ დავაინტერესოთ გლეხობა თავისი მეურნეობის განმტკიცებაში.

მაგრამ მარტო სახელმწიფოს ძალებით და სახსრებით არ შეიძლება 25 მილიონი გლეხური მეურნეობის აღორძინება, მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენი გლეხობა სათესლედ ხმარობს 800 მილიონ ფუთ ხორბლეულს, სახელმწიფოს კი შეუძლია 30—40 მილიონი ფუთის მიცემა, გვიჩვენებს, თუ რამდენად უმნიშვნელოა სახელმწიფოს დახმარება სოფლის მეურნეობისადმი მთლიანად, დახმარება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მხოლოდ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეების მიმართ მოუსავლიანობის შემთხვევებში.

ამიტომ საჭიროა მრავალი რთული ღონისძიება, მიმართული იქითკენ, რომ დავაინტერესოთ გლეხობა თავისი მეურნეობის განმტკიცებაში, უზრუნველვყოთ მისი ზრდა და აღორძინება. გენერალური და ძირითადი ღონისძიება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მის გადასაყვანად უმაღლეს ტეხნიკურ ბაზისზე, არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მრეწველობა შესძლებს გლეხობის და, მაშასადამე, მსუბუქი ინდუსტრიის სავსებით დაკმაყოფილებას საწარმოო იარაღებით, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სოფლის მეურნეობა იმყოფება უდიდესი წინსვლის გზაზე.

მაგრამ, ამხანაგებო, სანამ განვახორციელებდეთ ინდუსტრიალიზაციას, სანამ დაიწყებდნენ მუშაობას ახალი ფაბრიკები და ქარხნები, მანამდე პარალელურად საჭიროა სხვადასხვა ღონისძიებები, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ გლეხობას აღორძინოს თავისი მეურნეობა.

პირველ ყოვლისა, ყოველმხრივი დახმარება უნდა გავუწიოთ ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომელნიც ჯერ კიდევ შეადგენენ გლეხურ მეურნეობათა ძირითად მასას და იძლევიან საბაზრო პურის 90 პროცენტს. თუ არ ვცდები, ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობანი გვაძლევენ საბაზრო პურის 8,7 პროცენტს, დანარჩენი—90 პროცენტი ბაზარზე გამოაქვთ ინდივიდუალურ მეურნეობებს, ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ ინდივიდუალური მეურნეობების როლი განვითარების ეხლანდელ პერიოდში, ჩვენ არ შეგვიძლია მიზნად დავისახოთ დახმარების გაწევა მხოლოდ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ეს იქნება გლეხობის ძირითადი მასების ინტერესებისათვის გვერდის ავლა. ეს იქნება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის აღსასრულის დასაწყისი. ინდივიდუალური მეურნეობების აღორძინება,—აი ძირითადი საკითხი, რომელსაც ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვინაიდან ეს მეურნეობები გვაძლევენ საბაზრო პურის და ნედლეულს.

მეორე—კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ზრდის ტემპის გაძლიერება, პარტიას არ შეუძლია წავიდეს ამხ. ფრუმკინის მიერ ნაკარნახევი გზით. ფრუმკინი წინადადებას გვაძლევს, სულ ავიღოთ ხელი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე. ფრუმკინი ირონიით ლაპარაკობს კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებული მშენებლობის მნიშვნელობის შესახებ და ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენ ასი მილიონობით ვხარჯავთ „საეჭვო საქმეზე" სოფლად, ე. ი. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე. განა დიდი ხანია, რაც გადაუდებელი სამუშაო სასაცილოდ ასაგდები გახდა? ჩვენ ვამბობთ, რომ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა გადაუდებელი ამოცანაა ჩვენი პარტიისათვის, რომ ამ საკითხის გადაჭრაზე უნდა მუშაობდეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი.

ფრუმკინი მით უფრო წინააღმდეგია კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა, რომ მათ სთვლის გლეხობაზე მხოლოდ მორალური ზეგავლენის იარაღად და ამტკიცებს, რომ ბაზარზე გამოსატანი პურის თვალსაზრისით ჩვენ არ შეიძლება გვაინტერესებდეს კოლმეურნეობათა განვითარება.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ კოლმეურნეობათა მშენებლობის აღმზრდელობითი მხრით, და ამხანაგებმა, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ჩვენ პარტიულ პრესას, იციან თუნდაც ის მაგალითი, თუ როგორ მიიღეს სალსკის*) გლეხებმა ტრაქტორები. მათ იციან, რომ გლეხებმა ხელსაყრელად ჩასთვალეს მიწის დამუშავება ტრაქტორებით და რომ ეხლა მთელი სოფლები ეწერებიან რიგში ტრაქტორების მისაღებად.

ეს უდიდესი ფაქტორია, ეს მთელი რევოლუციაა სოფლად და კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ასეთი ზეგავლენის ჩვენს გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კულტურის ასაწევად უფრო მაღალ ბაზისზე.

ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მაგრამ განა ჩვენ ამავე დროს მატერიალურ მიზნებსაც არ ვისახავთ. 1931 წელს, განვითარების არსებული ტემპის მიხედვით, ჩვენ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობებისაგან უნდა მივიღოთ 200 მილიონამდე ფუთი პური და ეს მაშინ, როცა სულ ჩვენ უნდა შევაგროვოთ ექვსასი თუ შვიდასი მილიონი ფუთი პური. როგორც ხედავთ, ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია ბაზარზე გასატანი პურის თვალსაზრისით.

შემდეგი ღონისძიება—გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირება, განსაკუთრებით საწარმოო კოოპერაციის ხაზით. ეს განსაკუთრებით შეეხება საქართველოს, იმიტომ, რომ ჩვენ ამ მხრივ ჩამოვრჩით კავშირის ყველა რესპუბლიკას. საშუალო ციფრი კავშირში არის 50 პროცენტი, ჩვენში კი ეს ციფრი მხოლოდ 40 ან 41 პროცენტს უდრის, აქედან გამომდინარეობს ამოცანა: გლეხობის ფართოდ შეკავშირება საწარმოო კოოპერაციაში, რაც შესაძლებელს გახდის გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ გლეხის მეურნეობა. შემდეგ—ნათესის კონტრაქტაციის ყოველნაირად გაძლიერება და გაფართოება, მეტი საქონლის შეტანა სოფლად, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც პური მზადდება.

გარდა ამისა, ჩვენ მართლაც უნდა უზრუნველვყოთ გლეხობა რევოლუციონერული კანონიერებით, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხში, ვინაიდან ესეც ერთ-ერთ სტიმულს წარმოადგენს მეურნეობების გაფართოებისათვის. ცეკას პლენუმზე გამოქვეყნებულ იქნა ამ კანონიერების დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტები. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ გადასახადის სიმძიმე ხშირად გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენებს აწვება.

ბოლოს, ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური და გამოვიყენოთ უცხოეთის მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევები. დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ამერიკაში, კაპიტალისტები სოფლის მეურნეობაში უდიდეს რევოლუციას ახდენენ, ისევე, როგორც მათ თავის დროზე მოახდინეს რევოლუცია მრეწველობაში.

ერთი მაგალითი: 1918 წელს ამერიკაში გამოიგონეს რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა „კომბაინი"-ი, რომელიც ერთსა და იმავე დროს მკის ყანას, ლეწავს ძნას, ასუფთავებს და ტომრებში ყრის მარცვალს. ამ მანქანას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მეტისმეტად ამსუბუქებს და აჩქარებს მუშაობას. ამასთან ასეთი მანქანის წყალობით აღარ დაგვჭირდება ძვირად ღირებული ნაგებობანი, როგორიც არის, მაგალითად, ჩასაყრელი, მარცვლეულის საწმენდი მანქანები და სხვ. ეს მანქანა ამერიკაში 1918 წლიდან ყველგან გავრცელდა. ჩვენ კი ეს მხოლოდ წელს გავიგეთ.

მეორე მაგალითი: გერმანიაში გამოიგონეს სათესი მანქანა, რომელიც იძლევა თესლის ეკონომიას თითქმის 50 პროცენტით და რომელიც ამავე დროს, თესვის განსაკუთრებული ხერხის წყალობით, მოსავლიანობას ადიდებს 200-დან 700 პროცენტამდე.

აი ღონისძიებანი, რომელთაც შეუძლიათ მოსავლიანობის აწევა. პარტიის დირექტივა მდგომარეობს იმაში, რომ გავადიდოთ ნათესის სივრცე 3 პროცენტით, ხოლო მოსავლიანობა—7 პროცენტით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას და მივაღწევთ კიდეც უმარტივეს ღონისძიებათა წყალობით. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ, ამ ღონისძიებებთან ერთად, სოფელს უნდა მივაწოდოთ რთული და მარტივი მანქანები, რომელთაც შეუძლიათ სოფლის მეურნეობის აწევა, რაც საჭიროა როგორც ინდუსტრიის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის.

ჯამი რომ გამოვიყვანოთ იმას, რაც ვთქვით, მივიღებთ შემდეგს: ქალაქში ჩვენ გვაქვს მრეწველობის უეჭველი და სწრაფი ზრდა, ამასთან ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპი თვალსაჩინოდ აღემატება იმას, რაც დღემდე ვიცით ზრდის ტემპის შესახებ ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნების ისტორიაში.

სოფლად ვამჩნევთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის უდიდეს ზრდას და ამავე დროს კერძო კაპიტალის სექტორის პარალელურ შემცირებას. ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობის უეჭველი, მაგრამ არა საკმარისი ზრდა—ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი გაცილებით წინ უსწრებს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს, ამას კი შეიძლება მოჰყვეს ქალაქისა და სოფლის გათიშვა, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვა.

პარტიის პოლიტიკა სოფლის მიმართ სავსებით სწორი იყო, მომავალში საჭიროა გაძლიერდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის წინსვლა.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური სექტორის სწრაფი ზრდა.

მაგრამ ამასთან ერთად ვამჩნევთ ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობის ერთგვარ გაძლიერებას და კლასობრივი ბრძოლის ერთგვარ გამწვავებას; ეს არის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებისა და პროლეტარული სახელმწიფოს მხრივ კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გაძლიერების შედეგი.

არიან კომუნისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება გამოიწვია პურის ნაკლებობამ, იმან, რომ ჩვენ პურის გეგმებში დეფექტები დავუშვით.

ეს აშკარა შეცდომაა, არა მარქსისტული შეხედულებაა, რომელიც თავდაყირა აყენებს კლასობრივი ბრძოლის ძირითად ცნებებს, საერთოდ, კერძოდ და განსაკუთრებით კი,—პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რადგანაც იმ დრომდე, სანამ ჩვენში არის კულაკი და ნეპმანი, სანამ არსებობს წვრილი ბურჟუაზია, კლასობრივი ბრძოლა ამა თუ იმ ფარგლებში აუცილებელია, და რაც უფრო ვიზრდებით და ვძლიერდებით, რაც უფრო ვაწარმოებთ შეტევას კულაკის წინააღმდეგ, მით უფრო მეტს წინააღმდეგობას გვიწევს კულაკი. ეს აუცილებელია ჩვენი განვითარების განსაზღვრულ დონემდე, იმ დრომდე, სანამ სოციალისტური სექტორი ქალაქსა და სოფელში არ განვითარდება ისე, რომ ადგილი არ დარჩეს კულაკსა და ნეპმანს.

აი, რას ამბობდა ამის შესახებ მე-15 ყრილობა.

„ქალაქისა და სოფლის კერძო-კაპიტალისტური წრეები, რომელნიც უკავშირდებიან სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ზოგიერთ ბიუროკრატიულ ელემენტებს, სცდილობენ გააძლიერონ თავიანთი წინააღმდეგობა მუშათა კლასის შეტევის წინააღმდეგ, სცდილობენ პროლეტარული დიქტატურისათვის მტრული ზეგავლენა მოახდინონ მოსამსახურეთა და ინტელიგენციის ამა თუ იმ ფენებზე, შინამრეწველებისა და ხელოსნების, გლეხებისა და მუშების ჩამორჩენილ ფენებზე. ამ მტრულ ზეგავლენას და კაპიტალისტური ელემენტების თანდათან ზრდას მუშათა კლასმა, საკავშირო კ. პ. (ბ) მეთაურობით, დაუპირისპირა პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის განმტკიცება, პროლეტარული მასების აქტივობისა, თვითმოქმედებისა და კულტურის უფრო მეტი ზრდა (საბჭოთა გამოცოცხლება, პროფკავშირული დემოკრატიისა და კოოპერატიული საზოგადოებრიობის განვითარება, სოფელზე პროლეტარიატის იდეური ზეგავლენის გაძლიერება, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა მასებში და სხვ.), აგრეთვე საბჭოთა ინტელიგენციის ფართო ფენებზე პროლეტარიატის იდეური გავლენის გაძლიერება".

აქედან წარმოსდგა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერება, ეს ჩვენი მდგომარეობის არსებითი მომენტია მიმდინარე პერიოდში.

ჩვენი სახაპარატის გაუმჯობესებისათვის

გადავდივარ ჩემი მოხსენების უკანასკნელ ნაწილზე, საკითხზე ჩვენი სახელმწიფო აპარატის შესახებ, რომელიც მოწოდებულია—გაატაროს ცხოვრებაში ის უდიდესი ამოცანები, რომელთა შესახებაც ჩვენ ეხლა ვლაპარაკობდით, საკითხზე ჩვენი პარტიის შემადგენლობისა და მისი ზრდის მოწესრიგების შესახებ, და იმ გადახრების შესახებ, რომლებიც ამჟამად ისახებიან ჩვენს პარტიაში.

ჯერ კიდევ ლენინი ჩვენი საბჭოთა აპარატის დახასიათებით აფრთხილებდა პარტიას, რომ ჩვენი საბჭოთა აპარატი ჩინოვნიკურია, ბიუროკრატიულია, ხშირად ანტი-საბჭოთა ხასიათისაა, რომ ამ აპარატში უმრავლესობას ძველი, მეფის დროის ჩინოვნიკური ელემენტები შეადგენენ, რომ ეს აპარატი უვარგისია არა მარტო თავისთავად,—ის ხშირად აფუჭებს და ხრწნის კარგ კომუნისტებს, რომელნიც აპარატის სათავეში დგანან.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა იმასაც, რომ საჭიროა ყოველის საშუალებით, ყოველის ძალღონით მივაღწიოთ ამ აპარატის გაუმჯობესებას და მოწესრიგებას მუშათა და გლეხთა მასიური კონტროლისა და პარტიული შემოწმების გზით და სხვ.

ცეკას პლენუმი განსაკუთრებით შეჩერდა ამ საკითხზე, რადგანაც ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება მცირეოდნად მაინც თვალსაჩინო სერიოზული გაუმჯობესება.

„ეხლანდელი საბჭოთა აპარატი ჯერ კიდევ ძალიან არის გაჟღენთილი ძველი ჩინოვნიკური ელემენტებით, ძველად გაბატონებული კლასების ნაშთებით, რომლებშიაც კიდევ სცოცხლობს სიძულვილი საბჭოთა წყობილებისადმი, ბიუროკრატიული გადამახინჯებანი, უყურადღებობა მშრომელთა საჭიროებისადმი, აღმაშფოთებელი უმოძრაობა, საქმის დანაშაულებრივი გაჭიანურება ხშირად აფერხებს სახელმწიფო ორგანოების მუშაობას, ზოგჯერ ადგილი აქვს სახელმწიფო და კოოპერატიული აპარატის ცალკე საფეხურების პირდაპირ გახრწნას და მოსახლეობის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ელემენტებთან შეხორცებას, რაც იწვევს ამ ორგანოების ძირითადი წმენდის საჭიროებას; ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო აპარატი, მისი ძველი ჩინოვნიკური ფენის სახით, თავის ბეჭედს ასვამს ამ აპარატში მომუშავე კომუნისტთა ზოგიერთ ნაწილს".

აი ასე ახასიათებდა ცეკას პლენუმი ჩვენს საბჭოთა აპარატს, ახასიათებდა მას სრულის შეთანხმებით იმასთან, რასაც სწერდა და ამბობდა ვლადიმერ ილიჩი.

აქ მე მინდა შევეხო მდგომარეობას საქართველოში.

თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონულმა კომიტეტმა მოახდინა თბილისის 64 დაწესებულების გამოკვლევა და თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ადგილი აქვს მოსამსახურეთა სოციალური შემადგენლობის სერიოზულ გაუარესებას. 1927 წლის 1 იანვრიდან 1928 წლის 1 ნოემბრამდე კომუნისტების პროცენტი შემცირდა, ხოლო აზნაურებისა და თავადების რიცხვი გაიზარდა 1,1 პროცენტით. ეს ერთი შეხედვით შეუძლებელი მოვლენა მრავალი მიზეზით აიხსნება. ზოგიერთი ამხანაგი ამბობს—კომუნისტების პროცენტი იმიტომ შემცირდა, რომ ბევრი ოპოზიციონერი მოვხსენით და გადავასახლეთო, თუმცა გაუგებარია, რატომ იყო საჭირო მოხსნილი ოპოზიციონერის ადგილზე მაინცდამაინც უპარტიო და ისიც აზნაურის ან თავადის მიღება.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენს დაწესებულებებში სამსახური მივეცით ყოფილ სამხედრო მეთაურებს, ხოლო მეთაურთა შემადგენლობის 99 პროცენტი ჩვენში თავადაზნაურობაა, ამ გარემოებამ უთუოდ გააუარესა მოსამსახურეთა შემადგენლობა ჩვენს აპარატში.

გარდა ამისა, საქართველოში სპეციალისტების—აგრონომების, ინჟინერების—შემადგენლობა აგრეთვე 90 პროცენტით აზნაურულია. ესეც გასაგებია, იმიტომ, რომ აზნაურები ეკონომიურად უფრო ძლიერნი იყვნენ და შეეძლოთ მიეცათ თავიანთი შვილებისათვის სპეციალური განათლება.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ადვილი ასახსნელია, მაგრამ ფაქტია ის, რომ სოციალური შემადგენლობა ნებაყოფლობით საზოგადოებებშიაც კი (თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება, წითელი ჯვარი და სხვ.) გაუარესდა, თუმცა თითქოს იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ თავადებსა და აზნაურებს, რადგანაც ეს ორგანიზაციები ემყარებიან მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული თვითმოქმედების პრინციპს.

იმისათვის, რომ შევქმნათ ნამდვილი საბჭოთა აპარატი, გადავაქციოთ ის პარტიის დამხმარე ძალად, მისი ხაზის გამტარებლად, არსებობს ერთი გზა—უნდა გავადიდოთ ჩვენი აპარატის შემადგენლობაში კომუნისტებისა და მუშების რიცხვი, უნდა დავაწინაუროთ წარმოების მუშები, დაზგის მუშები ხელმძღვანელ სამეურნეო, სახელმწიფო სამუშაოზე. დაე, დაწინაურებულმა მუშამ დღეს და ხვალ ისე კარგად ვერ იმუშაოს, როგორც რომელიმე უპარტიო მოხელე მუშაობს, სამაგიეროდ გარანტია გვაქვს, რომ როდესაც ამ საქმეს მიეჩვევა, ის საუკეთესოდ განახორციელებს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს, საუკეთესოდ შეასრულებს ჩვენს ამოცანებს. ამავე დროს კი დაწინაურების საკითხში ამჟამად სათანადო წინსვლას ვერ ვხედავ. მოვიყვან რამდენიმე ციფრს თბილისის შესახებ: 1927 წლის 1 ოქტომბრიდან 1928 წლის 1 ოქტომბრამდე დაწინაურებულია სულ 154 კაცი, აქედან პარტიის წევრი 88 პროცენტია, თბილისი კი, ამხანაგებო, თავისი ხვედრითი წონით საქართველოს ნახევარს უდრის.

ეს მოწმობს ჯერ—ერთი იმას, რომ დაწინაურების საქმე საერთოდ სუსტად არის დაყენებული და მეორე იმას, რომ აქაც სათანადოდ ვერ შეგვისრულებია პარტიის ხაზი. ხოლო პარტიული ხაზი იმას გვკარნახებს, რომ დაწინაურებულთა შორის მნიშვნელოვან პროცენტს უნდა შეადგენდნენ უპარტიო მუშები, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ უპარტიო მუშა ისევე ჩაებას სახელმწიფოებრივ მუშაობაში, როგორც კომუნისტი, რომ სახელმწიფოებრივი მუშაობა არ გადაიქცეს კომუნისტების პრივილეგიად, რომ უპარტიო მუშები არ ფიქრობდნენ, თითქოს ჩვენს მშენებლობაში მონაწილეობის საშუალება აქვთ მხოლოდ კომუნისტებს.

9 მაზრაში იმავე დროის განმავლობაში დაწინაურებულ იქნა 82 მუშა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ციფრები სრულებით არ არის საკმაო და რომ ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმაყოფილებს. მუშების სუსტი დაწინაურების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ პროფესიონალური კავშირები სათანადოდ არ მუშაობენ ამ საკითხზე, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

ყველამ იცის, რომ მცირე მცოდნე მუშის დაწინაურება სამეურნეო ან სახელმწიფოებრივ სამუშაოზე საკმაოდ ძნელი საქმეა. საჭიროა მუშის გამონახვა, მისი აღზრდა, მისი მუშაობაში ჩაბმა, იმ წინააღმდეგობის დაძლევა, რომელსაც ყოველი მხრიდან უწევენ მუშების დაწინაურებას. პროფკავშირები საკმაოდ ვერ ჩაებნენ ამ მუშაობაში, ხოლო პროფორგანიზაციები სათანადო ზეგავლენას ვერ ახდენდნენ პროფკავშირებზე. იმის ნაცვლად, რომ პროფკავშ. აემუშავებიათ ამ მიმართულებით, პარტორგანიზაციები ხშირად თითონ აკეთებდნენ ამ საქმეს და ამრიგად პროფორგანიზაციებს სცვლიდნენ პარტუჯრედებით.

ეს არის სუსტი დაწინაურების მეორე მიზეზი.

მესამე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ ამა თუ იმ დაწესებულების სათავეში მდგომი ბევრი კომუნისტი გააფთრებით ეწინააღმდეგება მუშების დაწინაურებას (ხმები: „მართალია").

ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი, სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი თავისი ხელქვეითების გავლენით ილაშქრებს, ან, უფრო სწორად თუ ვიტყვით, მოქმედებს მუშების დაწინაურების წინააღმდეგ (ხმები: „მართალია"). ასეთ კომუნისტს ურჩევნია ჰყავდეს უპარტიო მოხელე, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებს „უფროსის" ყველა განკარგულებას, ვიდრე კარგი კომუნისტი მუშა, რომელიც ყოველთვის როდი დაეთანხმება მას და ზოგჯერ შეეცდება კიდეც იმ დეფექტების გამომჟღავნებას, რომლებსაც ადგილი აქვს მუშაობაში. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და მუშათა დაწინაურების საკითხი უნდა გადაიქცეს ყოველდღიური მუშაობის საკითხად. უნდა გაიშალოს უაღრესად ფართო თვითკრიტიკა. საჭიროა შეიქმნას ისეთი ატმოსფერა, როგორც საზოგადოებრივი, ისე პარტიული და უპარტიო, რომ სამეურნეო მუშაკი კომუნისტი ვერ ბედავდეს იმის თქმას, რომ მას არ სურს ჰყავდეს თავის აპარატში დაწინაურებული მუშა. ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ მოვიშოროთ ასეთი სამეურნეო მუშაკი,—ჩვენი ამოცანაა ჩავატაროთ უფრო ღრმა მუშაობა ისეთი ატმოსფერის შესაქმნელად, რომ სამეურნეო მუშაკს ან ამა თუ იმ აპარატის მმართველს აღარ შეეძლოს უარის თქმა მუშების დაწინაურებაზე, არამედ მოხარულიც იყოს ამ დაწინაურებისა. იმ დრომდე, სანამ ამას არ განვახორციელებთ, ზედმეტი იქნება ლაპარაკი იმაზე, რომ რაიმე წარმატება მოვიპოვოთ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში, ჩვენი აპარატის ძირიანად შეცვლის საქმეში. ასეთი აპარატით კი ჩვენთვის ძნელი იქნება იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დასახულია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ამხანაგებო, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა არ არის ერთი და ორი დღის საქმე.

ყოველ ჩვენგანს ესმის, რომ სათანადო წარმატებას ვერ მივაღწევთ, სანამ საკმაოდ არ გავადიდებთ მუშების რიცხვს ჩვენს აპარატში. ამასთან ერთად ისიც არ შეგვიძლია, რომ დაუყოვნებლივ განვახორციელოთ ჩვენი აპარატის სრული კომუნიზაცია და ყველა აზნაური მოვიშოროთ აპარატიდან. მაგრამ მე ვამბობ, რომ ის ადგილებიც კი, რომლებზედაც შესაძლებელია მუშების დაწინაურება, უჭირავთ ნიკოლოზის დროის ჩინოვნიკებს, გამოთაყვანებულ ბიუროკრატებს, ხშირად ნამდვილ დამაზიანებლებსაც, რომლებიც ძირს უთხრიან ჩვენს მუშაობას. ამ ბოროტებას მთელი ძალღონით უნდა ვებრძოლოთ.

პარტიის შემადგენლობის და ზრდის მოწესრიგება

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიის მდგომარეობისა და შემადგენლობის საკითხთან, თუ ჩვენი პარტია პროლეტარული არ იქნება თავისი შემადგენლობით, თუ მისი უდიდესი უმრავლესობა შემდგარი არ იქნება მუშებისა და უღარიბესი გლეხებისაგან, ის უკვე აღარ იქნება მუშათა პარტია. ამხ. მოლოტოვმა დასვა პარტიის გენერალური წმენდის საკითხი და პლენუმმაც მოიწონა მისი წინადადება. ეს წინადადება გადაეცა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას პრაქტიკულად განსახილველად და, რამდენადაც მე ვიცი, გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც შეუდგა იმ საკითხის დამუშავებას, თუ როგორ უნდა ჩატარდეს პარტიის წმენდა.

ამხ. მოლოტოვის მიერ გამოქვეყნებული ცნობებიდან სჩანს, რომ „იმ მეურნეობათა ჯგუფი, რომელთა საწარმოო საშუალებების ღირებულება უდრის 800-დან 1.600-მდე მანეთს, მოსახლეობაში შეადგენს 18 პროცენტს, პარტორგანიზაციის შემადგენლობაში კი—20 პროც. ხოლო იმ მეურნეობათა ჯგუფი, რომელთა საწარმოო საშუალებების ღირებულება 1.600 მანეთს აღემატება (უმრავლეს შემთხვევებში კულაკური ნაწილი), მოსახლეობაში შეადგენს 3 პროცენტს, ჩვენი ორგანიზაციების შემადგენლობაში კი—4 პროცენტზე მეტს. ამრიგად, შეძლებული ელემენტების ხვედრითი წონა სოფლის პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში საგრძნობლად უფრო დიდია ამავე ელემენტების ხვედრით წონაზე სოფლის მოსახლეობის საერთო მასაში, გარდა ამისა, ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სპეციალურად გამოიკვლია ის კომუნისტები, რომლებიც მხოლოდ სოფლის მეურნეობას მისდევენ. ამ შემთხვევაში მდგომარეობა კიდევ უფრო არახელსაყრელი გამოდგა ჩვენთვის. კომუნისტების ამ ჯგუფში იმ მეურნეობათა პროცენტი, რომელთა საწარმოო საშუალებების ღირებულება უდრის 800-დან 1.600-მდე მანეთს, აღწევს თითქმის 27 პროცენტს (მოსახლეობაში კი ეს ჯგუფი 18 პროცენტს შეადგენს), ხოლო იმ მეურნეობათა ჯგუფი, რომელთა საწარმოო საშუალებების ღირებულება 1.600 მანეთს აღემატება, აღწევს 8 პროცენტს (მოსახლეობაში კი 3 პროცენტს)". (ამხ. მოლოტოვის მიერ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან).

უფრო თვალსაჩინოა ის ცნობები, რომლებიც მოგვცა კომუნისტების მეურნეობათა სპეციალურმა აღწერამ ვოლოგდის გუბერნიაში.

ამ ცნობების მიხედვით გვაქვს ასეთი სურათი: „იმ მეურნეობათა ხვედრითი წონა, რომლებსაც ჰყავთ ორი ან მეტი ცხენი, გლეხობის საერთო მასაში შეადგენს 7 პროცენტს, კომუნისტებს შორის კი—12 პროცენტს; იქვე იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც ჰყავთ 3 და მეტი ძროხა, გლეხობის საერთო მასაში, შეადგენს 20 პროცენტს, კომუნისტებს შორის კი 29 პროცენტს".

ეს ცნობები მოწმობენ, რომ სოფლის შეძლებული ფენები როგორღაც უფრო არიან წარმოდგენილნი ჩვენს პარტიაში, ვიდრე მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები. ხოლო მოჯამაგირენი სრულიად უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ ჩვენს პარტიაში. ამას ამ

---

*) სალსკი ჩრდილოეთ-კავკასიაშია.

გარიში უნდა გავუწიოთ იმისათვის, რომ თავის დროზე მივიღოთ სათანადო ზომები საერთოდ პარტიის და განსაკუთრებით მისი სოფლური ნაწილის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად.

სამწუხაროდ, საქართველოში ვერ ჩავატარეთ პარტორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის გამოკვლევა, მაგრამ ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობების მიხედვითაც, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მდგომარეობა ჩვენში უკეთესი არ არის.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას ივნისის პლენუმზე ამხ. ხვანიძემ თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის შემადგენლობისა და მისი ზრდის მოწესრიგების შესახებ მოიყვანა შემდეგი ცნობები:

1925 წლის 1 ივლისიდან 1928 წლის აპრილამდე მოჯამაგირეთა რიცხვი პარტიაში გაიზარდა 627 პროცენტით (აბსოლუტური გამოხატულებით ეს იძლევა სრულიად უმნიშვნელო ციფრს—282-ს). მეორე ადგილი უჭირავთ ხელოსნებს (ზრდა უდრის 201 პროცენტს), მესამე—გლეხებს (ზრდა უდრის 200 პროცენტს). მეოთხე—მოსამსახურეებს (ზრდა უდრის 145,6 პროცენტს). უკანასკნელი ადგილი კი უჭირავთ მუშებს (ზრდა უდრის 143,2 პროცენტს).

მართალია, აბსოლუტურად მუშების რიცხვი უფრო გაიზარდა, ვიდრე ხელოსნებისა და მოსამსახურეების რიცხვი, მაგრამ მაინც დამახასიათებელია, რომ ზრდის ტემპით მუშები ყველას, მოსამსახურეებსაც კი, ჩამორჩებიან.

„თბილისის მაზრის სართიჭალის თემის გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ იქ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია გლეხების 15 პროცენტი, სართიჭალის პარტორგანიზაციაში კი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული შეადგენენ მხოლოდ 14,8 პროცენტს.

მეორე, უფრო დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს საგარეჯო.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა რიცხვი იქ შეადგენს 36,5 პროცენტს, ხოლო სათანადო პროცენტი უჯრედის წევრთა შორის უდრის მხოლოდ 15,9-ს".

ეს ცნობები მოწმობენ იმას, რომ ღარიბი გლეხობის წონა სოფლად უფრო დიდია, ვიდრე ჩვენს პარტიაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, პარტია დატვირთულია შეძლებული ელემენტებით, ღარიბი ელემენტები კი სუსტად არიან ჩაბმულნი პარტიაში.

ამრიგად, ამხ. მოლოტოვის წინადადებას პარტიის წმენდის შესახებ აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორგანიზაციისათვის, ამიტომ საჭიროა შევუდგეთ მისი სოციალური შემადგენლობის სერიოზულად შესწავლას. ლენინის ლოზუნგი: „უმჯობესია უფრო ცოტა და უფრო კარგი" დღევანდელი დღისთვისაც სავსებით ძალაში რჩება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენს პარტიაში მეტად უმნიშვნელოა ტეხნიკურად მცოდნე ძალების პროცენტიანობა, მაგალითად, იმ არასრული ცნობებიდან, რომლებიც ამხ. მოლოტოვის განკარგულებაში იყო, სჩანს, რომ „უმაღლესი ტეხნიკური პერსონალის პირების—აგრონომების, ტაქსატორების, მიწისმზომელების, ტყის გამგეების, ტოპოგრაფების, არქიტექტორების და სხვ. რიცხვი „პარტიაში უდრის 796-ს. ეს მეტად უმნიშვნელო პროცენტია იმ პარტიაში, რომელსაც მილიონნახევარი წევრი ჰყავს. ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, შევქმნათ ურთულესი კულტურა ქალაქში და სოფლად, თუ იმდენი ტეხნიკური ძალები მაინც არ გვეყოლა, რომ მათ შეეძლოთ კონტროლი გაუწიონ სპეციალისტებს. ამიტომ ამხ. მოლოტოვმა სამართლიანად დასვა საკითხი, რომ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ პარტიაში მოვიზიდოთ ის ახალგაზრდა ინჟინერ-ტეხნიკოსები, რომლებიც გამოდიან ჩვენი საბჭოთა სასწავლებლებიდან და რომლებიც მთელი თავიანთი საბჭოთა საქმიანობით ამტკიცებენ, რომ კომ პარტიის წევრობის ღირსნი არიან.

ბრძოლა გადახრებთან ჩვენს პარტიაში

ნება მომეცით გადავიდე ჩემი მოხსენების უკანასკნელ ნაწილზე, გადახრების საკითხზე.

სავსებით გასაგებია, რომ ამ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დგანან ჩვენს წინაშე სამეურნეო მშენებლობის დარგში, სოფლის მეურნეობის განმტკიცების დარგში, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების დარგში, ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, ჩვენი პოლიტიკისა და პრაქტიკის ყველა დარგში,—ყველა ამ ამოცანას განვახორციელებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი კომუნისტური ლენინური პარტია დარჩება მთლიან მონოლიტურ პარტიად, თუ ამ პარტიაში ადგილი არ ექნება არავითარ მერყეობასა და ქანაობას არც ჩვენი პოლიტიკისა და პრაქტიკის და არც ჩვენი თეორიის საკითხებში. ამიტომ გადახრების საკითხი იყო ყველაზე უფრო მწვავე საკითხი, რომელმაც მიიპყრო მთელი პლენუმის ყურადღება, დღის წესრიგის ყველა საკითხზე, საკონტროლო ციფრების საკითხშიაც, 7 საათის სამუშაო დღის საკითხშიაც, ამხ. მოლოტოვის მოხსენებაშიაც და ჩრდილოეთ-კავკასიის სოლქო კომიტეტის მოხსენებაშიაც წითელი ზოლივით იყო გავლებული მემარჯვენე და მემარცხენე გადახრის საკითხი იმიტომ, რომ, ვიმეორებ, ჩვენი გამარჯვების ძირითად საწინდარს წარმოადგენს ჩვენი პარტიის მონოლიტობის შენარჩუნება. ბევრი ამხანაგი კითხულობს—რა არის მემარჯვენე გადახრა და რატომ ასე მოულოდნელად გამოჩნდა იგიო. მემარჯვენე გადახრა დიდი ხანია, არსებობს, ის არსებობს მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს საბჭოთა ხელისუფლება. არსებობს იმიტომ, რომ მემარჯვენე გადახრა, ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში არსებული ყოველი გადახრა, სოციალური ფესვები იყარება ჩვენი ქვეყნის წვრილბურჟუაზიულ ხასიათში.

ყველა ქვეყნის წვრილ ბურჟუაზიას ხშირად ის ახასიათებს, რომ იგი აუცილებლად ქანაობს ხან ერთ და ხან მეორე მხარეზე. ოდნავი საკონიუნქტურო, სპეციფიური დაბრკოლებანი დაუყოვნებლივ იწვევენ მის მერყეობას ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხოლო ამ მერყეობის გამომხატველნი ჩვენს რიგებში არიან პარტიის ცალკე წევრები, ჩვენი პარტიის ცალკე საფეხურები, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ამ წვრილ ბურჟუაზიასთან და უნებურად გამოხატავენ მის მერყეობას. მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში ამჟამად იმიტომ გამოაშკარავდა, რომ ჩვენს წინაშე წამოიჭრენ მთელი რიგი ახალი სიძნელენი, რომლებსაც მე შევეხე ამ მოხსენების პირველ ნაწილში: კლასობრივ ურთიერთობათა ნაწილობრივი გამწვავება ჩვენს ქვეყანაში, კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება, ქალაქის ნეპმანისა და სოფლის კულაკის გაძლიერება. მთელ მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნების ამხედრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ომის საფრთხე, როგორც დღევანდელი დღის პრაქტიკული საფრთხე და დაბრკოლებანი ჩვენს სამეურნეო ფრონტზე,—ყოველივე ეს იწვევს მერყეობას წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებში და სწორედ ამით აძლიერებს მემარჯვენე გადახრას.

აი რას ამბობს ცეკას პლენუმი ამ საკითხის შესახებ:

„ამჟამად, როდესაც იმპერიალიზმი განუწყვეტელ საგარეო შეტევას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სოციალისტური მშენებლობისათვის წინააღმდეგობის გამწვავებას ბურჟუაზიული კაპიტალისტური ფენების მხრივ (კულაკები, ნეპმანები, ბურჟუაზიული ინტელიგენცია, კონტრ-რევოლუციონური მავნებლები) განსაზღვრულ მომენტებში სხვადასხვა სახის მერყეობა შეაქვს ჩვენს წვრილ-ბურჟუაზიულ მოკავშირეთა რიგებში. ტროცკისტული იდეოლოგიის (რომელიც „მემარცხენე" ფრაზით ჰფარავს თავის ნამდვილ სახეს და მენშევიკური ტიპის იდეოლოგიას წარმოადგენს) გაცხოველების ცდებთან ერთად, ამჟამად პარტიაში საგრძნობლად გაძლიერდა მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული საფრთხე, რომელიც მოითხოვს პარტიის პოზიციების დათმობას წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის შეტევის წინაშე. აქედან ცხადია, რომ დღევანდელ პერიოდში პარტიამ განსაკუთრებული სიმტკიცით უნდა იბრძოლოს ორ ფრონტზე, გენერალურ ბოლშევიკურ ხაზიდან ორგვარი გადახრის წინააღმდეგ და ამ გადახრების მიმართ, როგორც ლენინიზმისათვის უდავოდ უცხო მოვლენის მიმართ, ყოველგვარი შემარიგებლობის წინააღმდეგ".

ბევრი ამხანაგი გვეკითხება, რა არის მემარჯვენე გადახრა, რა არის მემარცხენე გადახრა და რატომ ეწოდება ტროცკიზმს მემარცხენე, თუ იგი იმავე დროს წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიულ გადახრას. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. განა ჩვენი პარტიის ისტორიაში არ ყოფილა ასეთი მაგალითები ჯერ კიდევ ლენინის გარდაცვალებამდე, როცა ლენინი ამა თუ იმ ჯგუფებს უწოდებდა ულტრა-მემარცხენე ჯგუფებს და ამასთანავე დაუნდობელი კრიტიკით ამჟღავნებდა მათი იდეოლოგიის წვრილ-ბურჟუაზიულ არსებას. მე მინდა შევეხო 1918 წლის ისტორიას ბრესტის ზავის დროს, როცა ლენინმა დასწერა თავისი ბრწყინვალე შრომა „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი". პირველად მან გამოთქვა ეგრედწოდებული მემარცხენე კომუნისტების ბუნება და ყველას შეაგნებინა, რომ ისინი მემარცხენე არიან მხოლოდ სიტყვით და რომ მემარცხენე ფრაზით ჰფარავენ თავიანთ წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრას, წვრილ-ბურჟუაზიულ შინაარსს. ტროცკიზმი მემარცხენეა სიტყვით, ნამდვილად კი იგი მენშევიზმის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

მეორე საკითხია—რა განსხვავებაა ტროცკიზმის და მემარჯვენე საფრთხეს შორის?

უპირველეს ყოვლისა, ტროცკიზმი უკვე ჩამოყალიბებული ახალი პარტიაა რომელიც აშკარად იბრძვის ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების. მემარჯვენე გადახრა ჯერ არ ჩამოყალიბებულა ორგანიზაციულად, მას არ შეუქმნია თავისი პლატფორმა, არ შეუჯგუფებია ახალი პირები, რომლებიც განახორციელებდნენ ამ პლატფორმას და დაუპირისპირებდნენ მას ცეკას და პოლიტბიუროს პოლიტიკას.

მე გირჩევთ წაიკითხოთ ამხ. სტალინის სიტყვა რომელშიაც იგი ნათლად და მკაფიოდ არკვევს იმ პირობებს, რომლებიც ნიადაგს ქმნიან უკლონისტებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ესა თუ ის გადახრა გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი ქვეყანა წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, მაგრამ რადგან წვრილი ბურჟუაზია არ არის ერთგვარი და მთლიანი რამ და რადგან წვრილი ბურჟუაზიის მთელი არსება მუდმივ მერყეობას განიცდის, ამიტომ მემარჯვენე და მემარცხენე გადახრები გამოხატავენ ერთსა და იმავე სტიქიას, ამ მერყეობის სხვადასხვა ფაზებს. ისინი გამოხატავენ ამ წვრილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენების სულისკვეთებას. ტროცკიზმი გამოხატავს განადგურების გზაზე მდგომი წვრილი ბურჟუაზიის და ჩამორჩენილ მუშათა ფენების სულისკვეთებას, ხოლო მემარჯვენე გადახრა ნეპმანის სულისკვეთებას ქალაქად და კულაკის სულისკვეთებას სოფლად.

ამხ. მოლოტოვი თავის მოხსენებაში მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე ამბობს:

„მაშასადამე, ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობათა განვითარებასთან ერთად ალაგ-ალაგ იზრდება კულაკის მეურნეობათა ზრდაც.

ამ ფაქტს პარტიის იმ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს „უფრო გადამწყვეტ შეტევას კულაკის წინააღმდეგ" (მე-15 პარტიული ყრილობა), არ შეუძლია არ გამოიწვიოს კულაკური ელემენტების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ადვილად გასაგებია, რომ ამ წრიდან მომდინარეობს და უფრო და უფრო ძლიერდება ჩივილი სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ. სოფლის ზედა ფენის ეს სულიერი განწყობილება გავლენას ახდენს წვრ.-ბურჟუაზიულ ფენებზე, მათ ერთგვარ მერყეობას იწვევს და ჩვენს რიგებშიაც კი იჭრება". (ამხ. მოლოტოვის სიტყვა მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე, 1928 წლის 30 ნოემბერს).

აჰა ახასიათებს ამხ. მოლოტოვი იმ წრეს, რომელიც ზეგავლენას ახდენს და აძლიერებს მემარჯვენე გადახრას. როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე უკლონისტები იბრძვიან პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი სხვადასხვა მეთოდებით იბრძვიან. მემარცხენეები იბრძვიან აშკარად. მემარჯვენეები მხოლოდ სახავენ ბრძოლას, ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებიან, დაქსაქსულნი არიან. მე უკვე ვსთქვი რომ მემარჯვენე გადახრა ფიქრობს, რომ ჩვენ ძალიან ბევრს ვხარჯავთ ინდუსტრიალიზაციისათვის, რომ უნდა შევამციროთ თანხების დაბანდება კაპიტალურ მშენებლობაში, რომ უნდა შევანელოთ ინდუსტრიის განვითარების ტემპი და ეს თანხები მოვახმაროთ მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებას.

მემარცხენეები სწერდნენ და სწერენ, რომ საჭიროა ზეინდუსტრია. მაგრამ ზოგთის და ზოგის როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების გზას ერთი და იგივე შედეგი მოჰყვება: კაპიტალიზმის აღდგენა საბჭოთა კავშირში, პროლეტარიატის დიქტატურის დაღუპვა, საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვა. იმის გამო, რომ ჩვენში აღმოჩნდა „მემარცხენე" და მემარჯვენე გადახრანი, რომლებსაც პარტია კატეგორიულად ებრძვის, ზოგიერთი კომუნისტი პოლიტიკურ ხელმძღვანელობას წარმოდგენილი აქვს ცენტრად, რომელიც მერყეობს მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის.

ეს აშკარა ანტი-ბოლშევიკური, ანტი-ლენინური დებულებაა, რადგან ცენტრიზმი მთლიანად სოციალ-დემოკრატიული კატეგორიაა და მისი იდეოლოგია შეგუების იდეოლოგიაა, რომელიც პროლეტარულ ინტერესებს უმორჩილებს წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს, ცენტრისტები მუშათა პარტიის უკიდურესი მტრები არიან, ამიტომ ცენტრიზმი აბსოლუტურად მიუღებელი გადახრა იქნებოდა ჩვენს პარტიაში, და ჩვენ უფრო მეტის ენერგიით უნდა ვებრძოლოთ მის წინააღმდეგ, ვიდრე ყოველგვარ სხვა გადახრასთან.

ზოგიერთი ამხანაგი მოითხოვს მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელთა დასახელებას. მაგრამ უკვე ვსთქვი, რომ მემარჯვენე გადახრა ჯერ არ ჩამოყალიბებულა არც ორგანიზაციულად და არც პოლიტიკურად. პლენუმის ყველა გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული, და ეხლა დიდი მნიშვნელობა აქვს არა ამ გვარების ცოდნას, არამედ იმას, რომ პარტიამ გამოაშკარავა მემარჯვენე გადახრის არსებობა, რომელიც თავს იჩენს ყოველდღიურ მუშაობაში.

ზოგიერთი ამხანაგები აღნიშნავენ რა ამ ფაქტს, რომ მემარჯვენე საფრთხის მატარებლები საქართველოში იყვნენ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც ტროცკისტულ ოპოზიციას შეუერთდნენ, ფიქრობენ, რომ ტროცკიზმთან ბრძოლის გათავებასთან ერთად თავის აქტუალობას ჰკარგავს საქართველოში მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის საკითხი. უეჭველია, რომ ქართველი უკლონისტები იყვნენ მემარჯვენე საფრთხის ყველაზე აშკარა გამომხატველნი, მართალია ისიც, რომ ტროცკისტულ ოპოზიციას შეუერთდა ქართველი უკლონისტების ძირითადი მასა, მაგრამ ამის მიხედვით, მტკიცება იმისა, რომ მემარჯვენე საფრთხე საქართველოში ფუძიანად უკვე აღმოფხვრილია, სრულებით არ არის მართალი. საკითხის თვით ასეთი დასმა შეიცავს მემარჯვენე საფრთხის ელემენტებს ან ყოველ შემთხვევაში აშკარა შემარიგებელ დამოკიდებულებას მასთან. რადგან მემარჯვენე საფრთხის არსებობის ფაქტის და მასთან ბრძოლის ნაცვლად ის აყენებს ტროცკიზმის საკითხს, რომელიც მთავარში ბრძოლის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

იმის დასამტკიცებლად, რომ ნაციონალ-უკლონიზმი სრულებით არ ამოსწურავს მემარჯვენე საფრთხის საკითხს, მე მოვიყვან ორიოდე მაგალითს ჩვენი პრაქტიკიდან.

როგორც თქვენ იცით, კანონით ნებადართულია, რომ გლეხურ მეურნეობათა ყველაზე უფრო შეძლებული ნაწილის 8 პროცენტი ინდივიდუალურად დაიბეგროს. მაგრამ სოფლად მომუშავე განყოფილების ცნობით, ამ დირექტივის შესრულება გვაძლევს შემდეგ სურათს:

რვა მაზრაში (ბორჩალოს, ოზურგეთის, კახეთის, ზუგდიდის, სენაკის, დუშეთის და ლეჩხუმის) ინდივიდუალური წესით დაიბეგრა 4,368 მეურნეობა ანუ მეურნეობათა საერთო რიცხვის 0,8 პროც. და ამ დაბეგვრის ჯამი შეადგენს აღნიშნული 6 მაზრის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთელი რაოდენობის 28 პროცენტს.

თბილისის მაზრაში: ინდივიდუალურად დაიბეგრა 2,2 პროც.; ინდივიდუალური გადასახადის თანხა შეადგენს მთელი გადასახადის 52,8 პროცენტს.

გორის მაზრაში: ინდივიდუალურად დაიბეგრა 0,99 პროც.; ინდივიდუალური გადასახადის ჯამი შეადგენს მთელი გადასახადის 8 პროცენტს.

ქუთაისის მაზრაში: ინდივიდუალურად დაიბეგრა 1,5 პროც.; ინდივიდუალური გადასახადის თანხა შეადგენს მთელი გადასახადის 33,3 პროცენტს.

კახეთის მაზრაში: ინდივიდუალურად დაიბეგრა 0,99 პროც. ინდივიდუალური გადასახადის თანხა შეადგენს მთელი გადასახადის 20 პროცენტს.

ამ ცნობებიდან ცხადია, რომ პარტიის დირექტივა ინდივიდუალური დაბეგვრის შესახებ შედარებით კარგად ჩატარდა მხოლოდ თბილისის მაზრაში. სხვა მაზრებში კი, განსაკუთრებით გორის და კახეთის მაზრაში, ადგილი ჰქონდა კანონის სრულ დამახინჯებას.

საინტერესოა გადავათვალიეროთ იმავე განყოფილების ის ცნობები, რომლებიც შეეხებიან ინდივიდუალური გადასახადის განაწილებას გლეხობის ცალკე ფენების შორის.

ისეთი დაბეგრილი მეურნეობანი, რომელთა წმინდა პირობითი შემოსავალი უდრის 100-დან 500 მან.-მდე, თბილისის მაზრაში შეადგენენ მეურნეობათა საერთო რიცხვის 49 პროცენტს.

ისეთი დაბეგრილი მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი უდრის 500-დან 800 მან.-მდე, თბილისის მაზრაში შეადგენენ მეურნეობათა საერთო რიცხვის 20 პროცენტს, როდესაც ეს პროპორცია უნდა იყოს. მაგრამ მდგომარეობა თბილისის მაზრაში ყველაზე უკეთესია.

დაბეგრილი მეურნეობანი, რომელთა საერთო შემოსავალი უდრის 100-დან 500 მანეთამდე გორის მაზრაში შეადგენენ მეურნეობათა საერთო რიცხვის 34 პროცენტს, ხოლო კულაკური მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი უდრის 800 მანეთს და მეტს, დაბეგრილია 29 პროც., მაშინ, როდესაც შებრუნებული პროპორცია უნდა იყოს.

შორაპნის მაზრაში დაბეგრილია მეურნეობათა საერთო რიცხვის 44,5 პროც., რომელთა შემოსავალი უდრის 100 მან.-დან 500 მანეთამდე, მეურნეობათა 38,4 პროც., რომელთა შემოსავალი უდრის 500-დან 800 მან.-მდე, მეურნეობათა 21,1 პროც., რომელთა შემოსავალი უდრის 800 მან. და მეტს.

ყოვლად დაუშვებელია ისეთი სურათი, როცა დაბეგრილი მეურნეობათა პროცენტი მცირდება მათი შემოსავლიანობის ზრდის მიხედვით, ე. ი. ობიექტურად სრული სურათია მემარჯვენე გადახრისა პრაქტიკაში.

ეს ცნობები მოწმობენ, რომ ამ ლონისძიებათა მატარებელნი ამახინჯებდნენ პარტიის პოლიტიკას სოფლად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ტვირთი კულაკიდან გადმოჰქონდათ საშუალო გლეხობაზე; ეს კი ნიშნავს კულაკის მფარველობას.

ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენი ჩინოვნიკური ბიუროკრატიული აპარატი დაინტერესებული არ არის პარტიის პოლიტიკის გატარებაში, ხოლო ჩვენი ხელმძღვანელები და პარტორგანიზაციები ადგილობრივ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მდგომარეობა თბილისის მაზრაში გაცილებით უკეთესია, რადგან თბილისის პარტორგანიზაცია მეტი ყურადღებით ეპყრობა ამ საკითხს.

მეორე მაგალითი: ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განაწილების შესახებ საქართველოს 6 რაიონში შემდეგ სურათს იძლევა:

მეურნეობათა ჯგუფები	ხვედრითი წონა რაოდენობაში.	კრედიტების პროცენტი.	ხვედრითი წონა სესხებში	სესხის საშუალო რაოდენობა.
მეურნეობანი, რომელთაც შემოსავალი არა აქვთ	0,3	100	0,1	88.70
მცირე შეძლების მეურნეობანი	41,2	69,9	28,1	108,5
საშუალო შეძლების მეურნეობანი	48,8	66,4	56,7	108,4
შეძლებული მეურნეობანი	9,7	62,0	15,2	135,2
სულ	100		100	111,8

ეს ცხრილი მოწმობს, რომ გლეხობის შეძლებული ფენები, მათ შორის კულაკური ფენები, როგორც კოოპერაციაში შეკავშირებულნი, ისე კრედიტების მიღების მხრივ უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან, ვიდრე მცირე შეძლების და საშუალო შეძლების მეურნეობანი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სესხის ხვედრითი წონა პირდაპირ პროპორციონალურია მეურნეობის ძლიერების ხვედრითი წონისადმი, ხოლო კულაკების მიერ კრედიტების მიღება თითქმის უდრის საშუალო შეძლების და მცირე შეძლების მეურნეობათა კრედიტებს.

კიდევ უფრო ნათელ მაგალითს წარმოადგენს ფსირცხის ამხანაგობა აფხაზეთში:

მეურნეობათა ჯგუფები	ხვედრითი წონა რაოდენობაში.	კრედიტების პროცენტი.	სესხის საშუალო რაოდენობა.
მეურნეობანი, რომელთაც შემოსავალი არა აქვთ	1,3	—	—
მცირე შეძლების მეურნეობანი	16,8	76,7	135,8
საშუალო შეძლების მეურნეობანი	70,0	77,7	155,8
შეძლებული მეურნეობანი	12,4	79,7	260,2

შემოუსავლიან მეურნეობათა ჯგუფი სრულებით არა სჩანს ამხანაგობაში და არ იღებს კრედიტებს, ხოლო შეძლებულ მეურნეობათა ჯგუფი თითქმის ორჯერ მეტ კრედიტებს იღებს, ვიდრე სუსტ მეურნეობათა ჯგუფი. იქვე ფსირცხის საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელმა არც კი იცის, რომ ის პრაქტიკულად ახორციელებს ნამდვილ მემარჯვენე გადახრას და კრედიტებით ზურგს უმაგრებს კულაკურ მეურნეობას.

მე მინდა კიდევ ორი მაგალითი მოვიყვანო.

1927 წლის 1 აპრილამდე ჩვენ გვქონდა 1.454 მეურნეობის გამაერთიანებელი 85 კოლექტიური მეურნეობა. მათში კომუნისტები შეადგენდნენ 14,9 პროცენტს, კომკავშირელები—9,2 პროცენტს.

1928 წელს 425 კოლექტიური მეურნეობა გვქონდა.

კოლექტიურ ნიადაგზე გაერთიანებულ მეურნეობათა რაოდენობა ამ წლის განმავლობაში 8-ჯერ გაიზარდა, მაგრამ კომუნისტების რიცხვი 11 პროცენტამდე ჩამოვიდა, ხოლო კომკავშირელებისა—5,2 პროცენტამდე.

გლეხობას მუდამ იმას ველაპარაკებით, რომ კოლექტიური მეურნეობა ყველაზე უფრო სახეირო ფორმაა მეურნეობისა, რომ მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობას შეუძლია გაანთავისუფლოს გლეხობა სიღარიბისა და ჩამორჩენილობისაგან, მაგრამ ამ აგიტაციის გამარჯვების იმედი ვერ გვექნება, თუ კომუნისტები მაგალითის მიმცემნი არ იქნებიან, თუ პირველად თვითონ არ შევლენ კოლექტიურ მეურნეობაში.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ კოლექტიური მეურნეობანი, არტელები, სამეჩნეო ამხანაგობანი და სხვა—მეურნეობის ის აუცილებელი ფორმაა, რომელიც ვამაგრებთ ჩვენს ბაზას სოფლად, რომელიც აუცილებელი პირობაა ჩვენი ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული სოფლის გარდასაქმნელად მსხვილი განსაზოგადოებული წარმოების საფუძველზე იმ მიზნით, რომ სოფელი გარდაიქმნას სოციალისტურად. თქვენ ხედავთ, თუ რა უმნიშვნელოა ჩვენი სოფლელი პარტიელების მონაწილეობა ამ უაღრესად პარტიულ საქმეში. საჭიროა გადამწყვეტი გარდატეხა მოხდეს ჩვენი სოფლელი კომუნისტების თავში, ვინაიდან ასეთი გულგრილობა სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში ფრუმკინისებურ დამოკიდებულებას წარმოადგენს კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ. კომუნისტებს ადმინისტრატიული ზომებით ვერ ვაიძულებთ რომ მონაწილეობა მიიღონ კოლექტიურ მეურნეობაში, მაგრამ ამ საკითხის გარშემო ისეთი ატმოსფერო უნდა შევქმნათ, რომ ვერც ერთმა სოფლელმა კომუნისტმა ვერ აარიდოს თავი სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში მონაწილეობას.

მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ საქართველოში ნაციონალურ-უკლონიზმი ყოველგვარი გადახრის, მათ შორის, მემარჯვენე გადახრის უნივერსალური ფორმა არ არის, ეს ცხრილები გვიჩვენებენ, რომ როცა პარტიული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას და კონტროლს არ იჩენენ, ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში მემარჯვენე გადახრის ელემენტები ჩნდებიან.

ინდივიდუალური დაბეგვრის შემცდარი განაწილება და საკრედიტო პოლიტიკის დამახინჯება ახორციელებს ფრუმკინის დებულებას და კულაკის სამეურნეო შესაძლებლობას ხელფეხს უხსნის.

მეორე მაგალითი. მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში სწარმოებს მიწის ყიდვა-გაყიდვა. მრავალი ფაქტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ კომუნისტები უშუალო მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში და უფრო ხშირად შუამავლებად გამოდიან. 100-დან 99 შემთხვევაში ამა თუ იმ სოფლის კომუნისტებმა იციან, რომ მიწა იყიდება, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებენ, რადგან მეზობლებთან ურთიერთობის წახდენა არ სურთ. მეშჩანურ მოსაზრებათა წყალობით ისინი ძირს უთხრიან საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად კანონებს, პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად კანონებს, კომუნისტი, რომელიც ხელს აფარებს მიწის ყიდვა-გაყიდვას, კომუნისტი, რომელიც აქტიურად არ ებრძვის წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის უაღრესად მავნე გამოხატულებას,—არსებითად ყველაზე უარესი უკლონისტია და აშკარა დანაშაულობას სჩადის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ საქართველოში მემარჯვენე საფრთხე სრულებითაც არ არის აღმოფხვრილი, რომ მისი ელემენტები ჩვენში ყოველ ნაბიჯზე იჩენენ თავს, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, რომ მემარჯვენე საფრთხე ჩამარხულია ჩვენი ქვეყნის წვრილ-ბურჟუაზიულობაში.

აი რას ამბობს **ლენინი** ამის შესახებ. „ვიდრე ჩვენ წვრილ გლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს რუსეთში, ვიდრე კომუნიზმისათვის". შემდეგ: „ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგლეჯია და შინაური მტრის საძირკველი, საფუძველი არ დაგვირღვევია. იგი ეყრდნობა წვრილ მეურნეობას" და სხვა (ლენინი, ტომი მე-17, გვ. 427).

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ მემარჯვენე საფრთხე ძირითადი, მთავარი საფრთხეა ჩვენი განვითარების დღევანდელ პერიოდში. ჩვენთვის საჭიროა, რომ მთელი პარტიის ყურადღება ბრძოლის ამ ფრონტს მივაპყრათ და ამავე დროს ოდნავადაც არ შევანელოთ ბრძოლა ჩვენი პარტიის ტროცკისტულ ელემენტებთან.

ც. კ.-ის პლენუმი აღნიშნავს, რომ —საკავშირო კომპარტიაში ამჟამად მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული გადახრის საფრთხე, რაც გამომდინარეობს როგორც თანამედროვე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობიდან, ისე იმ ფაქტიდან, რომ ტროცკისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში პარტიამ მოიპოვა ბევრი გადამწყვეტი გამარჯვება". შემდეგ: „...რამდენადაც პარტიამ გადამწყვეტი გამარჯვებანი მოიპოვა ტროცკიზმის დაძლევის საქმეში იმდენად ახლა, ტროცკისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი ბრძოლის განგრძობასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ბრძოლას მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, იმ გადახრისა, რომელთანაც პარტიის შეურიგებელი ბრძოლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისათვის, რომ სათანადოდ გაუმკლავდეთ პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივ მტერს და წარმატებით ვიაროთ სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით ქალაქად და სოფლად".

ამხანაგებო, ჩვენს პარტიაში ხშირად გაისმის ხმები, რომ ჩვენ მეტად დიდ დროს ვკარგავთ ლაპარაკზე ამ გადახრათა შესახებ, რომ თუ გადახრები არსებობენ, უკლონისტები უნდა გავაძევოთ და გადავიდეთ საქმიან მუშაობაზე.

მაგრამ ეს იმას ნიშნავს რომ შემცდარი გზით ვიაროთ. ბოლშევიკური პარტიის ისტორია, მისი განვითარებისა და განმტკიცების ისტორია, ბოლშევიკების მცირე ჯგუფის გადაქცევის ისტორია უდიდეს მსოფლიო პარტიად—ისტორიაა ბრძოლისა ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ. იმის უარყოფა, რომ საჭიროა ბრძოლა სწორი პროლეტარული ხაზის ყოველგვარ გადახრასთან, ეს იმას ნიშნავს, რომ უარვყოთ კომუნისტური პარტიის განვითარება და წინსვლა.

ყოველნაირი ბრძოლა ყოველგვარ მავნე გადახრასთან არსებითად, პარტიის კავშირს მისი იდეოლოგიური და პოლიტიკური აღზრდაა.

ყველაზე ადვილი საქმე—განდევნაა, ამას ყოველთვის მოვასწრებთ. ამიტომ საკმარისი ხმა მაღლა ლაპარაკება ამა თუ იმ ც. კ.-ში, ამა თუ იმ სამაზრო კომიტეტში და მორჩა კიდეც მემარჯვენე საფრთხე მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენს ვიდრე იგი არ განვითარებულა, არ ჩამოყალიბებულა, ჩვენი მთავარი მუშაობა ის უნდა იყოს, რომ პარტიას იმუნიტეტი მოუპოვოთ, ისე გავაკაჟოთ, რომ მემარჯვენე გადახრის ბილადთა საზღვრიდან სხვადასხვა პრეტენდენტები, რომ გამოჩნდნენ, კომუნისტები მათ არ გაჰყვნენ.

„გადახრა ჩამოყალიბებული მიმდინარეობა არ არის. გადახრა ის არის, რისი გამოსწორებაც შეიძლება. სხვადასხვა პირნი გზას ასცდენ ან იწყებენ ასცდენას, მაგრამ გამოსწორება შეიძლება. სწორედ ამას გამოხატავს, ჩემი აზრით, რუსული სიტყვა „უკლონი". (ლენინი. ტომი მე-18, გვ. 137).

ც. კ.-ის პლენუმზე ამხ. სტალინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ტროცკიზმთან ჩვენ 1918 წლიდან ვიბრძვით, რომ ტროცკიზმი არსებობდა და გარკვეული სახე ჰქონდა ბრესტის ზავის დღიდან, თუმცა არა ამ სახით, როგორც 1925 წელს მოგვევლინა. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ტროცკიმ და მისმა თანამოაზრეებმა, რომლებსაც პარტიამ მკაცრი პასუხი გასცა, იმის ნაცვლად, რომ შემდგომი ევოლუციისა და პარტიის გარეშე და გაეტარებინათ ცხოვრებაში მისი გადაწყვეტილებანი იქამდი მივიდნენ რომ ჩამოშორდნენ პარტიას და გადაწყვიტეს ახალი პარტიის შექმნა,—მხოლოდ მაშინ გავხდით იძულებულნი ორგანიზაციული ღონისძიებები მიგვეღო ამ ამხანაგების წინააღმდეგ, რამაც ტროცკისტები ბოლოს გადასახლებამდე და საზღვარგარეთ პოლიტიკური [illegible] მიიყვანა.

ამჟამად კი, ამხანაგებო, როდესაც მემარჯვენე საფრთხე ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, როდესაც მემარჯვენე უკლონისტებს ჯერ კიდევ არა აქვთ თავიანთი, მტკიცე ხაზი, სახამ ისინი პარტიას მიჰყვებიან. მათი გამოვლინება და საქმის ამით დამთავრება რჩევა ნიშნავს იმ დიადი მუშაობის შეუფასებლობას, რომელიც ვალდებულნი ვართ შევასრულოთ იმისათვის, რომ დავიცვათ ეს ამხანაგები შეცდომებისაგან და შევინარჩუნოთ ისინი პარტიაში.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ არ შეიძლება საორგანიზაციო დასკვნების გამოყენება, თუ ისინი შეეცდებიან მემარჯვენე გადახრის დებულების პრაქტიკულად გატარებას. არსებითად ჩვენს წინაშე სდგას გრანდიოზული ამოცანა—დავრაზმოთ და იდეოლოგიურად აღვზარდოთ ჩვენი პარტიის საზოგადოებრივი აზრი, განვამტკიცოთ და დავიცვათ მისი რიგები ლენინური ხაზის შესაძლებელი დამახინჯებისაგან. ჩვენი მთავარი ამოცანა—გადავშალოთ იდეოლოგიური ბრძოლა მემარჯვენე საშიშროებასთან.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საჭიროა ტროცკიზმთან ბრძოლის შესუსტება?

აღმოჩნდნენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც გვირჩევენ ბლოკს ტროცკიზმთან მემარჯვენეების წინააღმდეგ (მემარჯვენეები ყველაზე უფრო საშიში კომუნისტისათვის) საბრძოლველად. ტროცკისტები ხომ ასე თუ ისე მაინც მემარცხენენი არიან, თუმცა მემარცხენენი წინწკლებში.

ლაპარაკი ტროცკისტებთან ბლოკის შესახებ უდიდესი სისულელე და უაღრესად მავნე ლაყბობაა. რადგან „შეუძლებელია ტროცკიზმის შეგუება კომუნისტურ პარტიასთან"; ეს მოვლენა ანტიპარტიულია, ანტიკომუნისტურია, ტროცკიზმი მენშევიზმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და ტროცკიზმთან კავშირი კომუნისტური პარტიის იდეური დამარცხება იქნება, დათმობა წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონისათვის.

ტროცკიზმი სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობაა, რომელიც ემუქრება ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას, და მიუხედავად იმისა, რომ ტროცკიზმი განადგურებულია, ტროცკიზმი, როგორც იდეოლოგია, მაინც განაგრძობს არსებობას და ავლენს თავის მუშაობას მემარჯვენე გადახრის წარმოშობასთან დაკავშირებით. ამიტომ ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება ლენინური პარტიის იდეოლოგიური კაპიტულაციის ნიშანი იქნება. ჩვენ უნდა განვაგრძოთ „ყოველ მხრივი ბრძოლა" ტროცკიზმთან, ე. ი. ბრძოლა არა მარტო ადმინისტრატიული ზეგავლენის ღონისძიებებით, არამედ იდეოლოგიურადაც, რათა ჩამოვაშოროთ ტროცკისტებს ყოველივე, რაც კი დარჩენილა სადმე პროლეტარული მათ რიგებში.

დასასრულ, მსურს ვსთქვა შემდეგი: ჯერ კიდევ ბებელი ამბობდა— თუ ჩვენი კლასობრივი მტერი ჩვენ გვაქებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვცილდებით სწორ კლასობრივ ხაზს, ამიტომ ჩვენთვის საჭიროა ყური მივუგდოთ იმ შეფასებას, რომელსაც გვაძლევენ ჩვენი კლასობრივი მტრები. როდესაც მუშათა ბიუჯეტის შესახებ რეიხსტაგში სიტყვის წარმოთქმის დროს უდიდეს ორატორს ბებელს ტაში დაუკრეს მისი მჭერმეტყველობით გატაცებულმა მონარქისტებმა, ბებელმა შეკითხვით მიმართა მემარცხენეთა სკამებზე მსხდომ ამხანაგებს: „ნუ თუ ვულაპარაკე მუშათა კლასს, რომ მონარქისტები ტაშს მიკრავენ"-ო.

ჩვენ ბევრჯერ ვურჩევთ ტროცკისტულ ოპოზიციას, მიეგდო ყური, თუ როგორ აფასებენ მას დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია და რეფორმისტული პრესა, დღეს ჩვენ ვურჩევთ მემარჯვენე გადახრის მატარებელთ—ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მემარჯვენე საფრთხის წარმოშობა ახალ იმედებს ჰბადებს ჩვენს კლასობრივ მტრებში.

„რაც უფრო ადვილად და რაც უფრო მალე გაიკვლევენ ბოლშევიზმს პროლეტარული ელემენტები გზას სოციალ-დემოკრატიის პრინციპებისაკენ, მით უფრო მალე და მით უფრო გაბედულად დაანებებენ ისინი თავს კერძო უთანხმოებებს და გადასწყვეტენ გამოვიდნენ მთლიანი პროლეტარული ფრონტის ფართო გზაზე რეაქციისა და მომაკვდავ დიქტატურის უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგ" („სოციალ. ვესტნ."-ი).

მემარჯვენე გადახრის მატარებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ფაქტს, რომ „სოციალისტ. ვესტნ."-იც კი ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ მემარჯვენე გადახრის შემდგომ პრინციპიალურ და ორგანიზაციულ განვითარებას შეუძლია მიგვიყვანოს „სოციალ-დემოკრატიის პრინციპებამდე", ე. ი. კაპიტალიზმის რესტავრაციამდე.

მაგრამ თუ ტროცკისტულმა ოპოზიციამ თავისი მემარცხენე ფრაზებით, რომლებითაც აწონებს თავს მუშათა მასებს, შესძლო გადაეყვანა თავის მხარეზე არა ერთი ასეული ამხანაგი, მემარჯვენე გადახრამ თავის აშკარად ოპორტუნისტული ლოზუნგებით ვერ ჰპოვა გამოძახილი ჩვენი პარტიის ფართო მასებში. ამიტომ „ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მთელმა პარტიამ ერთსულოვანი ბოლშევიკური პასუხი გასცა მემარჯვენე გადახრას და შემრიგებლობას, რითაც დაამტკიცა, რომ იგი მზადაა იბრძოლოს პარტიის ლენინური ხაზისათვის".

ჩვენი პარტია იყო და იქნება ლენინის მთლიანი და მონოლიტური პარტია. (ტაში).

საბჭოთა არჩევნებისათვის

საშეფო საზოგადოებათა ამოცანები საბჭოების გადარჩევის კამპანიაში

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სოლქო. კომიტეტის დადგენილება)

საბჭოების გადარჩევის მიმდინარე კამპანია საშეფო ორგანიზაციებს ამოცანად უსახავს ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი ამ კამპანიას, დაეხმარონ მუშათა, ღარიბ გლეხთა, მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხთა მასებს მათს ბრძოლაში სოფლის კულაკურ ელემენტებთან.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტი საშეფო ორგანიზაციებს უსახავს შემდეგ ამოცანებს:

1. საშეფო საზოგადოებებმა ყოველმხრივ უნდა განავითარონ მუშაობა, რათა უშუალოდ დააკავშირონ მუშათა მასები შეფობაზე აყვანილ სოფლებთან. ყოველმა საშეფო ორგანიზაციამ გადარჩევის კამპანიის პერიოდში უნდა გამოყოს უჯრედისა და საშეფო საზოგადოების ყველაზე უფრო გამოცდილი და კვალიფიციური მუშაკები ხანგრძლივი ვადით გასაგზავნათ შეფობაზე აყვანილ სოფლებში.

2. ადგილებზე გამგზავრების დროს სრულიად უარყოფილ უნდა იქნან ზედმეტი ზეიმის მომენტები, შეფობაზე აყვანილ სოფელში ყოფნის მთელი დრო გამოყენებულ უნდა იქნას გაძლიერებული პრაქტიკული მუშაობისათვის, როგორც საანგარიშო, ისე გადარჩევის კამპანიის მოსამზადებლად.

3. გლეხობის შორის მუშაობის ჩასატარებლად საშეფო საზოგადოებები უწინარეს ყოვლისა უნდა შეჩერდნენ ადგილობრივი საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მომენტებზე, საბჭოების კოოპერაციის, საკრედიტო ამხანაგობების და სხვ. მუშაობის სოციალური მიმართულების საკითხზე.

4. საშეფო საზოგადოებებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შავი სიების შემოწმებაში და ფხიზლად ადევნონ თვალყური იმას, რომ ასეთ სიებში შეცდომით შეტანილ არ იქნან საშუალო გლეხობის წარმომადგენელნი.

5. არჩევნების წინასწარ კრებებზე, საანგარიშო კრებებზე, საარჩევნო კომისიების არჩევის დროს საშეფო საზოგადოებები უნდა სცდილობდნენ, რომ კრებებზე დაშვებულ არ იქნან კულაკური ელემენტები, რომლებიც შეეცდებიან ჩაშალონ საბჭოების გადარჩევის მოსამზადებელი მუშაობა.

6. საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩატარების და ამ კამპანიისათვის მზადების დროს დაშვებული ყველა არანორმალური მოვლენისა და დამახინჯების შესახებ საშეფო საზოგადოებებმა თავის დროზე უნდა მიაწოდონ ინფორმაცია სათანადო პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს.

როდესაც საშეფო საზოგადოებების წარმომადგენელნი გაემგზავრებიან შეფობაზე აყვანილ სოფლებში, რათა დახმარება გაუწიონ პარტიას საბჭოების გადარჩევის საქმეში, ისინი აუცილებლად უნდა დაუკავშირდნენ ამ რაიონში არჩევნების ჩასატარებლად დანიშნულ რწმუნებულებს და შეუთანხმონ მათ თავიანთი მუშაობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც საშეფო ორგანიზაციის აზრით, თვით გადარჩევის კამპანიის ჩატარების საქმეში და ხსენებული კამპანიისათვის მზადებაში ამა თუ იმ ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ, ან მისმა წარმომადგენელმა დაუშვა ესა თუ ის არანორმალობა, ან არასწორი მოქმედება, საშეფო ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს მაღლა მდგომ პარტორგანიზაციებს და სათანადო საბჭოთა ორგანოს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებსა და საშეფო საზოგადოებებს გადამჭრელი და სასწრაფო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ გადარჩევის კამპანიამ შეფობაზე აყვანილ სოფლებში ამომრჩეველთა მთელი მასა მიიზიდოს საარჩევნო კრებებზე, და იმისათვის, რომ განმტკიცებულ იქნას ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირი, განმარტოებულ იქნან კულაკები და ამით უზრუნველყოფილ იქნას საბჭოების გადარჩევის ნორმალურად ჩატარება.

ამასთან ერთად, იმისათვის, რომ საშეფო ორგანიზაციებმა წარმატებით მიიღონ მონაწილეობა გადარჩევის კამპანიაში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. ყველა პროფესიონალურმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ამიერ-კავკასიის ხეს რესპუბლიკის საშეფო ორგანიზაციებს.

2. ყველა სამეურნეო და სხვა დაწესებულების ხელმძღვანელებმა იმ მუშებს, რომლებიც სოფლებში იგზავნებიან გადარჩევის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად, უნდა მისცენ შვებულება ხელფასის შენახვით. და წინასწარ უნდა შეუთანხმონ ეს საკითხი ხელმძღვანელ საშეფო ორგანიზაციებს, აგრეთვე საერთოდ ხელი უნდა შეუწყონ შეფებს მონაწილეობა გადარჩევის კამპანიაში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტი ამოცანად უსახავს პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ყოველმხრივ დაეხმარონ საშეფო საზოგადოებებს იმ მუშაობაში, რომელსაც ატარებენ ისინი საბჭოების გადარჩევის კამპანიაში.

რა გაკეთდა პროფკავშირებში

(თათბირი საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში)

საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შედგა კავშირების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენებები საბჭოების გადარჩევებისათვის ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ყველა კავშირებმა მისცეს სამაზრო ორგანიზაციებს და თბილისის ადგილკომებს კონკრეტული გეგმა არჩევნებში მონაწილეობისათვის. მთელ რიგ კავშირებმა თბილისში ჩაატარეს აქტივის კონფერენციები და კულტთათბირები, ამას გარდა, ზოგიერთმა კავშირმა (მაგალითად, განათლების მუშაკთა) ჩაატარა აქტივის სარაიონო კონფერენციები, ზოგან გამოყოფილია სარაიონო კომისიები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სიების სისწორით შედგენას. ყველა კავშირებში მალე დამთავრდება უმთავრესად საარჩევნო სიების შედგენა, ადგილკომებიც მალე დაამთავრებენ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავეთა და მათი ოჯახის წევრების სიების შედგენას.

ის კავშირები, რომელთაც მრავალრიცხოვანი მასა ჰყავთ სოფლად (მედსანშრომის, განათლების, მიწა-ტყის და სხვ მომუშავეთა) ადგილებზე ატარებენ აქტივის კონფერენციებს, რისთვისაც თბილისიდან გზავნიან პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ მთელ საარჩევნო მუშაობას ადგილებზე.

ამას გარდა, პროფკავშირები უშვებენ პროფესიონალურ ჟურნალ-გაზეთების სპეციალურ ნომრებს. ყველა მომხსენებელი აღნიშნავენ, რომ წლევ საარჩევნო მუშაობა უკეთესად არის დაყენებული, ვიდრე გასულ წლებში იყო.

საარჩევნო ინსტრუქციის თანახმად, ამომრჩეველთა სიებს წარმოება-დაწესებულებებში ადგენენ ადგილკომები; ვინაიდან მთავარ სახელოსნოებში და დეპოში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი მუშაობს, ადგილკომებს თავისი აპარატით არ შეუძლიათ სიების შედგენა, ამიტომ თათბირმა დაადგინა ეთხოვოს სამაზრო საარჩევნო კომისიას ან გამოყოს თანხა სპეციალურ მუშაკების დასაქირავებლად ანდა დაავალოს ადმინისტრაციას თავისი აპარატის საშუალებით შეადგინოს სიები.

ამასთანავე თათბირმა დაავალა კავშირებს მიიღონ ზომები, რათა დაჩქარებით იქნეს შედგენილი უმუშევართა საარჩევნო სიები.

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა თბილისის მაზრაში

წერილი ყარაიადან

საბჭოების საარჩევნო კამპანიის ჩატარების მიზნით ყარაიაში და ახტალაში მივლინებულია თბილისის ალმასკომის ინსტრუქტორი კოსტოვი.

8 დეკემბერს ყარაიაზში დაიწყო არჩევნების მოსამზადებელი კამპანია.

ყარაიაზში საარჩევნო კომისიაში შედის 11 წევრი, მათ შორის ორი ქალია. ახტალაში კი 9 კაცი. შედგენილია გეგმა საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად. ყარაიაზი დაყოფილია 17 საარჩევნო უბნად, შარშანდელ გადარჩევებში იყო ათი უბანი. ახტალა დაყოფილია 6 უბნად, გასულ არჩევნებში იყო სამი უბანი. სდგება ამომრჩევლებისა და ხმა წართმეულთა სიები. მობილიზაციის წესით გაყვანილია 16 კაცი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

14 დეკემბერს მოწვეულ იქნა თათბირი, სადაც განიხილეს საკითხი ამომრჩეველთა საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე მონაწილეობის შესახებ. ყველა პუნქტებში მიმაგრებულია საბჭოს წევრები ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარებლად.

თემ-საბჭომ შეუდგა წერილობითი მოხსენების გამოშვებას კედლის გაზეთის მსგავსად იმ მიზნით, რომ ფართოდ გააცნოს ამომრჩევლებს საბჭოს განვლილ მუშაობას.

წინდაწინ იქნა ჩატარებული მოხსენებები ღარიბის გლეხობისა და მწყემსების კრებებზე. ყარაიაზში და მის რაიონში მოსამზადებელი მუშაობა უნდა დასრულდეს პირველ იანვრამდე, პირველ თებერვლამდე ჩატარდება საანგარიშო მოხსენებები, რის შემდეგ დაიწყება არჩევნები, რომელიც გაგრძელდება 25 თებერვლამდე.

დანიშნულია კლუბში ტეხნიკური მომუშავების რიგ-რიგობითი მორიგეობა დღეში ორ-ორი საათის განმავლობაში, რომელნიც გლეხობას აძლევენ ყოველნაირ ცნობებს არჩევნების შესახებ. ასეთი მორიგეობა გასტანს არჩევნების დამთავრებამდე.

იუსტინიშვილი.

ჭიათურის სამრეწველო რაიონის პროფაქტივის კრება

წერილი ჭიათურიდან

საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით, შორაპნის მაზრის პროფბიურომ 19 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ჭიათურის მუშათა კლუბში მოიწვია ჭიათურის სამრეწველო რაიონის პროფაქტივის კრება საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტივთან და ქალაქის საბჭოსთან ერთად.

კრებამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. თალაკვაძის მოხსენება პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში.

ამხ. თალაკვაძე თავის მოხსენების პირველ ნაწილში აშუქებს საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობას და ხაზს უსვამს იმ სიძნელეებს, რომლებიც წინ ეღობება საბჭოთა კავშირის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ზრდა-განვითარებას.

შემდეგ იგი ეხება მომავალ საბჭოთა არჩევნებს და ამ არჩევნების მნიშვნელობას.

გადადის რა პროფკავშირების მონაწილეობაზე საბჭოთა არჩევნებში, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პროფკავშირებმა უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა მუშებსა და ღარიბებს გლეხობას, რათა აცილებულ იქნეს თავიდან შეცდომები.

კულაკები და ყოფილი თავად-აზნაურები შეეცდებიან არჩევნების დროს გაიყვანოს საბჭოებში თავიანთი კანდიდატები. პროფკავშირებმა აქაც უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები და არ მისცენ გასაქანი კულაკებს.

პროფაქტივი თავისი მხრივ უნდა დაეხმაროს პარტიას და ხელისუფლებას არჩევნების სწორად ჩატარებაში. აქტივმა უნდა მიუთითოს შეცდომებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული თავიდან ეს შეცდომები.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ თვით კავშირებშიც არიან უღირსი წევრები, რომლებიც ეწევიან სპეკულაციას საწევრო წიგნაკებით და რომლებიც არამც და არამც არ უნდა მოხვდნენ საბჭოებში, არამედ ასეთები განდევნილ უნდა იქნენ თვით კავშირიდანაც.

ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული თვითეულ კანდიდატის შერჩევას, ის შესწავლილ იქნეს ყოველმხრივ, რათა გამართლდეს ამომრჩევლების იმედები და გამოიჩინოს სათანადო უნარი.

პროფკავშირები სათანადოთ გაუმკლავდებიან კულაკებს, ყოფილ თავად-აზნაურებს, მრეწველების და ყოველგვარ მავნე ელემენტების გავლენას და საბჭოებში არჩეული იქნებიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც შეუწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის განვითარებას.

მოხსენების შემდეგ არჩევნების ირგვლივ ილაპარაკეს ამხ. ფხალაძემ, ცუცქირიძემ, ვ. ბრეგვაძემ, ჩარიგაიამ და სხვ.

მათ აღნიშნეს, რომ არიან ყოფილი მრეწველები, თავად-აზნაურები, რომლებიც ტკბილი ენით სცდილობენ მოიპოვონ ნდობა და გაძვრენ საბჭოებში, ამისთანა ელემენტებს უნდა გამოეცხადოს ბრძოლა და განდევნილ იქნენ.

წარსულ არჩევნების დროს საბჭოებში მოხვდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც არ აკეთებდნენ არაფერს და თავისი პირადი ანგარიშებისათვის იყენებდნენ საბჭოს წევრის სახელს, ეხლა უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ საბჭოებში გაყვანილ იქნენ საქმიანი ამხანაგები, რათა არ მოგვიხდეს წევრების უკან გაწვევა.

არჩევნებისათვის სამზადისში, სთქვეს ამხანაგებმა, გამოყენებულ უნდა იქნენ ფართოდ ქალაქის და სოფლის კულტურული ძალები, რომლებიც აუხსნიან გლეხობას საბჭოების მნიშვნელობას და არჩევნების წეს-რიგს.

ამხ. შ. თალაკვაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პროფკავშირები, კომპარტიის ხელმძღვანელობით, შესძლებენ ყველა იმ დაბრკოლების და სიძნელეების გადალახვას, რომლებიც ეღობება საბჭოთა ხელისუფლებას სოციალისტურ მშენებლობის გზაზე.

საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებით ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც შეიძლება შეგვიქმნან კულაკებმა, ნეპმანებმა და კონტრ-რევოლუციონურ ელემენტებმა წინააღმდეგ, გადალახულ იქნება ქალაქის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით.

საქმიანი თვითკრიტიკის ფართედ გაშლით, ჩვენი მიღწევების აღნიშვნით და ნაკლების მხილებით, კიდევ უფრო განვამტკიცებთ საბჭოების მუშაობას".

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა, 19 დეკემბერი.

გორის მაზრაში

წერილი ხაშურიდან

ხაშურის თემში საარჩევნო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. საარჩევნო კომისია გამოიყო თემსაბჭ. კრებაზე ამა წ. 9 დეკემბერს და ამ ხნის განმავლობაში საკმაო წინასწარი მუშაობაა ჩატარებული. თემი გაყოფილია 35 საარჩევნო უბნად, უბნებში უკვე მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების შედგენა. განსაკუთრებით ფრთხილად მიმდინარეობს საარჩევნო უფლება მოკლებულთა აღრიცხვა, რომელნიც საკმაოდ მოიპოვებიან თემის სოფლებში, მიღებულია ყოველივე ზომები, რომ საარჩევნო ინსტრუქცია სისწორით იქნეს დაცული.

აქედანვე სჩანს, რომ კულაკები ყოველ მხრივ შეეცდებიან საბჭოში წამოაყენონ თავისი კანდიდატები რაც საარჩევნო კომისიის წინასწარ აქვს გათვალისწინებული. ამ მიზნით გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ღარიბთა ჯგუფების მოსამზადებისათვის. წინასწარ ტარდება ყველა უბნებში ღარიბთა ჯგუფების კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები საბჭოთა გადარჩევის მნიშვნელობაზე და ფართოდ ხდება საარჩევნო ინსტრუქციის გაცნობა.

საბჭოს მუშაობაზე საანგარიშო კამპანია იწარმოებს 28 დეკემბრიდან, რის დამთავრების შემდეგ დაიწყება არჩევნები.

თემ-საბჭოს მიერ საარჩევნო კამპანიაში ჩაბმულია თემის მთელი კულტურული და აქტიური ძალები.

სოფლელი.

პარტიაში

ერევნის კომიტეტის ახალი შემადგენლობა

ერევანი, 19 დეკემბ. დასრულდა ერევნის სამაზრო პარტკონფერენციის მუშაობა. არჩეულია ახალი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდა 68 წევრი და 23 კანდიდატი.

კონფერენციის დახურვის შემდეგ შეხდგა ახლად არჩეულ კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა მდივნად ერთხმად აირჩია **ხ. სარქისიანი**, მეორე მდივნად და საორგ. განყოფილების გამგედ **ზურაბ კალაშიანი**, სამდივნოს წევრად და აგიტპროპგანყოფილების გამგედ **ზარეჰ ისაიანი**.

ლენრაიონის მეთერთმეტე პარტკონფერენცია

მეშვიდე სხდომა

ლენინის რაიონის მე-11 პარტკონფერენციის მე-7 სხდომა გაიხსნა ამხ. გიორგაძის თავმჯდომარეობით.

გაგრძელდა კამათი ამხ. ფანცულაიას და გიორგობიანის მოხსენებების გარშემო.

ამხ. ბიდია ვრცლად ეხება მე-15 პარტყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებას კულტურულ რევოლუციის შესახებ, ჩერდება ჩვენი ქვეყნის კულტურულ მშენებლობაზე და აღნიშნავს მასიურ-კულტურულ მუშაობის გაშლის სისუსტეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროფკავშირები მასიურ-კულტურულ მუშაობაში არ არიან ჩაბმული როგორც ეს საჭიროა. მთავარი ყურადღება ექცევა პარტ-განათლების ქსელის ფართოდ გაშლას, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამხანაგების პოლიტიკური დონე ჯერ კიდევ დაბალია; უნდა ვეცადოთ პოლიტიკურად ჯერ კიდევ მოუმზადებელი ამხანაგების მომზადებას. ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობა მოისუსტებს. უჯრედებმა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ. არც საშეფო მუშაობა დგას სათანადო სიმაღლეზე. პროფკავშირების მოვალეობაა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქციონ.

ამხ. პევცოვი ეხება ლითონტრესტის მდგომარეობას და აღნიშნავს მასში შემჩნეულ მთელ რიგ უარყოფით მხარეებს.

ამხ. გოლდბაუმი ამბობს, რომ პარტორგანიზაციის ზრდა მიმდინარეობდა დაზგის მუშების ხარჯზე. მომავალშიაც ის ამ მიმართულებით გაიზრდება. ჩვენი მუშაობის მეთოდები ვერ აკმაყოფილებს მუშათა მასას. ჩვენ შეჩვეული ვართ სხვადასხვა კამპანიების ჩატარებას, ეს მარტო არ კმარა, საჭიროა მისი მეთოდების განმტკიცება.

ამხ. ქავთარაძე ამბობს: კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ნაკლები ყურადღება მიაქციეს მენშევიკური პარტიის ნამსხვრევებთან ბრძოლის საკითხს. ამ მიმართულებით მუშაობაში რაიკომს სათანადო მიღწევები აქვს. მთავარ სახელოსნოში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მუშას, რომელიც ოდნავ მაინც თანაუგრძნობდეს მენშევიკებს. ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს მუშების დიდი რაოდენობა ბიუროკრატიზმს მუდმივს უწოდებს. ნაწილობრივ ეს მართალია, რაზედაც მიღებულია სათანადო ზომები. დელეგატების მითითებებით ამხ. ქავთარაძე ვრცლად ჩერდება ა.-კ. რკინის გზის მდგომარეობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. თოფურიძემ, მარიამიძემ, დვარელიძემ, ბურცევმა, მარჩუკმა, მარქაროვმა და კუბურაშვილმა.

დღეს საღამოს 6 საათზე საბოლოო სიტყვით გამოვა ამხ. ფანცულაია, რის შემდეგ არჩეულ იქნება რაიკომის ახალი შემადგენლობა.

კომკავშირში

ქუთაისის მე-11 სამაზრო კონფერენცია

(ტელეფონით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მეხუთე სხდომა

19 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა საქართველოს ალკკომკავშირის ცეკას საორგანიზაციო განყოფილების წარმომადგენელ ამხ. კ. ზვიადაძის მოხსენება კომკავშირის ხელმძღვანელობის ახალი ამოცანების შესახებ.

ჩვენი ორგანიზაციების განვითარების პროცესში,—ამბობს მომხსენებელი, — აჩენიან მთელი რიგი სიძნელენი, როგორც საუჯრედო, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში, რაც იწვევს ახალგაზრდობის კულტურულ და პოლიტიკურ მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, ჩვენი აპარატის რაციონალიზაციის, მასებზე ხელმძღვანელობის ახალი ფორმების და მეთოდების გამონახვის აუცილებლობას. დღემდის ორგანიზაციები თავიანთ ხაზს გადმოცემულ ცირკულარული დირექტივების მიცემით, ხოლო ამ დირექტივების უმრავლესობა ცხოვრებაში არ ტარდებოდა. საჭიროა მოისპოს ცირკულარომანია, სამაგიეროდ გაიგზავნოს ცოცხალი კავშირი გავიგოთ თუ რით ცხოვრობს კომკავშირელი, რა აწუხებს მას, როგორია მისი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა ახალგაზრდობაში და სხვა.

დაბოლოს მომხსენებელი შეჩერდა პრაქტიკულ წინადადებებზე და [illegible] კომკავშირის საკავშირო ცეკას უკანასკნელ პლენუმის დადგენილების საფუძველზე მუშაობის გამარტივების მიზნით, გაუქმებულ უნდა იქნენ ყოველგვარი კომისიები და კოლეგიები, რომლებიც არსებობენ კომიტეტებთან და უჯრედებთან, ვინაიდან აქტივი მათ სხდომებს ანდომებს თითქმის მთელ დროს. უნდა გაუქმდეს აგრეთვე აგიტპროპ და პიონერ კოლეგიები. მათ ნაცვლად მუშაობაში უნდა გამოვიყენოთ ორგანიზატორთა ცალკე ჯგუფები.

ამხ. ზვიადაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქათამიძემ, კიღურამ, გორდელაძემ, ინაშვილმა, რუსაძემ, სიხაძემ, გორგაძემ და სხვ.

ორატორები სავსებით იწონებენ საკავშირო კომკავშირის ცეკას უკანასკნელი პლენუმის მიერ აღებულ ხაზს და მოითხოვენ, რომ ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიექცეს მუშაობის ამ ახალი სისტემით წარმოებას.

ამხ. ზვიადაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციას მიესალმნენ ქუთაისის კომკავშირელი პოეტები: ამხ. იამანიძე, ხოხისპირელი და სხ., რის შემდეგ კონფერენციის მე-5 სხდომა დაიხურა.

მეექვსე სხდომა

20 დეკემბერს, დილის უკანასკნელ სხდომაზე მიღებული იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლუციები განხილული საკითხების გამო და არჩეულ იქნა ახალი სამაზრო კომიტეტი 91 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით.

კომკავშირის ახალი კომიტეტის შემადგენლობაში 70 პროცენტს შეადგენს დაზგის მუშა-ახალგაზრდობა.

სამაზრო კომიტეტის პირველი პლენუმი

კონფერენციის დახურვის შემდეგ შედგა ახლად არჩეულ სამაზრო კომიტეტის 1-ლი პლენუმი, რომელზედაც არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი 15 წევრისა და 3 კანდიდატის შემადგენლობით. კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნათ პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა ამხ. ვარლამ ზერაძე. ორგანიზატორათ ამხ. ჩიხლაძე, აგიტპროპორგანიზატორათ ამხ. რ. სიგუა და ნორჩ პიონერთა სამაზრო ბიუროს თავმჯდომარეთ ამხ. თ. ტოგონიძე.

ქმ.

კომკავშირის კულტურული ლაშქრობა

თათბირი კომკავშირის თბილისის კომიტეტში

19 დეკემბერს კომკავშირის თბილისის კომიტეტის საგანმანათლებლო-საპროპაგანდო განყოფილებაში შედგა კულტლაშქრობის ხელმძღვანელ ცენტრალური კომისიის სხდომა. სხდომას დაესწრნენ კომკავშირის ყველა რაიკომების აგიტპროპები, წარმომადგენლები პროფკავშირებიდან, საზ. „წერა-კითხვა"-დან და სხვ.

თათბირზე გამოირკვა, რომ ლენინის რაიონში კულტურული ლაშქრობა ნელი ტემპით მიდის წინ. რაიკომს ჯერ-ჯერობით პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით, გარდა წერა-კითხვის უცოდინართათვის სალიკვიდაციო ორი სკოლის დაარსებისა, თითქმის არაფერი გაკეთებულა. კულტურული ლაშქრობა თბილისში 10 დეკემბერს დაიწყო, ამ დროიდან დღემდე უჯრედებში პრაქტიკული მუშაობა არაა დაწყებული, მხოლოდ ამას წინად მოწყობილ იქნა პიონერთა კულტურული დემონსტრაცია.

ქალაქის რაიონულ კომიტეტმა, თბილისის კომიტეტიდან ცნობის მიღებისთანავე გამოჰყო კულტლაშქრობის ჩამტარებელი სარაიონო კომისია, შეადგინა გეგმა, რომელიც ამ დღეებში გაეგზავნა უჯრედებს. ანტირელიგიური კამპანიისათვის ჯერ-ჯერობით ძალზე ცოტაა გაკეთებული.

პირველ სტამბის, „ზარია ვოსტოკა"-ს და სხვა უჯრედებში ჩამოყალიბებულია ჯგუფები სხვადასხვა მავნე მოვლენებთან საბრძოლველად. „წერა-კითხვა"-ს მონაწილეობა კულტლაშქრობაში ძლიერ სუსტია.

„26" კომუნარების სახელობის რაიკომი კულტურულ ლაშქრობას უფრო წარმატებით ატარებს, რაიონში წ.-კ. უცოდინართა სალიკვიდაციოთ გახსნილ იქნა 5 ლიკპუნქტი, რომელშიაც სწავლობს 120 კომკავშირელი და უპარტიო ახალგაზრდა. განზრახულია კიდევ ორი ასეთი სკოლის დაარსება. ამ საქმეში რაიკომს დიდი დახმარება გაუწია თბილისის პოლიტგანათლების განყოფილებამ.

რაიონში ჩამოყალიბებულია სამთვიანი კურსები რიცხვით სამი, რომელიც მოამზადებს მუშაკებს რელიგიურ კამპანიების ჩასატარებლად. კურსებზე სწავლობს 60 ახალგაზრდა.

თათბირმა ორი საათის მსჯელობის შემდეგ მიიღო პრაქტიკული წინადადებები კულტლაშქრობის წარმატებით ჩატარებისათვის.

ცენტრალურ კომისიის წევრთა შორის მუშაობის განაწილების შემდეგ თათბირის სხდომა დაიხურა.

საქართველოს მეაბრეშუმეთა თათბირი

მერვე სხდომა

თათბირის მე-8 სხდომაზე 20 დეკემბერს, დილით სწარმოებდა კამათი ამხ. ცქიტიშვილის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შ. ხუნდაძემ, პეიშვილმა, ლეონტმა, ოსიპოვმა, მეტონიძემ, მანჯგალაძემ, შარაშიძემ, მონიავამ, ლუკავამ, ალანიამ, შ. ჩხეიძემ, კობაძემ, ერქომაიშვილმა, მაჭავარიანმა და ჩიქვილაძემ. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად თუთის ხის სანერგეებში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაცია უსათუოდ ამაღლებული უნდა იქნას, ვინაიდან სანერგეები უცოდინრობის გამო ძალიან ცუდათ არიან მოვლილი. რაც გვიტქადის თუთის ხის გავრცელების შეფერხებას. ორატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სათესლე მასალის დარიგების საკითხის მოგვარებას. კამათიდან ირკვევა, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბები, რომლებიც გადატვირთული არიან სხვადასხვა დავალებებით, სათანადოთ ვერ უვლიან აბრეშუმის თესლს, რაც საგრძნობლათ ამცირებს აბრეშუმის მოსავლიანობას.

მეცხრე სხდომა

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. შ. ჩხეიძის მოხსენება აბრეშუმის კონტრაქტაციის ჩატარების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სადირექტივო ორგანოების წინადადებით განზრახულია მომავალ სეზონში ჩატარებულ იქნეს აბრეშუმის კონტრაქტაცია. კონტრაქტაციის გეგმით მთელ საქართველოში დარიგებული უნდა იქნეს 106.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. თესლის წამღებნი ვალდებული არიან მთელი მოსავალი ჩააბარონ სამეაბრეშუმეო კოოპერაციას. ამასთანავე თვითეული მაზრისთვის განსაზღვრულია თვითეულ კოლოფ თესლზე ჩასაბარებელი აბრეშუმის პარკის მინიმუმი. ხოლო იმ მეურნეობებს, რომლებიც თვითეულ კოლოფ თესლზე ჩააბარებენ ორ ფუთს, ან მეტ პარკს, მიეცემათ პრემია სახით სამი მანეთი. მეაბრეშუმეებს თვითეულ ფუთ ჩასაბარებელ პარკზე უნდა მიეცეთ ავანსი საშუალოთ 12 მანეთის რაოდენობით. აქედან კოლოფი თესლი ნაანგარიშევია 2 მანეთად. ავანსები მეაბრეშუმეთ მიეცემათ მეურნეობის სიძლიერის მიხედვით. ავანსების სახით მთელ საქართველოში დარიგებული უნდა იქნას 1.899.000 მანეთი. მეაბრეშუმეებთან ხელშეკრულების დადება ევალება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რომელიც თავისთავად ხელშეკრულებით იქნება დაკავშირებული „საქართველოს აბრეშუმის" ტრესტთან.

დღეს დილის სხდომაზე გაიხსნება კამათი აბრეშუმის კონტრაქტაციის შესახებ.

ჭიათურა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ახალი ქარხანა - მაღაროები

სამთამადნო კავშირის ჭიათურის რაიკომმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ჩამოაყალიბოს ახალი ქარხანა - მაღაროები თაბაგრებსა და შუქრუთში, ვინაიდან ამ ადგილებში უკვე გაფართოვდა მუშაობა და ამჟამად დაბანდებულია მუშათა საკმაო რიცხვი.

კოოპერატიული დუქნები მაღაროებთან

ჭიათურის მუშკოოპს ქარხანა-მაღაროებთან გახსნილი აქვს თავისი განყოფილებები და სასადილოები.

ვინაიდან ქარხანა-მაღაროებთან არსებული კოოპერატიული დუქნები არ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, სამთამადნო კავშირის ჭიათურის რაიკომმა მიმართა ჭიათურის მუშკოოპს თხოვნით მოამარაგოს თავისი დუქნები იმ საგნებით, რომელიც ესაჭიროება მუშებს.

მუშკოოპის წინაშე დასმულია საკითხი ქარხანა - მაღაროების უზრუნველყოფის შესახებ პურით და ფართალით.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების ირგვლივ

ამ დღეებში ქარხანა-მაღაროების მუშებ შორის ჩატარებული იქნება მოხსენებები და საუბრები ახალი კოლექტიური ხელშეკრულების ირგვლივ.

მოხსენებების და კავშირების მიზანია მზადება კოლექტიურ ხელშეკრულების დადებისათვის.

ცენტრალური სარეცხი ქარხნის აგება

ინჟინერმა ვაგნერმა, რომელიც ჩამოვიდა ბერლინიდან შავი-ქვის ტრესტის მოწვევით, დაათვალიერა ჭიათურის შავი ქვის სარეცხი ქარხნები და გაეცნო იმ ადგილებს, სადაც შესაძლებელია ცენტრალური სარეცხი ქარხნის აგება.

მოკლე ხანში ამორჩეული იქნება ქარხნის აგების ადგილი და შედგენილი მისი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

ურმების სადგომი ბინა

მოკლე ხანში ჭიათურის აღმასკომი შეუდგება ურმების სადგომი ბინის აგებას. აღმასკომის ტექნიკოსის მიერ შედგენილია ბინის გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით ბინაში მოთავსდება ერთდროულათ 100 უღელი საქონელი.

ბინის აგება აღმასკომს უჯდება 10.000 მანეთი.

ახალი ქარხანა

ამ დღეებში ამუშავდება ყოფ. თოფურია - ანჯაფარიძის ქარხანა, რომელიც უმოქმედოთ იყო რამოდენიმე წლის განმავლობაში.

ქარხანა შეკეთებულია შავი ქვის ტრესტის მიერ.

კულტურული ლაშქრობა

საქ. ახ. ლ. კ. კავშირი 20 დეკემბრიდან იწყებს კულტურულ ლაშქრობას ჭიათურის რაიონში.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობაში მიღებულია ცნობა, რომ გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის კოლეგიამ რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს დაავალა დაამუშაოს ყველა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საუღელტეხილო უბანის (ხაშური-ზესტაფონი) 1931 წლის 1 ოქტომბრიდან ელექტრონის ენერგიაზე გადაყვანასთან.

რკინის გზების ცენტრალურმა სამმართველომ ეს საკითხები დაამუშავა და კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე წარადგინა თავის მოხსენება.

როგორც მოხსენებიდან სჩანს, სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკური ტრესტი იღებს თავის თავზე გადამცემ ხაზისათვის საჭირო იზოლიატორის დამზადებას, ლიანდაგის მოწყობას და წევის ქვესადგურების მოწყობილობათა ნაწილის დამზადებას.

ლითონის მრეწველობა თანახმაა დაამზადოს ელექტრომავლების მექანიკური ნაწილი. მაგრამ ამისათვის მოითხოვს ისეთ ვადას, რომელიც ერთი წლით დააგვიანებს უღელტეხილზე ელექტრონის მოძრაობაზე გადასვლას.

ამის გამო რკინის გზების ცენტრალურ სამმართველომ გადასწყვიტა პირველ რიგში მოძრაობისათვის საჭირო რამოდენიმე ელექტრომავალი დაუკვეთოს საზღვარგარეთ.

რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ვინაიდან როგორც გზათა კომისარიატს, ისევე ელექტრო-ტექნიკურ ტრესტს არ მოეპოვება საკმაო გამოცდილება, ხელშეკრულების პროექტი დამუშავებულ უნდა იქნეს საზღვარგარეთის ისეთ ფირმასთან ერთად, რომელსაც მოეპოვება უფრო მეტი გამოცდილება საჭირო ელექტრომოწყობილობათა დამზადებაში. ხელშეკრულების დამუშავებაში გზათა კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა კავშირის მრეწველობის დაინტერესებულ დარგების წარმომადგენლებმაც.

საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია, მოძრავ შემადგენლობის შეძენასთან ერთად დაჯდება სულ 20 მილიონი მანეთი.

მოხსენების მიხედვით გზათა კომისარიატის კოლეგიამ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს ევალება წარუდგინოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყოველმხრივ დასაბუთებული მოხსენება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობას არ შეუძლია დაამზადოს სურამის უღელტეხილისათვის საჭირო ელექტრომავლები და მოწყობილობები მთავრობის მიერ დაწესებულ დროისათვის.

ამასთანავე რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს ევალება ორი კვირის განმავლობაში შეუთანხმოს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი სათანადო უმაღლეს ორგანოებს.

მუშების დაწინაურების შედეგები

საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ ჯამი გაუკეთა მუშათა დაწინაურებას ცალკე კავშირებში 1927 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1928 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

ამ ხნის განმავლობაში თბილისში სულ დაწინაურებულია 154 მუშა და 33 მოსამსახურე; პროვინციაში დაწინაურებულია (ცნობები მიღებულია 9 მაზრიდან) 82 მუშა და 16 მოსამსახურე.

თბილისში დაწინაურებულთა შორის 13 ქალია (ცალკე კავშირების მიხედვით: მედსან. შრომა,7, მკერავები—4, გემო-კვების მუშაკები—1 და ფეიქრები—1); საერთოდ ქალების დაწინაურება სუსტად მიმდინარეობს.

დაწინაურება ხდებოდა ადმინისტრატიულ თანამდებობაზე (დირექტორები და მათი მოადგილეები), წარმოების შინა თანამდებობაზე (ოსტატები, ინსტრუქტორები, მეთვალყურეები და სხვა) და წვრილ-ადმინისტრატიულ თანამდებობაზე (სამეურნეო ნაწილის გამგე, კოლექტივის გამგე, სასადილოს გამგე და სხვ.

ადმინისტრატიულ თანამდებობაზე სულ 7 კავშირში (მეტყევეები, კომუნალური მეურნეობის მუშაკები, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეები, ფეიქრები, ქიმიკოსები, მელითონეები და რკინისგზელთა საუბნო კომიტეტი) დაწინაურებული იქნა 28 კაცი (დაწინაურებულთა საერთო რაოდენობის 12 პროც.), ე. ი. ადმინისტრატიულ-საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაწინაურება სუსტად მიმდინარეობდა.

სამქროების ოსტატების თანამდებობაზე წამოყენებულ მუშების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ დაკისრებული მუშაობა მათ სავსებით დასძლიეს. დამოკიდებულება როგორც მუშების, ისე ადმინისტრაციის მხრიდან ნორმალურია. შრომის ხელფასი უმეტეს შემთხვევებში გაიზარდა.

კოოპერაციაში დაწინაურებულია თბილისში 35 კაცი და პროვინციაში 17 კაცი. კოოპერაციაში დაწინაურებულთა ყველაზე მეტ რაოდენობას იძლევა გემოკვების მუშაკთა კავშირი (32 კაცი). საერთოდ კოოპერატიული ორგანიზაციების გამუშურება სუსტად სწარმოებს.

ღარიბი გლეხობა კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრში შესდგა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის და „სოფლის კავშირი“-ს წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ღარიბი გლეხობის კოლმეურნეობებში შესაკავშირებლათ სპეციალური ფონდის დაარსების საკითხი.

ღარიბ გლეხობის კოლმეურნეობებში შესაკავშირების დასაჩქარებლად თათბირმა საჭიროდ სცნო შექმნილი იქნეს სპეციალური ღარიბთა ფონდი. ამ მიზნით სასოფლო-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა ღარიბთა ფონდიდან კოლმეურნეობებს უნდა გადაეცეს 50 პროცენტი და გარდა ამისა თვით კოლმეურნეობებმა ამავე ფონდში უნდა გადასდონ თავისი მოგების ანარიცხები.

ღარიბთა ფონდის განაწილებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეობის, პარტორგანიზაციის და ღარიბთა ჯგუფების წარმომადგენლებმა.

ქრონიკა

74,000 მან. საბჭოთა მეურნეობებისათვის

ამიერ-კავკ. სასოფლო-სამ. ბანკმა შირაქის და სენაკის მაზრების საბჭ. მეურნეობებისათვის კრედიტების მისაცემად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუხსნა კრედიტი 74.000 მანეთის რაოდენობით.

19,000 მან. მელიორაციისათვის

ამიერ-კავკ. სასოფლო-სამ. ბანკმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუხსნა — 19.000 მანეთის კრედიტი საქართველოში მელიორატიულ ღონისძიებათა გასატარებლად.

კოლექტიური მეურნეობანი

„სოფლის კავშირის“ ცნობით ახალი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები დაარსდა ახალქალაქის მაზრის შემდეგ სოფლებში: ეშტიაში, პატარა კონდოროში, ოლაველტში, გომანში, განძაში, ბდანაში, ალასტანში და ყარზახში.

აპარისტანში კოლექტიურ მეურნეობის განვითარების მიზნით სოფ. ახალშენში ახლო ხანში გაიხსნება კურსები კოლექტიურ მეურნეობის შესასწავლად. კურსებზე მსმენელებად მიღებული იქნებიან ულარიბესი გლეხები, რომლებიც გაერთიანებული არიან კოლექტიურ მეურნეობებში.

ავტოტრანსპორტის გაერთიანება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტზე და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებების ავტოტრანსპორტის გაერთიანების საკითხი პრაქტიკულ გადაწყვეტილებას პოულობს.

ამჟამად საქართველოს ს.მ.უ.ს. ახალშენებაში კომიტეტი ამუშავებს გაერთიანებული გარაჟის აგების პროექტს; გარაჟი დაიტევს 40—50 ავტომანქანას და აგებული იქნება ლენინის ქუჩაზე.

ამას გარდა, ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს წინადადებით ამიერ-კავკ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-განყოფილება ამუშავებს ერთი დიდი ავტოგარაჟის აგების პროექტს; ეს გარაჟი დაიტევს 250 ავტომობილს.

კურორტების კეთილმოწყობა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა საკურორტო ქვე-განყოფილებას დაავალა შეიმუშაოს და პრეზიდიუმს წარუდგინოს განსახილველად თბილისის მაზრის კეთილმოწყობის გეგმა. განზრახულია მომავალ წლის საკურორტო სეზონისათვის საფუძვლიანად შეკეთებული იქნეს ყველა საგარაკო სახლი, მოეწყოს ბაღები, მოედნები და სხვ. გარდა ამისა კოჯორში განზრახულია წყალსადენის გაყვანა.

ახალი მაცივრები

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, ნავთლუღის და სამტრედიის მაცივრების დასამთავრებლად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. სამტრედიის მაცივრის ექსპლოატაცია დაიწყება თებერვლის შუა რიცხვიდან, ხოლო ნავთლუღის მაცივარის—15 იანვრიდან.

საავადმყოფო ტუბერკულიოზიანთათვის

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება ქალაქის 1-ლ საავადმყოფოსთან ხსნის ცალკე განყოფილებას ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამკურნალოდ. ამ განყოფილებაში სამკურნალოდ მიიღებენ ისეთ ავადმყოფებს, რომელნიც საჭიროებენ დროებითი იზოლიაციას.

სტუდენტთა ექსკურსია

ლენინგრადიდან თბილისში მოემგზავრება პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების ექსკურსია.

ექსკურსანტები მოივლიან თბილისს, ერევანს, ლენინაკანს, აბაშას და ამიერ-კავკ. სხვა ადგილებს.

მოსამსახურეთა დათხოვნა-გადაყვანის შესახებ

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატებს გააძლიერონ მეთვალყურეობა დაწესებულებების, კერძოდ სასკოლო ქსელის მუშაკების დათხოვნის და გადაყვანის სისწორეზე. ამ მიზნით შრომის კომისარიატის ორგანოებმა ადგილებზე ბრძოლა უნდა გამოუცხადონ უკანონო დათხოვნას და გადაყვანას და თუ აღმოჩენილი იქნა ასეთები პირადი ანგარიშის, სამსახურიდან უმიზეზოდ დათხოვნის და სხვ. ნიადაგზე, გააუქმონ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების დადგენილება და ამის შესახებ აცნობონ პროკურატურის ანდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს.

თბ. აღმასკომში

◆ მეხანძრეთა რაზმის შენობის შესაკეთებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 500 მან.

◆ ზოოლოგიური ბაღი, მომავალ გაზაფხულზე მოხდება ზოოლოგიური ბაღის ნაწილობრივი გახსნა.

კრებები და მოხსენებები

◆ საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შაბათს, 22 დეკ. საღ. სრულ 7 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში (რუსთაველის გამზ. № 17) მართავს დისპუტს ანტირელიგიურ თემაზე: „რელიგიის გამოცოცხლების თანამედროვე წყაროები“.

დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: ტოროშელიძე (სახ. უნივერსიტეტის რექტორი), გიდონი, ლისოვსკი, გეგენავა, გ. ადამიანი, პროფ. ბოლტენიკოვი, ვარძიელი, ზელოზოროვი, კ. ორაგველიძე, მელიქიანი და სხვ.

◆ „საქმე 1832 წლის შეთქმულების შესახებ“. დღეს, 21 დეკემბერს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგად-ში შესდგება საჯარო კრება, რომელზედაც გიორგი გოზალიშვილი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქმე 1832 წლის შეთქმულების შესახებ“.

◆ პარასკევს, დეკემბრის 21-ს საღამოს 7 ს. განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პედაგოგიური განყოფილების საჯარო კრება. მომხსენებელია პროფ. ალ. ჯავახიშვილი— „გეოგრაფია შრომის სკოლის პირველ საფეხურზე“.

სხვადასხვა

◆ ჯანმრთელობის კომისარიატმა ახალსენაკის საავადმყოფოსათვის გერმანიიდან მიიღო რენტგენის კაბინეტი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ ოპერის თეატრში დღეს მე-4 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „დაისი“.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება თურქული წარმოდგენა.

◆ მოზარდ მაყურებელთა თეატრში დღეს მე-6 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „რობინ გუდი“.

◆ მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ცეცხლის ხიდი“.

შემთხვევები

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ავტომობილისა და ტრამვაის კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, ტრამვაის პერსონალს ნაბრძანები აქვს არ დაუშვას ვაგონზე მთვრალი მოქალაქე. ყურადღება მიექცევა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ვაგონის გასაჩერებელი ადგილები საკმაოდ იყოს განათებული.

[illegible] ქუჩაზე მომხდარ უბედური შემთხვევის მიზეზების გამორკვევა

გუშინ მეცხრე უბნის სახალხო გამომძიებელმა რ. ქორჩილავამ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეების. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ვატმან ბარაბაძეს ტრამვაის ვაგონი მიჰყავდა დიდი სისწრაფით და მაისურაძის ბავშვისათვის გამაფრთხილებელი სიგნალი არ მიუცია.

ბოროტმოქმედება თბილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში

უკანასკნელ ხანებში თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორაში (პლეხანოვის პროსპ.) ვიღაც ბოროტმოქმედნი ყალბი საბუთების საშუალებით გაჰქონდათ სხვადასხვა მოქალაქეების სახელზე მიღებული ფულები. ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ყველა ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: გრიგოლ გიორგის ძე მაღრაძე (ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორის თანამშრომელი), ერმილე დავითის ძე ტურაბერიძე, გრიგოლ იფანეს ძე კიკნაძე (ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ყოფ. თანამშრომელი) და გრიგოლ ერასტის ძე ჟვანია.

დაპატიმრებულნი გამოტყდენ დანაშაულში.

ხულიგნობა მცირდება

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების ცნობებით, ქუჩაში წესრიგის დარღვევის შემთხვევები უკანასკნელ თვეში შემცირდა 45 პროცენტით.

მკვლელობა

გუშინ მოქალაქე იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილმა რევოლვერის ტყვიით მოკლა თავისი ყოფილი სიძე—ლადო ისიდორეს ძე ხუციშვილი. იმედაშვილი დაპატიმრებულია.

პატიმრების გაქცევა

19 დეკემბერს დილით გაიქცენ პატიმრები: შიო ჩარხიძე და ალექსანდრე გიორგის ძე მაქააშვილი.

გვამის პოვნა

გუშინ, ნაშუადღევს მტკვრის პირას იპოვნეს დამხრჩვალი ქალის გვამი. მკვდარის ვინაობა გამოურკვეველია. გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

„ფინაგენტი“

მიხეილ (იგივე იოსებ) აგიევი დაიარებოდა თბილისის სავაჭროებში და მათ პატრონებს ეცნობოდა, როგორც „ფინაგენტი“. უკანასკნელად მან ერთ-ერთ რესტორანის პატრონს მოსთხოვა „სესხათ“ 50 მანეთი. აგიევი დააპატიმრეს.

გამოირკვა, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს საფინანსო ორგანიზაციებთან.

სისხლის სამართლის მილიციაში აგიევი გამოტყდა დანაშაულში.

გაფლანგვა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მოქ. მირზა ალი ახმიდოვი. რომელსაც ბრალდება 1000 მანეთის გაფლანგვა.

თავის მოწამვლა

19 დეკემბერს სულემის ხსნარით თავი მოიწამლა ვლადიმერ იოსების ძე ახობაძემ (მცხოვ. გორის ქ. № 6.) ახობაძე სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნება.

ქურდობა

მოქ. ანა ცაბაძეს პირველ საბავშო სახლში მოჰპარეს პალტო,—გარდა ამისა 19 დეკემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 2 შემთხვევა.

დაჯახება

სადგურ თბილისში მანევრების დროს ერთმანეთს დაეჯახა ორი სამანევრო მატარებელი.

დაჯახებას შედეგად მოჰყვა ხუთი ვაგონის გადავარდნა ლიანდაგიდან.

ვისია საათი?

სისხლის სამართლის მილიციამ იპოვნა მამაკაცის ოქროს საათი. პატრონი გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 4, ვ. ხელაძესთან.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში

კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების გამოკვლევა

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სატარიფო - ეკონომიურ განყოფილებას მიმდინარე თვის დამლევამდე ჩაატაროს კოლხელშეკრულებათა კამპანიის გამოკვლევა.

გამოკვლევა ჩატარდება რესპუბლიკანურ პროფსაბჭოების, ცალკე კავშირების, დაწესებულებების და წარმოებების ხაზით.

ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლები ა.-კ. საბინაო საბჭოში

ა.-კ. პროფსაბჭომ ა.-კ. საბინაო საბჭოში წარმომადგენლებად დანიშნა ამხ. შეფტელი, ავანოვი (საქ. პროფსაბჭო), ვართაპეტოვი (სომხეთის პროფსაბჭო) და ერთი წარმომადგენელი აზერბეიჯანის პროფსაბჭოდან.

თათბირი ფიზკულტურის საკითხებზე

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1929 წლის 11 იანვრისათვის მოიწვიოს თათბირი ფიზკულტურის საკითხებზე. თათბირზე გაირჩევა შემდეგი საკითხები: 1) რესპუბლიკანურ და ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოების და ა.-კ. რკინის გზის პროფკავშირთა საბჭოს მოხსენება ფიზკულტურის დარგში პროფკავშირების მიერ ჩატარებულ მუშაობისა და ამ მუშაობის მომავალი პერსპექტივების შესახებ, 2) ა.-კ. ფიზკულტურის უმ. საბჭოს თანამოხსენება საპროგრამო - მეთოდიური და საექიმო - საკონტროლო მუშაობის შესახებ. 3) ფიზკულტურის დარგში მუშაობის მორიგი ამოცანები.

სასამართლო

მეგობართა და ნათესავთა კოოპერატივი

საბრალდებლო სკამზე ზის 7 ებრაელი: **დავით ბაზოვი, დავით აჯიაშვილი, იეხისკელ ჯინჯიხაშვილი, შალომ ყობოშვილი, აბრამ დავარაშვილი, დავით აჯამელაშვილი** და **დავით იოსებაშვილი.**

ამ პირებისაგან შესდგებოდა ებრაელთა კოოპერატივის მთელი შტატი. მათი კოოპერატიული „მოღვაწეობის“ შესახებ საბრალდებლო დასკვნა მოგვითხრობს შემდეგს:

1926 წელს ნოემბერში მუშათა მთლიანი კოოპერატივის გამგეობამ გადასწყვიტა ებრაელებით დასახლებულ რაიონში გაეხსნა სპეციალური მაღაზია ებრაელთა კოოპერატივის სახელწოდებით.

შტატის გამოძებნა მაღაზიისათვის დაეკისრა დავით მენახიმეს ძე ბაზოვს, რომელიც მოწინავე ელემენტად ითვლებოდა ადგილობრივ ებრაელთა შორის.

მაღაზიის გამგის თანამდებობაზე ბაზოვის რეკომენდაციით დაინიშნა მისივე მეგობარი ვაჭარი დავით აჯიაშვილი. მაღაზიის საფართლო სექციაში ბაზოვმა გამგეთ დანიშნა მეორე მეგობარი იეხისკელ ჯინჯიხაშვილი, საგასტრონომიო სექციის გამგეთ დანიშნულ იქნა ჯინჯიხაშვილის სიძე აბრამ დავარაშვილი, საწერმალო განყოფილებაში შალომ ყობოშვილი. დავარაშვილს თანაშემწედ დაენიშნა დავით აჯამელაშვილი, ხოლო ყობოშვილს — დავით იოსებაშვილი.

სადუქნო კომისიაც მოქ. ბაზოვმა შეადგინა და თვითონ იკისრა თავმჯდომარეობა.

ასე ნათესავურად და მეგობრულად მჭიდროთ შეკავშირებული თბილი კამპანია შეუდგა „საქმიანობას“.

გავიდა ერთი წელი. ორჯერ მოხდა მაღაზიის რევიზია (!), მაგრამ ყველაფერი რიგზე და წესზე აღმოაჩინეს „რევიზორებმა“, რადგან რევიზიას სადუქნო კომისიის თავმჯდომარე ბაზოვი თვალს უხვევდა.

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპის ბუღალტერიაში ეჭვი დაბადა იმ გარემოებამ, რომ მაღაზიის გამგე აჯიაშვილი სისტემატიურად აგვიანებდა დღიურ ნავაჭრის ჩაბარებას ცენტრალურ სალაროში.

გაიგზავნა სპეციალური სარევიზიო კომისია ებრაელთა კოოპერატივის მდგომარეობის გამოსარკვევად და აღმოჩნდა შემდეგი:

გამგე აჯიაშვილი კოოპერატივის დღიურ ნავაჭრით „ხელს ინაცვლებდა“ და კერძო ბაზარზე სხვადასხვა კომბინაციებს აკეთებდა. ერთი წლის განმავლობაში მაღაზიაში ფართლეულის ნაჭრების გაყიდვისაგან შემოსული 2.714 მანეთი აჯიაშვილს საკუთარ საბრუნავ კაპიტალად ჰქონდა გადარიცხული. ამ ფულს ატრიალებდა კერძო ბაზარზე.

გარდა ამისა აჯიაშვილს მუშკოოპის ცენტრალურ სალაროდან მიღებული 5.000 მანეთი კვერცხების დასამზადებლად. ამ თანხიდან აჯიაშვილს მიუთვისებია 1.834 მანეთი, ხოლო კვერცხების დამზადება სხვა დროისთვის გადაუდვია. ნავაჭრი თანხებიც აქვს მისაკუთრებული გამგე აჯიაშვილს 1.838 მანეთის რაოდენობით. გაფლანგული აქვს აგრეთვე ებრაელთა საზოგადოების კუთვნილი თანხა 218 მანეთი. სულ გამგე აჯიაშვილის მიერ გაფლანგული თანხა 4.000 მანეთს აღემატება.

ბაზოვის მეორე მეგობარი იეხისკელ ჯინჯიხაშვილი, რომელიც საფართლო სექციას განაგებდა, მხოლოდ ნათესავებისა და მეგობრებისათვის ინახავდა ძვირფას და პირველი მოთხოვნილების საქონელს.

დანარჩენი ბრალდებულებიც შინაურულად ვაჭრობდნენ კოოპერატივის საქონლით.

სადუქნო კომისიის თავმჯდომარე ბაზოვი კი, იმის მაგიერ, რომ მეთვალყურეობა გაეწია კოოპერატივის თანამშრომლებისათვის, თვითონვე ხელს უწყობდა და ხელს აფარებდა გამფლანგველებს, რადგან მისთვის სახეირო იყო ყოფილ ვაჭრებთან მჭიდრო კავშირი.

ებრაელთა კოოპერატივის თანამშრომლების გასამართლებას გუშინ შეუდგა თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლო ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით.

მიხ. ფალავას გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

გუშინ ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთა კლუბში თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლო ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით შეუდგა მოქ. **მიხეილ მიხეილის ძე ფალავას** საჯარო გასამართლებას.

როგორც ვსწერდით, მიხეილ ფალავა 1923 წლიდან 1927 წლამდე მსახურობდა თბილისის ტრამვაის დირექციის საქმეთა მმართველად და ამ ხნის განმავლობაში სისტემატიურად ჰყიდდა ტრამვაით სამგზავრო ყალბ წლიურ ბილეთებს.

წლიური ბილეთების გაყიდვის საშუალებით ფალავას გაფლანგული აქვს 2.500 მანეთამდე.

ბრალს სდებს პროკურორი ძაძამიძე. დამცველის აყვანაზე ბრალდებულმა უარი სთქვა.

პროცესი დიდ ინტერესს იწვევს.

ბერ

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტი** აცხადებს, რომ დღეს, 21 დეკემბერს, მოწვეულია კომუნისტური პარტიის წევრთა და კანდიდატთა და კომკავშირის აქტივის ჯგუფური კრებები, რომელზედაც განხილული იქნება საკავშირო კომ. პარტიის (ბ) ნოემბრის პლენუმის შედეგები. **პირველი ჯგუფის კრებას უნდა დაესწრონ:** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, რუსთაველის თეატრის, ცეკავშირის, განათლების სახ. კომისარიატის, სახკომსაბჭოს, სახელგამის, საქართველოს სტატსამმართველოს, შრომის სახ. კომისარიატის, მუშათა სასახლის, საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ტელეგრაფის, სახ. კვების, „სოფლის კავშირი“-ს, ა.-კ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და გინეკოლოგიურ ინსტიტუტის უჯრედების წევრები. პირველი ჯგუფის კრება შესდგება მუშკოოპის წითელი კუთხის შენობაში, გერმანული კირკის გვერდით.

მეორე ჯგუფის კრებას უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედების წევრები: ავტოკლუბი, ქართული მუშფაკი, სახმედვაჭრობა, ლუდის ქარხანა, საქართველოს ღვინო, „მწყემსი“, ფოსტა, მუშათა სასახლე, „სამშენი“, მეხუთე სტამბა, პირველი სტამბა, მუშკოოპი, მუშკოოპის ტრანსპორტი, „ზაკავტოპრომტორგ“-ი. მეორე ჯგუფის სხდომა შესდგება ავტოკლუბის შენობაში (პლეხანოვის პრ.).

მესამე ჯგუფის კრებას უნდა დაესწრონ ფოსტა - ტელეგრაფის საოლქო სამმართველოს, იგურის ქარხნების და მეეზოვეთა უჯრედების წევრები. კრება შესდგება ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოს შენობაში.

მეოთხე ჯგუფის კრებას უნდა დაესწრონ მუშტრესტის, „მაშინოტრესტის“, სახელმწიფო ბანკის, კოლოფების ფაბრიკის, რეზინოტრესტის, ავეჯის ფაბრიკის, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, თელასის, სახელმწიფო ოპერის და კონსერვატორიის, ა.-კ. სას. სამ. ბანკის, განათლების მუშაკთა კავშირის და რადიოს უჯრედების წევრები. კრება შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის ბინაზე.

მეხუთე ჯგუფის კრებას უნდა დაესწრონ კავ. წითელდროშოვან არმიის სტამბის, ტიპოლიტოგრაფიის, სახ. ელ. ტრესტის, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს კანტორის, ცეცხლის მქრობელი რაზმის, „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის, თემქას, ფოლაქების ფაბრიკის, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს, მაშინოტრესტის, სახ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის, მესამე სტამბის, მშენებელთა კავშირის, ფოსტა - ტელეგრაფის საოლქო სამმართველოს, მეორე სტამბის და მეექვსე სტამბის უჯრედების წევრები. კრება შესდგება მუშათა ახალ კლუბში.

მეექვსე ჯგუფის კრებას უნდა დაესწრონ თბილისის აღმასკომის, ტელეფონის, ქალაქის ბანკის, საბინაო კავშირის, საქ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, სატყეო მრეწველობის ტრესტის, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის, განათლების სახ. კომისარიატის, სამხატვრო აკადემიის, გემო-კვების მუშაკთა კავშირის, ა.-კ. პარტსკოლის და გლეხთა სასახლის უჯრედების წევრები. კრება შესდგება აღმასკომის შენობაში.

მეშვიდე ჯგუფის კრებას უნდა დაესწრონ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, სახპოლიტსამმართველოს მე-8 პოლკის, ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის, ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, ა.-კ. სტატსამმართველოს, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატი, ა.-კ. საგეგმო კომისიის, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის, და „ზაკსოიუზ“-ის უჯრედების წევრები. კრება შესდგება კლუბ „კატორი“-ს შენობაში.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. თოდაძე ორისიძეს, მალაქია ხუბულავას, სიმონ ყურაშვილს და ყველა იმ პარტ. კანდიდატებს, რომლებიც არ გატარებულან პარტ. კანდიდატიზის გადასინჯვაში, გამოცხადდნენ დღეს, 21 დეკემბერს, დილის 9 საათზე ბიურო-კოლექტივში დაუგვიანებლივ.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 21 დეკემბერს, დღის 11 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა.

დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

— **საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია** სთხოვს ამხ. კონსტანტინე კობახიძეს გამოცხადდეს ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. № 24 მესამე სართული, ოთახი 12) 22 დეკემბერს დილის 9 საათზე.

—:—

— **საქ. ახ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი** აცხადებს, რომ შაბათს, 22 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

კრებას აუცილებლად უნდა დაესწრონ ის ამხანაგები, რომლების ანკეტები წარმოდგენილია კომკავშირის თბილისის კომიტეტში.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს რომ დღეს, 21 დეკემბერს, დილის [illegible] საათზე მოწვეულია აგიტ. კომისიის სხდომა. წინადადება ეძლევა აგიტ-კომისიის ყველა წევრებს, პარტიის და კომკავშირის უჯრედის მდივნებს და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეების ხელმძღვანელებს დაუგვიანებლივ გამოცხადდენ სხდომაზე.

იურიდიული დახმარება

კავშირის წიგნაკი № 11067

კითხვა:

ვართ განქორწინებული 1926 წლიდან. გვყავს ორი მცირეწლოვანი ქალი 7 წლის და 5 წლის. ამჟამად ორივე ქალი იმყოფება დედასთან. გთხოვთ მიპასუხოთ: მაქვს თუ არა უფლება მე, როგორც მამას, წამოვიყვანო ბავშვები ჩემთან ერთი მაინც. ამჟამად ბავშვების დედაც მსახურობს და მეც.

პასუხი:

საკითხი, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს ბავშვები დედ-მამის განქორწინების შემდეგ, უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს ბავშვების ინტერესი. თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ ბავშვებს ინტერესება უფრო კარგათ იქნება დაცული, იმ შემთხვევაში თუ ისინი თქვენთან იცხოვრებენ, სასამართლოს შეუძლია ბავშვები ჩამოართვას დედას და გადმოგცეთ თქვენ.

1-ლი ქართულ საარტილერიო ლეგიონის უფროსთა შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება რომ 19 დეკემბერს ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მე-2 ქართულ საარტ. ლეგიონის თავის თანაშემწე სამეურნეო დარგში ამხ.

ნოე იოსების-ძე გოგოლიშვილი

გამოსვენება სამხედრო ჰოსპიტალიდან შაბათს, 22 დეკემბერს, დაკრძალვა კვირას, 23 დეკემბერს დღის 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

მე-2 საარტილერიო ლეგიონის უფროსთა და წითელ არმიელთა შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 19 დეკემბერს ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე ლეგიონის თავის თანაშემწე სამეურნეო დარგში ამხ.

ნოე იოსების-ძე გოგოლიშვილი

გამოსვენება სამხედრო ჰოსპიტალიდან შაბათს, 22 დეკემბერს, დილის 10 საათზე ლეგიონის კლუბში კლარა ცეტკინის ქუჩა № 119. დაკრძალვა კვირას, 23 დეკემბერს, დღის 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი 22 დეკემბერს, 17 საათზე ლეგიონის კლუბის შენობაში. (ე)

გულდათუთქული მშობლები: ლადო და თამარა; ბებიები: მარიამი, ძაბო და ევა; ბიძები: მიშა და თეთრო მაისურაძეები; გოგუცა და კიმოთე ქვათაძეები, დათიკო, ლადო და ვასია მსხილაძეები; დეიდები: საშა და ბაბუცა და გარდაცვალებულის და მანიკა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 17 დეკემბერს ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის უსაყვარლესი

გიორგი (გოგი) მაისურაძე

დაკრძალვა დღეს, 21 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან (1-ლი ნაზარეთის ქ. № 67). 6028

სად. თბილისის მე-21 კომუჯრედის წევრები: ნ. ვაჭარაძე, გრ. დევდარიანი, ივანე [illegible], ვახიშვილი, ქელეხსაშვილი, ალ. ჭოხონელიძე, ორაგველიძე, ღვინიაშვილი, გვარამაძე სიხარულიძე, ბარკალაია, ლუტიძე, ჯღერია, ბაშკოვი, მალაციძე, წერეთელი, ესებუა, ბერუაშვილი და სხ. აუწყებენ საზოგადოებას, რომ 17 დეკემბერს ტრაღიკულად დაიღუპა ამავე უჯრედის აქტიური წევრის ძვირფას ამხ. ლ. მაისურაძის ერთად ერთი ვაჟი შვილი

გიორგი (გოგა) მაისურაძე

დასაფლავება 21 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება 1-ლი ნაზარეთის ქუჩ. № 67, კუკიის სასაფლაოზე. 6026

სად თბილისის ადგილკომი ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სადგურის ადგილკომის თავმჯდომარის უსაყვარლესი და ერთად ერთი ვაჟი შვილის

გოგი ვლადიმერის-ძე მაისურაძის

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს, 21 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან (1-ლი ნაზარეთის ქუჩა № 67). კუკიის სასაფლაოზე. 6027

თბილისის საქალაქო სადგურის კანტორის თანამშრომლები, მწონავები, დარაჯები და მოლარეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 17 დეკემბერს ტრაღიკულად დაიღუპა ძვირფასი მეგობრის და ამხანაგის ვლადიმერ მაისურაძის ვაჟიშვილი

გოგია (გოგა) მაისურაძე

დაკრძალვა დღეს, 21 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება—საკუთარ ბინიდან (1 ლი ნაზარეთის ქ. № 67) 6024

თბილისის სახალხო სადგურის მუშა-მოსამსახურეები, [illegible], გადაბმელები, იემადგენლები, მოლარეები, მწონავები და სხვა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 17 დეკემბერს ტრაღიკულად დაიღუპა ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის ლადო მაისურაძის ვაჟიშვილი

გოგი მაისურაძე

დაკრძალვა დღეს, 21 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება—საკუთარ ბინიდან, ლენინის რაიონი, 1-ლი ნაზარეთის ქ. № 67. 6025

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ძარო, თამარი, ნიკოლოზი და თეოფილე; რძლები: რაისა და ქეთო; შვილისშვილები: ნათელა, თამარა, ეთერი და გულიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ტერეზი მაქსიმეს ასული წუწუნავა-კეჭაღმაძისა

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 22 დეკემბერს, სოფ. ზედუბანში (გურია). 6041

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიურო ცნობებს სტუდენტობას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამკურნალო ფაკულტ. სტუდენტი

თინათინ ვლადიმერის ასული სარჩიმელია

გამოსვენება მოხდება 21 დეკემბერს სრულ 2 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 6037

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 21-ს მეოთხე აბონემენტის მეოთხე წარმოდგენა პირველად ამ სეზონში **დაისი**

22 დეკემბერს აბონემენტის გარეშე პრემიერა **სევილიელი დალაქი**
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. მ. ბრაგინის მონაწილეობით
ნ. ნ. ბოგოლუბოვის ახალი დადგმა

23-ს დილით მესამე დილის წარმოდგენა საგრძნობათ დაკლებულ ფასებში 25 კაპიკიდან 1 მან 50 კაპ. **აბესალომ და ეთერი**

ღამის აბონემენტის გარეშე ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **კარმენ**

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე,
დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 2007

სახკინმრეწვის კინოები

ბანთიადი	მონტი ბენქსი სურათში **ბედნიერების ნალი**
არფასტო	მხიარული სურათი **ქირვეული ცოლი** რუფ კლიფორდის მონაწ
სოლეი მინიონი	ელენ რიხტერი 1928 წელს გამოშვებულ უცხოეთის [illegible] სურათში **მორალი**
აპოლო	მსოფლიო ფილმი **თავდასხმა ვირჯინიის ფოსტაზე** რიჩარდ ბართელმესის მონაწ.
კალასი	თავისი დადგმით გრანდიოზული ფილმი **კასტუს კალინოვსკი** რეჟ. გარდინი
დარბაზი	**პორტფელის გამტაცებლები**
პროლეტარი	**თავზე ხელაღებული** 5 დან სერიები

ახლოს: მალე „სახლი ტრუბნის მოედანზე“ და „კირა კირალინა“ 0—16

კინო-აპოლო

დღეიდან მსოფლიო ფილმი

თავდასხმა ვირჯინიის ფოსტაზე

რიჩარდ ბართელმესის მონაწილეობით

პრესა სურათის შესახებ:

„ზარია ვოსტოკა“ „იმ ევროპიულ სურათებიდან, რომლებიც ჩვენ გვინახავს, „თავდასხმა ვირჯინიის ფოსტაზე“ ყველაზე უკეთ გაკეთებული და ძლიერია“.

„რაბ. პრავდა“ „ამ სურათის შესახებ შეიძლებოდა მოზრდილი ბროშურის დაწერა. მაყურებლისათვის ამ სურათში ბევრი რამ არის საინტერესო, რეჟისორისათვის კი—საგულისხმო“. ნ. 2013

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს ატრაქციონების სანახაობა
გალა პროგრამა 3 განყოფილებად
მხეცების მწვრთნელი **ნ. პ. გლადილშჩიკოვი**
ქუ და ხვადი ლომებით,
დათვებით და დოგებით
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.
სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან
მთელი დასი ყველა გასტროლიორები
კვირას, 23 დეკემბერს **დღის დიდი სანახაობანი**
მხეცების მწვრთნელის ნ. გლადილშჩიკოვის მონ.
დღისით ქუ და ხვადი ლომები, დათვები, დოგები
დასაწყისი დღის 2 საათზე.

3—1 ნ. 2010

რიონის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოებზე **საჭიროა** მოხელე შემდუღებელი

თვიდაგურის (ავტოგენის) შედუღებისა—პირობები დამოკიდებულია მოხელის კვალიფიკაციაზე. მსურველებს შეუძლიან მიმართონ ქ. ქუთაისში „რიონჰესი“.

ნ. 2005

ვაცხადებ მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ ვინაიდან თბილისის აღმასკომის განკარგულებაში სრულებით არ მოეპოვება საცხოვრებელი ფართობი, ამიტომ განცხადებებს ბინის მიცემის შესახებ არავისაგან არ ვღებულობ.

ვსთხოვ ამხანაგებსაც ნურავითარი წერილობითი შუამდგომლობით, ან პირადათ ჩემთან მოსვლით, როგორც თავისთვის, აგრეთვე სხვებისათვის ბინის მიცემის შესახებ ნუ მომმართავენ.

ნ. 2012 თბ. საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოლქვაძე.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობას ესაჭიროება გაზეთის საზიდავად **ნახევრად საბარგო ავტომობილი** ერთი ან ერთ ნახევარ ტონიანი

კომისიონერებს ვსთხოვთ თავს ნუ შეიწუხებ-ნ

იკითხეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ტელ. № 8—81. 0—6

ფ მახარაძე

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა

მოსამზადებელი ხანა (1870—1890)

ფასი 25 კაპ.

იყიდება გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).

0—10 მთავარი კანტორა.

დაბა ვანში (ქუთ. მაზრა) გაზეთ „კომუნისტ“-ზე ხელის მოწერა მიიღება თეოფანე (ჭიჭიკო) ერასტის-ძე სვანიძესთან.

0—4 „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 1928 წ. 24 დეკემბერს დღის 2 საათზე სახლში № 70 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ იაკობ ცეცვაშვილის მოძრავ ქონებას: ბუფეტს, კამოდს, სარკეს ტუალეტის, ლომბერის მაგიდას, ხალებს, [illegible] და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 216 მანეთად, მოქ. ვალერიან გიორგობიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სახელმწ. სანოტარო კანტორისაგან 1928 წ. 7 სექტემბერს თარიღით, № 113 [illegible] აღსრულებითი წარწერისა. 6034

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულ. თ. გოგია

ამით აცხადებს, რომ ის 1928 წ. 24 დეკემბერს დღის 1 საათზე სახლში № 11 ბებუთოვის ქ. და 2 საათზე გრიგორიანის შესახვევი № 5-ში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გ. კეშემოვის და ვ. ხიჩიანის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, ბუფეტს, ტუალეტის მაგიდას, სასადილო მაგიდას, სკამებს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 189 მანეთად, „პროდასილიკატი“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად მე-5 სახ. სანოტარო კანტორის აღსრულებითი წარწერისა 28 მარტის 1928 წ რეესტრი, № 1157. 6039

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 1928 წ. 28 დეკემბერს დღის 1 საათზე სახლში № 8 ქოთნის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანა და იოსებ ჩიჩაბიშვილების მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფებს, ტრიუმოს, ბუფეტის შკაფს, სარკეს, დიდ თეთრ და პატარა ყვითელ სამოვრებს, კედლის საათს, სკამებს, მაგიდებს, ტახტს, გრამოფონს, 2 კალათს, ფლაკონებს, პუდრს და სხვას შეფასებულს 399 მანეთად 90 კ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე 4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 31 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 8455 და 8460 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. ვაჭრობა დაიწყება შუადღიდან. 6036

ექიმი—ვენეროლოგი **ნინო მირიანაშვილი** იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—

ექიმი **ი. ვ. ახმეტელი** იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული. 4903 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე** მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან. ვენერიული და კანის სნეულებანი. იღებს: დილა-საღამოს. ნ. 8 25—8

ექ. **დ. ლ. თევზაძე** ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა. ჭონქაძის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

დაიკარგა ძაღლი

წაბლის ფერი, გულზე და ფეხის თათებზე თეთრი ხიშანი აქვს. ჯიში „პოინტერი“, მნახველს ვთხოვ დააბრუნოს და ჯილდოს მიიღებს. მისამართი ძველავოი ქუჩა № 32 გიორგი რუსაძე, ან ნორიოს აღმართი № 9 ილია მურაჩაშვილი 6035

ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველო

აცხადებს, რომ დაკარგულია მის სახელზე ადგილობრივ ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობები მანქანაზე 1) „ფიატი“ მსუბუქი ძრავი № 0141717, 2) ფორდი მსუბუქი ძრ. № 11638294, 3) „ფიატი“ ნახ. საბარგო ძრ. № 29801, 4) მოტოციკლეტის ხ. დავიდსონ ძრ. № 15939 ჩაითვალოს გაუქმებულად. 6041

ნაპოვნია პარტიული ბილეთი № 0850040 შალვა კანკიას სახელზე, ჩ. გ. 6014

დაიკარგა: მატრიკული № 2652 და პროფკავშირის წიგნაკი № 13268 შალვა ქევანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 6038

დაიკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 11517 ლავრენტი ქვანიას სახელზე, ჩ. გ. 6029

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 19944 ალექსანდრე მაისურაძეს სახელზე, ჩ. გ. 6032

დაიკარგა: მატრიკული ამონაწერი № 810, სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ფორმა № 4 და მუშკოოპის წიგნაკი ბეგიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 6030

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წევრობის წიგნაკი № 19292 კლიმენტი ლავრენტის ძე ბოკერიას სახელზე, ჩ. გ. 6033

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.